საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№5 (334)
10 – 16 თებერვალი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



მამა დავითი (ისაკაძე):
## დღეს საქართველოში მართლმადიდებლობა დევნილია
7



# MAPატიე, თინა!
5

ჯეიმს აპატურაი:
**MAP-ის მიღება ახლა ვერ მოხდება... უსაფრთხოების გარანტიების გარეშე MAP-ის მინიჭება თქვენი ქვეყნისთვის რისკს გაზრდის**

თინათინ ხიდაშელი:
**კარს არავინ არ გაგვიღებს, რუსეთი ამას არასდროს დათანხმდება, მაგრამ ფანჯარა აუცილებლად გაიღება...**



გოგი თოფაძე:
**თუ «დებილებმა» მეთაურად აგირჩიეს, ესე იგი, შენში ყველაზე გამორჩეული «დებილი» დაინახეს... ნუთუ არ რცხვენია მარგველაშვილს «დებილების» პრეზიდენტობა?!**
10

## «ქართული პოლიტიკა ყარს»
**«ქართულ ოპერას დააკლდა ბანი, ქართულმა პოლიტიკამ კი კიდევ ერთი პოლიტიკანი შეიძინა»**
8



## ობერპროკურორიდან ობერმოქალაქემდე
**გვყავს ჭყონდიდელი... არ გვყავს დავითი!**


6



## რატომ კლავენ ოლიგარქებს
**და რატომ იჩქარა ივანიშვილმა აქტიური პოლიტიკიდან წასვლა**
14

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## საქართველო ირანთან სავიზო რეჟიმს აუქმებს

**საქართველოს პრემიერმინისტრსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. გიორგი კვირიკაშვილმა და ჰასან რუჰანიმ ქართველი და ირანელი ხალხის კულტურულ ურთიერთობებზე ისაუბრეს.** საქართველოს პრემიერმინისტრის პრესსამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, „გამოითქვა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების იმედი. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით ქართული მხარე გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯს, რომელიც ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაში გამოიხატება“. კვირიკაშვილმა და რუჰანიმ, აგრეთვე, ისაუბრეს საქართველოსა და ირანს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და იმ პოტენციალზე, რომელიც ქვეყნებს შორის არსებობს.

**P.S.** 15 თებერვლიდან ორდინარული პასპორტების მქონე ირანის მოქალაქეებს საქართველოში 45 დღე უვიზოდ ყოფნა შეეძლებათ.



## საპატრიარქოს ფონდი უსახლკარო ბავშვებისა და მოზარდებისთვის თავშესაფარს მოაწყობს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს ინიციატივით, საპატრიარქოს ფონდი უსახლკარო ბავშვებისა და მოზარდებისთვის თავშესაფარს გააკეთებს. უწმინდესმა თხოვნით მიმართა თბილისის მერს, თავშესაფრისთვის შესაბამისი ფართობი მოიძიონ.**

„ბედნიერი ვარ იმით, რაც საპატრიარქოს ფონდის მხრიდან 10 წლის განმავლობაში გაკეთდა. ფონდმა შექმნა ორი სახლი: ერთი სპარსეთიდან და ერთიც თურქეთიდან ჩამოსული ახალგაზრდებისთვის. როცა ისინი ჩამოდიან და არ აქვთ ბინა, მოდიან ამ სახლებში და დროებით იქ ჩერდებიან. მინდა, თქვენი ყურადღება გავამახვილო ერთ საკითხზე, მრავალი უსახლკარო მოზარდი და ბავშვია ქუჩაში. ხომ არ შეიძლება, რომ ჩვენმა ფონდმა იფიქროს უპატრონო ბავშვებისა და მოზარდებისთვისაც გაკეთდეს თავშესაფარი, რათა მათ ჰქონდეთ ღამის გათევის საშუალება და ღია ცის ქვეშ არ იყვნენ. მინდა, მივმართო ქალაქის მერს, იქნებ გამოვნახოთ ადგილი და სახლი ამისთვის“, — ბრძანა პატრიარქმა.

თავის მხრივ, დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ ამ პროექტზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. „ჩვენ საპატრიარქოს ფონდთან ვთანამშრომლობთ. უკვე გვქონდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ჩაერთვება ჯანდაცვის სამინისტრო“, — განაცხადა ნარმანიამ.

## მედიკამენტები, სავარაუდოდ, 30 %-ით გაიაფდება

**საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის — დავით საგანელიძის განცხადებით, ფარმაცევტული ქარხნის ამოქმედების შემდეგ მედიკამენტები, სულ ცოტა, 30%-ით გაიაფდება.**

„ორი პროგრამა, რომლებიც ფარმაცევტულ სფეროში მედიკამენტების გასაიაფებლად დაიწყო და რომლებშიც მონაწილეობს საპარტნიორო ფონდი, წარმატებით მიმდინარეობს. ალბათ, მოსახლეობამ უკვე შენიშნა, რომ ფასების დაწევა შეიმჩნევა. ვფიქრობთ, რომ უახლოეს ხანში მედიკამენტები, სულ ცოტა, 30 პროცენტით გაიაფდება. ხოლო, როდესაც ფარმაცევტული ქარხანა დაიწყებს მუშაობას, ფასები, ალბათ, განახევრდება“, — აღნიშნა დავით საგანელიძემ.

საქართველოს მთავრობის დავალებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით, საპარტნიორო ფონდი კომპანია Humanity Holding Gmb-თან ერთად ახალ პროექტს იწყებს. პროექტის მიზანია თბილისში ორხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალტექნოლოგიური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფარმაცევტული ქარხნის აშენება. პროექტის განხორციელებისა და ოპერირების მიზნით Humanity Holding GmbH-მა სს „ჰუმანითი ჯორჯია“ დააფუძნა. ევროპული სტანდარტების წამლების მწარმოებელი ფარმაცევტული ქარხანა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, ხარისხის შემოწმების თანამედროვე ლაბორატორიით, სასაწყობო ფართობითა და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. დამზადდება 800 დასახელების წამალი, როგორც ადგილობრივი მოხმარებისთვის, ასევე საექსპორტოდ. კომპანიის მიერ იმპორტირებული იქნება წამლების გარკვეული რაოდენობა, რომელთა რეალიზაციაც შეღავათიან ფასებში იგეგმება. ქარხანაში დასაქმდება 300 ადამიანი, მათ შორის იქნებიან ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები. პროექტის ღირებულება 130 მლნ აშშ დოლარია.

## გიორგი ვოლსკი: კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა

**ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის — გიორგი ვოლსკის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობს მუშაობა საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. და ეს საკონსტიტუციო ნორმა ერთნაირსქესიანთა ქორწინების ერთმნიშვნელოვანი უარყოფა იქნება.**



„ბოლო პერიოდში გაკეთდა განცხადებები, რომ უნდა მოხდეს ინიცირება საკონსტიტუციო ცვლილების, რომ ოჯახი წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ერთობას და ზუსტად ის ფორმულირება, რომელიც არსებობს სამოქალაქო კოდექსში, გადატანილ იქნას საკონსტიტუციო ნორმად. ამას სჭირდება საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა და ცვლილება დღეს თუ ხვალ ნახავს დღის სინათლეს. ბევრი ევროპული ქვეყანა სწორედ ისეთი სტანდარტით სარგებლობს, რომელსაც ჩვენ შემოგთავაზებთ. არსებობს ქვეყნები, რომლებშიც არ არის ლეგალიზებული ერთნაირსქესიანთა ქორწინება, მაგრამ არსებობს რაღაც ფორმა ურთიერთობის, რომელიც საკუთრების თემაზეა ორიენტირებული... პატარა საქართველო, რომელსაც უამრავი გამოწვევა აქვს, გინდა — ჩრდილოეთიდან, გინდა — სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან, ვალდებულია, იფიქროს იმ ტრადიციაზე, რომელიც აქვს და რომლითაც დღემდე მოვიდა; იფიქროს იმ ურთიერთობასა და ტოლერანტობაზე, რომელიც გაგვაჩნია ნებისმიერი სახის უმცირესობასთან. არ ვგულისხმობ ეროვნულ უმცირესობას, რადგან ეს სხვა კატეგორიაა... კონსტიტუციაში მეუღლეები კი არის აღნიშნული, მაგრამ ამ აღნიშვნასთან ერთად მითითებულია ქალისა და ბავშვის უფლებები. ეს ნორმა უფრო მკაფიო უნდა გავხადოთ და არა რაღაც ახალი შემოვიტანოთ. ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება ქვეყნისთვის, რომელსაც გარკვეული ტრადიცია გააჩნია, გარკვეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“, — განაცხადა ვოლსკიმ.

## «სამშობლოდან გამოგდებული სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს»

## «ჩვენ დასავლური სათამაშოს მძევლებად ვიქცევით»

**უკრაინის რადას დეპუტატმა ვადიმ რაბინოვიჩმა უკრაინულ ტელეკომპანია NewsOne-ის ჟურნალისტთან საუბარში აღნიშნა, რომ „მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს“.**





„ყველამ ხელში უნდა აიყვანოს საკუთარი თავი და შეხედოს ფხიზელი თვალით, დაინახოს, რა მოხდა. სააკაშვილისა და აბრამოვიჩუსის შეხვედრის შემდეგ, რომელიც 3 საათის განმავლობაში გრძელდებოდა, აბრამოვიჩუსმა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ვერაფერს ამჩნევდა, სააკაშვილთან საუბრის შემდეგ უცებ გაიაზრა ყოველივე.

მზადდება სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც სათავეში მიხეილ სააკაშვილი უდგას, რათა ჩვენი ქვეყნის ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს, პლაცდარმად რომ აქციოს. მისმა ხალხმა იგი სამშობლოდან გამოაგდო. ეს არის შეთქმულება, რომელიც უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა უნდა გამოიძიოს. იაცენიუკს ხელს აძლევს სააკაშვილი, მას მთელი ერი ვერ იტანს. იაცენიუკი კიდევ ნახევარი წლის განმავლობაში იქნება, მერე მოვა სააკაშვილი და იტყვის „ამბოხი“ და უკრაინის ნანგრევებზე თავისი პატარა სისტემის შენებას დაიწყებს. ამიტომ ეს ყველაფერი, რაც ახლა ხდება, არის მცდელობა სახელმწიფო გადატრიალებისა, ჩვენ დასავლური სათამაშოს მძევლებად ვიქცევით“, — განაცხადა უკრაინის რადას დეპუტატმა.

## ხაბურძანია ნიკა გვარამიაზე: ასეთი მსუბუქი დებილიზმით შეპყრობილი კაცი იმ თამაშში როგორ იმარჯვებდა?

**„გავწყვიტოთ სსრკ-ში დაბადებული ქართველი მამაკაცები, ავჩეხოთ ვაზი, მანდარინი და ნიკა გვარამია დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლებს ცისარტყელას ფერებით გაბრწყინებული, რუსეთიდან თავდახსნილი იბერიის სიკეთეებით.** ვერავინ დამაჯერებს, „რა? სად? როდის?“ (არადა რუსული თამაშია) თამაშის დროს მას „ბატონი წამყვანი“ კითხვებს წინასწარ რომ არ აცნობდა. აბა, ასეთი მსუბუქი დებილიზმით (პრეზიდენტისეულად) შეპყრობილი კაცი იმ თამაშში როგორ იმარჯვებდა?!“ — დაწერა ვალერი ხაბურძანიამ სოციალურ ქსელში.



## «თურქეთი «ისლამურ სახელმწიფოსთან» კავშირში ეჭვმიტანილ რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში გზავნიდა»

**თურქეთში რუსეთის ელჩმა ანდრეი კარლოვმა განაცხადა, რომ თურქეთი რუსეთის დაკავებულ მოქალაქეებს, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში არიან ეჭვმიტანილი, ხშირად საქართველოში გზავნიდა. მისი თქმით, თურქეთის ხელისუფლების ამ ქმედების გამო რუსეთს ეჭვმიტანილთა დაკავების საშუალება არ ჰქონდა, რადგან საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს.**

„რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში არიან ეჭვმიტანილნი, თურქეთიდან ხშირად აძევებდნენ არა რუსეთში, არამედ მესამე ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს, ან უკრაინაში, რომელთანაც დაძაბული ურთიერთობა გაგვაჩნია“, — განაცხადა ელჩმა.

მისივე თქმით, ასეთ შემთხვევებში თურქული მხარე ამბობდა, რომ მესამე ქვეყანაში დეპორტაცია თვითონ დაკავებულის სურვილი იყო.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აშშ-ს მოუწოდებენ, სამხედროების მიერ პატიმრების წამების ფაქტები გამოიძიოს

**საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია Amnesty International-ი აშშ-ს მოუწოდებს, ამერიკელი სამხედროების მიერ პატიმრების წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტები გამოიძიოს.** ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ, წამების ამსახველი უამრავი ფოტომასალის არსებობის მიუხედავად, არც ერთ ამერიკელ მაღალჩინოსანს პასუხისმგებლობა არ დაკისრებია და, როგორც წესი, სასამართლო პროცესი რიგითი ჯარისკაცების წინააღმდეგ მიმდინარეობდა, „მაღალჩინოსნები კი კვლავ დაუსჯელები არიან". Amnesty International-ში აცხადებენ, რომ წამების ფაქტები სისტემატურ ხასიათს ატარებდა და სწორედ ამერიკელი მაღალჩინოსნების დავალებით ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინათ პენტაგონი იძულებული შეიქნა, ერაყსა და ავღანეთში მდებარე ამერიკულ სამხედრო ციხეებში პატიმრებზე ძალადობის ამსახველი 198 ფოტოსურათი გაესაჯაროებინა.

# რუსები თურქებთან 1921 წელს გაფორმებული ხელშეკრულების დენონსაციაზე ალაპარაკდნენ




**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის დიდი სახალხო საკრებულოს მთავრობას შორის 1921 წლის 16 მარტს მეგობრობისა და ძმობის შესახებ მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულების დენონსაციის მოწოდებით გამოვიდნენ. ამ წინადადებით რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს ვალერი რაშკინმა და სერგეი ობუხოვმა მიმართეს.**

„ვფიქრობთ, რომ ახლა, თურქეთის მზარდი აგრესიის პირობებში, იურიდიულად უნდა გადავხედოთ ჩვენი ქვეყნისა და მისი მოკავშირეებისათვის არახელსაყრელ ყველა ხელშეკრულებას რუსეთსა და თურქეთს შორის. ანკარამ უნდა გაიგოს, რით შეიძლება დასრულდეს მისთვის კონფლიქტის ესკალაცია. მხოლოდ ეს შეძლებს მის გამოფხიზლებას და ახალი პროვოკაციებისგან შეკავებას", — განუცხადა გაზეთ „იზვესტიას" სერგეი ობუხოვმა.

**რუსეთის სახელმწიფო დუმაში ისიც გაიხსენეს, რომ მოსკოვის ხელშეკრულებას არ აღიარებს საქართველო და სომხეთი** (ხელშეკრულების გაფორმების მომენტში — საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ).

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ხელშეკრულებაზე ლაპარაკი სტალინის სიცოცხლეში დაიწყო — 1946 წლიდან. საბჭოთა ისტორიკოსმა ალექსეი ჯიველეგოვმა 1946 წელს გაზეთ „იზვესტიაში" გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც ლაპარაკია მოსკოვის ხელშეკრულების უსამართლობაზე.

მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით, თურქეთის შემადგენლობაში მოექცა ყოფილი ყარსის ოლქი და ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (ეს ტერიტორიები 1878 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა), აგრეთვე, ერივანის გუბერნიის (რუსეთის იმპერიის ტერიტორია იყო 1828 წლიდან) სურმალინის უეზდი არარატის მთასთან ერთად.

ამ ხელშეკრულების დენონსაციით კი დადგება საკითხი საზღვრების გადახედვის შესახებ.




## «გუდ ბაი, ამერიკა!» 4300 ადამიანმა უარი განაცხადა აშშ-ის მოქალაქეობაზე

**ყველა ფინანსისტისთვის პატივსაცემი გაზეთი Wall Street Journal-ი იუწყება, რომ 2015 წელს ამერიკელთა სარეკორდო რაოდენობამ თქვა უარი თავისუფლებისა და დემოკრატიის ციტადელში ცხოვრებაზე.**

პრესტიჟული ამერიკული გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მხოლოდ 2015 წელს 4300-მა ადამიანმა განაცხადა უარი ამერიკის მოქალაქეობაზე.

„სულ უფრო მეტი ამერიკელი თვლის, რომ აშშ-ის პასპორტის ქონა ან იქ ხანგრძლივად ცხოვრების უფლება არ ღირს იმ ძალისხმევად და დანახარჯებად, რომლებსაც მოითხოვს ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა", — მოჰყავს გამოცემის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის, ენდრიუ მიტჩელის ციტატა.

ამერიკის მოქალაქეობაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი არის ქვეყანაში პოლიტიკის გამკაცრება გადასახადების იმ გადამხდელთა მიმართ, რომლებსაც ანგარიშები ოფშორულ ზონებში აქვთ.

## კადაფის ქალიშვილმა ლიბიელებს ნატოსა და ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა



**ლიბიის ყოფილი პრეზიდენტის — მუამარ კადაფის ქალიშვილმა აიშა კადაფიმ, რომელიც ამჟამად ერითრეაში იმყოფება, განაცხადა, რომ მზად არის, განაგრძოს მამის საქმე და ლიბიაში სათავეში ჩაუდგეს წინააღმდეგობის მოძრაობას ნატოსა და ტერორისტების წინააღმდეგ.**

აიშა კადაფი მამამისის სიცოცხლის ბოლო წუთების ამსახველი ვიდეოს გავრცელების შემდეგ გამოჩნდა მედიასივრცეში.

ტელეარხ „ბი-ბი-სის" მიერ გამოქვეყნებულ მუამარ კადაფის დასჯის ამსახველ ვიდეომასალაში ჩანს, როგორ იკრებს უკანასკნელ ძალას ნაცემი და გასისხლიანებული ლიბიის ლიდერი და გაჰყვირის: „სირცხვილი!", ბოლოს კი ერთ-ერთი ჯალათი მას თავში ტყვიას დაახლის.

ნაწამები მუამარ კადაფის შვილმა უბრალო ხალხს მოუწოდა, დაიცვას თავი ნატოსა და ტერორისტებისგან. მის მიმართვაში ნათქვამია, რომ ლიბიელები უნდა გამოფხიზლდნენ და დაიწყონ ბრძოლა „ხელისუფლებაში ჯამაჰირიის დასაბრუნებლად".



## ალიყური დასავლეთს უკრაინელი ოლიგარქისგან

**უკრაინაში გრძელდება ვნებათაღელვა, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრის პოსტიდან აივარას აბრომავიჩუსის გადადგომამ გამოიწვია.**

პოსტის დატოვებისას აბრომავიჩუსმა განაცხადა, რომ უკრაინელი პოლიტიკოსებიდან არავის სურს რეფორმირების პროცესისთვის ხელის შეწყობა, რადგან რეფორმები ოლიგარქების პირად ინტერესებს დააზარალებს. უკრაინაში ყველა დაჰკანკალებს თავის სკამს და ამიტომ პასიურად ცხოვრობს, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანაში დადებით ცვლილებებზე იმუშაოს.

აბრომავიჩუსს მხარი აუბა ოლიგარქმა **დიმიტრი ფირტაშმა**, რომელიც ამჟამად ავსტრიაში იმყოფება: „კიევს საერთოდ არ აქვს რეფორმების პროგრამა, და, როგორც ჩანს, ამ პოლიტიკოსებისთვის მთავარია, სახელმწიფო კომპანიებზე „ისხდნენ" და მათგან მოგება მიიღონ... **ქვეყანა ახლა გარე ძალების მიერ იმართება, ამასთანავე, იმართება უეფექტოდ, აშშ-მა ჩამოშალა უკრაინის ეკონომიკა. უკრაინა უნდა ქცეულიყო ხიდად ევროკავშირსა და რუსეთს შორის, მაგრამ ის დღეს არაფერია.** ამაზე მიანიშნებს ეკონომიკური მაჩვენებლები და ქვეყანაში შექმნილი ვითარება", — აღნიშნა ფირტაშმა, მისი ეს განცხადება ალიყურია დასავლეთისთვის.

უკრაინელი ბიზნესმენის განცხადების შემდეგ ბევრი ანალიტიკოსი იმედოვნებს, რომ უკრაინელები, ბოლოს და ბოლოს, მიხვდებიან, ქვეყანაში „ინტეგრაციის" ნაცვლად დეგრადაციის პროცესი რომ მიმდინარეობს.



## სირიის ხელისუფლება ინტერვენტებს შინ კუბოებით გაგზავნის

**სირიის ხელისუფლების ნებართვის გარეშე ქვეყანაში ნებისმიერი სამხედრო ძალის მოქმედება შეფასდება, როგორც აგრესია და გამოიწვევს მკაცრ ზომებს, — განაცხადა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალიდ მუალემმა.**

„ნებისმიერი სამხედრო ჩარევა, სირიის არაბული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობის გარეშე, აღქმული იქნება, როგორც აგრესია და ინტერვენტებს კუბოებით გავგზავნით სახლში", — განაცხადა მინისტრმა.

სირიის ხელისუფლება ეჭვობს, რომ თურქეთი სირიაში შესაჭრელად ემზადება. ამასთანავე, საუდის არაბეთმა გამოთქვა სურვილი, რომ საერთაშორისო კოალიციის ეგიდით, რომელსაც აშშ ხელმძღვანელობს, მონაწილეობა მიიღოს სირიაში დაგეგმილ სახმელეთო ოპერაციაში. ამ ოპერაციაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა ბაჰრეინის მთავრობამაც.



## ერდოღანმა ვაშინგტონს მოუწოდა, აირჩიოს, ვის უჭერს მხარს



**თურქეთის პრეზიდენტმა შეერთებული შტატების უშიშროების სამსახურის სპეციალური წარმომადგენლის სირიაში ვიზიტი გააკრიტიკა. ერდოღანმა ვაშინგტონს მოუწოდა, აირჩიოს, ვის უჭერს მხარს — თურქეთს თუ სირიელ ქურთებს, რომლებსაც ანკარა ტერორისტებად მიიჩნევს.** პრეზიდენტის თქმით, აშშ-ის სპეცწარმომადგენელი სირიელ ქურთებთან ვიზიტით მაშინ ჩავიდა, როდესაც ჟენევაში სამშვიდობო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა და დაარწმუნა სირიელი ქურთები, რომ პოლიტიკური გზით საკითხის გადაჭრის პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებული იქნება.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რა მოხდება, თუ არჩევნების შემდეგ სააკაშვილის მიმდევრები დაიწყებენ „მაიდანს“ უკრაინული სცენარით? ისიც დავუშვათ, რომ ალასანია და რესპუბლიკელები ორაზროვან პოზიციას დაიკავებენ. წარმოვიდგინოთ თავდასხმები, დამწვარი შენობები და ამ დროს კრიზისების მართვის საბჭო აღარ არსებობს, ხოლო მარგველაშვილს ხელეწიფება, უშიშროების საბჭო „საშიშროების საბჭოდ“ გადააქციოს, მისი ფუნქციონირება დაბლოკოს და მისი გამოყენებით სხვადასხვა უწყების მუშაობა შეაფერხოს. თუ ამ პერსპექტივას დეტალებში წარმოვიდგენთ, ალბათ, იმის წარმოდგენაც არ გაგვიჭირდება, რას ფიქრობს ამაზე ივანიშვილი.**

# მარგველაშვილის საშიშროების საბჭო და მსუბუქი დებილობა

**გასული კვირის ერთ-ერთ მოვლენად გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო ბენეფისი და მისი თანმდევი სკანდალი იქცა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის მოხსენებას კომენტატორებმა ნაკლები ყურადღება დაუთმეს, ვიდრე მთვრალი თამადის ოცდამეხუთე სადღეგრძელოს, იმ დღემ პოლიტიკურ სიტუაციაზე მსჯელობისთვის მაინც სერიოზული საბაბი მოგვცა.**



**„დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია — გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით — ანუ ფაქტიურად მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისათვის შესაფერისი აზროვნება — აი საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა“.** გიორგი მარგველაშვილის ტექსტი, რომელიც ამ შეფასებას შეიცავდა, 2001-ში გამოქვეყნდა ჟურნალში „დრო მშვიდობისა“. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის პრეზიდენტი გახდებოდა, ხოლო ამ ფრაზას მის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. **„თქვენ ქართველი ხალხი დაუნებს შეადარეთ. ძალიან სამწუხაროა, თუ თქვენ ასე აფასებთ საქართველოს მოსახლეობას. მაშინ, ალბათ, არც საქართველოს პრეზიდენტობა უნდა გეკადრათ“,** — უსაყვედურა მას **გოგი თოფაძემ** პარლამენტის ტრიბუნიდან.

ისე, საინტერესო კია, რას ფიქრობს მარგველაშვილი ერის ფსიქიკურ მდგომარეობაზე დღეს, მას შემდეგ, რაც ერმა პრეზიდენტად აირჩია. თუმცა მთავარი, ალბათ, არის ის, რომ თოფაძემ მარგველაშვილს „წელს ქვემოთ“ მაშინ დაარტყა, როდესაც პრეზიდენტს თავი, წესით, უსაფრთხოდ უნდა ეგრძნო. მის მოხსენებას ესწრებოდა ახალი პრემიერმინისტრი, „თავისუფალ დემოკრატებთან“ ორ ხმაში (ამაზე ქვემოთ) მნიშვნელოვანი და ძალზე არაერთგვაროვანი ინიციატივა გაახმიანა. ამდენი მარცხის შემდეგ ის თითქოს მიუახლოვდა წარმატებას და სწორედ მაშინ დაიწყო ის კოშმარული ეპიზოდი.

**თოფაძემ, სავარაუდოდ, მძიმე შეცდომა დაუშვა, როდესაც ზუსტი ციტირების ნაცვლად „დაუნები“ ახსენა, რის გამოც სავსებით სამართლიანად გააკრიტიკეს. მიზანშეწონილი არც ის იქნება, 15 წლის წინანდელი ტექსტი სერიოზულ კომპრომატად განვიხილოთ. და, ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ ისტორიის უკან იდგა სავსებით კონკრეტული გზავნილი პრეზიდენტის მიმართ: „თუ ჭკუით არ იქნები, გაცილებით მძიმე ეპიზოდებსაც შეგახსენებთ“, ხოლო თოფაძემ ფოსტალიონის როლი შეასრულა.**

მმართველი კოალიციის წარმომადგენლები და პირადად ბიძინა ივანიშვილი მარგველაშვილს განსაკუთრებით მძაფრად მაშინ აკრიტიკებენ, როდესაც მისი ამბიციების გამო პოლიტიკური პრობლემები იქმნება. როდესაც ღარიბაშვილი და მარგველაშვილი ერთმანეთს ადგილობრივი პოლიტცირკის არენაზე „კბენდნენ“, ივანიშვილი მათ დაპირისპირებაში არ ჩარეულა, მაგრამ, როდესაც მათ გაეროში „პარალელური“ ვიზიტები დაგეგმეს (თოფაძემ ეს ეპიზოდი გაიხსენა) და გაჩნდა სერიოზული პრობლემის შექმნის ნიშნები, ივანიშვილი განრისხდა. **როდესაც ფიგურანტი უმნიშვნელო ეპიზოდებში „საპრეზიდენტო პატივმოყვარეობას“ იკმაყოფილებდა, ივანიშვილი, პრინციპში, არაფერს ერჩოდა, მაგრამ, როგორც კი ავლაბრის რეზიდენციიდან გასვლაზე უარი თქვა, მყისვე შეუტია, რადგან ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური პრობლემა შეიქმნა და არა სიმბოლური, როგორც ბევრს ჰგონია (თოფაძემ ესეც შეახსენა).** რაც შეეხება ძველ კომპრომატებს, მათზე, როგორც წესი, მაშინ მიანიშნებენ, როდესაც ესა თუ ის პირი ახალ, მისი პატრონებისთვის მიუღებელ თამაშს იწყებს. 3 თებერვალს ასეთი თამაშის დაწყების რამდენიმე ნიშანი გამოვლინდა.

მარგველაშვილის გამოსვლაში იყო მონაკვეთი, რომელიც კონტექსტიდან ოდნავ ამოვარდნილი ჩანდა. მან დაიწყო საუბარი უშიშროების საბჭოს მნიშვნელობაზე და ამას ყურადღებას, ალბათ, არავინ მიაქცევდა, რომ არა **ვიქტორ დოლიძის** განცხადება: „ბოლო ორი წლის განმავლობაში ვაკვირდებით, თუ როგორ მუშაობს ეროვნული უშიშროების საბჭო. ის უნდა იყოს პრეზიდენტის დაქვემდებარების ქვეშ, ვინაიდან ის ჩვენი ქვეყნის მთავარსარდალია. შეიქმნა ახალი პარალელური სტრუქტურა, ე.წ. კრიზისების მართვის საბჭო. ვფიქრობთ, რომ კრიზისების მართვის საბჭო უნდა იყოს ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენელი ნაწილი. ამ აზრზე ვართ არა მხოლოდ ჩვენ — ამ საკითხზე მიღებული გვაქვს არაერთი რეკომენდაცია, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დონეზე, არაერთი რჩევა გვაქვს მიღებული ჩვენი ევროპელი პარტნიორებისგან“. მოგვიანებით პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა „თავისუფალი დემოკრატების“ ინიციატივას „თანხმობის დოკუმენტის“ შექმნის შესახებ, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში პარტიებს „თამაშის წესებს“ განუსაზღვრავს. ნაკლებად სავარაუდოა, ყოველივე ეს სპონტანურად, როლების წინასწარი განაწილების გარეშე მომხდარიყო.

**ახალმა პრემიერმა პრეზიდენტს ხელი გაუწოდა, მან კი ისეთი ნაბიჯით უპასუხა, რომელიც შეიძლება შეფასდეს მხოლოდ, როგორც სისულელე ან ღალატი. შესაძლოა, სწორედ ამიტომ თოფაძემ ხაზგასმით უხეში განცხადება გააკეთა, რომელიც ძალიან ჰგავდა შეძახილს: «აზრზე მოდი, ბიჭო!»**

ალმოცენდება თუ არა ამ შემთხვევაშიც ამბიციების ნიადაგზე პოლიტიკური პრობლემა, როგორც ეს ორ, ზემოთ აღწერილ შემთხვევაში მოხდა?

**რა მოხდება, თუ არჩევნების შემდეგ სააკაშვილის მიმდევრები დაიწყებენ „მაიდანს“ უკრაინული სცენარით? (ამაზე არაერთი კომენტატორი მსჯელობს). ისიც დავუშვათ, რომ ალასანია და რესპუბლიკელები ორაზროვან პოზიციას დაიკავებენ (იმედია, არ ეწყინებათ). წარმოვიდგინოთ თავდასხმები, დამწვარი შენობები და ამ დროს კრიზისების მართვის საბჭო აღარ არსებობს, ხოლო მარგველაშვილს ხელეწიფება, უშიშროების საბჭო „საშიშროების საბჭოდ“ გადააქციოს, მისი ფუნქციონირება დაბლოკოს და მისი გამოყენებით სხვადასხვა უწყების მუშაობა შეაფერხოს. თუ ამ პერსპექტივას დეტალებში წარმოვიდგენთ, ალბათ, იმის წარმოდგენაც არ გაგვიჭირდება, რას ფიქრობს ამაზე ივანიშვილი.**

მსგავსი რამ რომც არ მოხდეს, ეს ცვლილება დაარღვევს ბალანსს, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ შეიქმნა და საპრეზიდენტო მოდელის რეანიმირებისკენ წაგვიყვანს. დღეს, როდესაც ყველა შეეჩვია უფლება-მოვალეობების განაწილების ახალ სისტემას და ის მეტ-ნაკლებად დაბალანსდა, ახალი ცვლილებების შეტანა (თანაც რთულ წინასაარჩევნო თვეებში, როდესაც ქვეყანა დიდი პროვოკაციის მოლოდინში ცხოვრობს) დაახლოებით იგივეა, რაც მოძრავი ავტომანქანის შეკეთება.

ეს იდეა დაიწუნეს მინისტრებმა და უმრავლესობის დეპუტატებმა, მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის განცხადებაში კი საკმაოდ საგულისხმო ფრაზა ითქვა: **„პრემიერმინისტრი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს მთავრობისა და პირადად მისი მხრიდან პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებისკენ გადადგმული კონსტრუქციული ნაბიჯების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების მცდელობას“.** ინიციატივა ამ განცხადებაში შეფასდა, როგორც „არაადეკვატური“, მარგველაშვილისთვის გასაგებ ენაზე რომ გადავთარგმნოთ, „მსუბუქად დებილური“. თუ სიტუაციას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების კოორდინატთა სისტემაში განვიხილავთ, ალბათ, ასეთ სურათს მივიღებთ: **ახალმა პრემიერმა პრეზიდენტს ხელი გაუწოდა, მან კი ისეთი ნაბიჯით უპასუხა, რომელიც შეიძლება შეფასდეს მხოლოდ, როგორც სისულელე ან ღალატი. შესაძლოა, სწორედ ამიტომ თოფაძემ ხაზგასმით უხეში განცხადება გააკეთა, რომელიც ძალიან ჰგავდა შეძახილს: „აზრზე მოდი, ბიჭო!“.**

აქ შეიძლება გაჩნდეს საინტერესო კითხვა – რა არის უფრო მნიშვნელოვანი ივანიშვილისთვის: მარგველაშვილის „გამოფხიზლება“ თუ ის, რომ ყველამ, შინ და გარეთ, დაიჯეროს, დაპირისპირებამ უმწვავესი ხასიათი რომ მიიღო? ამ მოსაზრების დამკვიდრებამ ივანიშვილის მოწინააღმდეგეებს შეიძლება არასწორი სტრატეგიების შექმნისკენ უბიძგოს. კაცმა რომ თქვას, ადამიანები გაცილებით იოლად იჯერებენ იმას, რაც მათ სურვილებს შეესაბამება. შეგვიძლია, ერთი ძველი ისტორიაც გავიხსენოთ: **როდესაც 2012-ში, არჩევნების წინ, თედო ჯაფარიძე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ესტუმრა, ამერიკელი მაღალჩინოსნები, მისი თქმით, ფოკუსირებულნი იყვნენ იმაზე, რომ თავიდან აეცილებინათ ივანიშვილის მხარდამჭერთა გამოსვლები და გამუდმებით უსვამდნენ კითხვას — რა მოხდება როდესაც წააგებთ? ჯაფარიძე, თავის მხრივ, ეკითხებოდა: რა მოხდება როდესაც მოვიგებთ? მაგრამ მათ ამის არ სჯეროდათ („ნიუ იორკ თაიმსი“ 08.10.12).** ვისზე იმუშავა რეალურად ენ-დი-აის იმ „შიზორეიტინგებმა“, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ დამაჯერებელ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა? რომ არა ეს მონაცემები, სააკაშვილი და მისი პარტნიორები დასავლეთში, ალბათ, გაცილებით ეფექტიან წინასაარჩევნო გეგმებს შეადგენდნენ, მაგრამ ამ რეიტინგებმა, როგორც ნარკოტიკმა, რეალობასთან კავშირი დააკარგვინათ და დაიჯერეს ის, რის დაჯერებაც სურდათ. მოკლედ, მოწინააღმდეგის არასწორი წარმოდგენები რესურსია, რომლის გამოყენებამ შეიძლება წარმატება მოიტანოს. კარგი იქნება, თუ მარგველაშვილის თავგადასავლებს ამ რაკურსითაც შევხედავთ.

**რა უნდა მარგველაშვილს რეალურად და რა მისწრაფებებს მიაწერენ მას ივანიშვილის მოწინააღმდეგეები?**

რაც შეეხება მარგველაშვილის ძველ ტექსტს... იაპონიაში არის ასეთი წესი: ახალი იმპერატორი ტახტზე ასვლისას თავისი მმართველობის დევიზს ამტკიცებს. **მუცუჰიტოს** შემთხვევაში ეს იყო „მეიძი“ (განათლებული მმართველობა), შემდეგ იყო **ესიჰიტოს** „ტაისე“ (დიდი სამართლიანობა), შემდეგ **ჰიროჰიტოს** „სევა“ (განათლებული მშვიდობა), ახლა **აკიჰიტოს** „ჰეისეი“-ა (მშვიდობის დამკვიდრება). ასეთი დევიზი გამოიყენება, როგორც იმპერატორის მმართველობის პერიოდისა და იაპონიის ისტორიის მორიგი ეპოქის სახელწოდება. ალბათ, ურიგო არ იქნება, ეს ტრადიცია გადმოვიღოთ და ჩვენი პოლიტიკის მდიდარ ფსიქიატრიულ ტრადიციებს მივუსადაგოთ, დაახლოებით ასე: **„დასრულდა მძიმე იდიოტიზმის ეპოქა და დაიწყო მსუბუქი დებილობის ეპოქა“.** იაპონიაში არის კიდევ ერთი წესი, ტახტზე ასვლის შემდეგ იმპერატორი თითქოს „კარგავს“ ძველ სახელს და მას ახსენებენ მხოლოდ, როგორც შესაბამისი ეპოქის მმართველს. მაგალითად, მუცუჰიტო გახდა „იმპერატორი მეიძი“, ესიჰიტო — „იპერატორი ტაისე“ და ა.შ. შესაბამისად, ჩვენი უახლესი ისტორიის მატიანეში ეს, ალბათ, ასეთ სახეს მიიღებს: **„მძიმე იდიოტის შემდეგ სასახლეში მსუბუქი დებილი დაბინავდა“.** საინტერესოა, რას გვირჩევს ამ ახალი წესის შემოღებაზე გიორგი მარგველაშვილი.

მე თუ მკითხავთ, ამის გაკეთება უაღრესად ლოგიკური და სამართლიანი იქნება.

**დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს ყოველდღიურად „იცავს“ აშშ-ის ელჩი საქართველოში, რომელთანაც უკვე კერძო ტელეკომპანიის მესვეურებიც კი დადიან „კონსულტაციებზე“, ხოლო „პოლიტიკური მანევრირების თავისუფლების უზრუნველყოფა“ იმაში გამოიხატება, რომ გულდაგულ გვაჩვევენ მომავალ პარლამენტში დასავლური და კიდევ უფრო დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ძალების გასვლას.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# MAPატიე, თინა!

## თუ კარიდან არ გიშვებენ, ფანჯრიდან შედი!
### შეგონება დამწყები ჟურნალისტისთვის

**ვარშავის სამიტის მომლოდინე საქართველოს ნატომ მაშველი რგოლი გადმოუგდო ჯეიმს აპატურაის სახით. საქართველოს – რა, მის იმ ნაწილს, ნატოს ერთგულების ფიცს მანტრასავით რომ იმეორებს! „მოამბის“ ჟურნალისტმა ექსკლუზიური ინტერვიუს წარდგენისას გვამცნო, რომ ნატოს სპეციალური წარმომადგენელი იმ თემებზე ილაპარაკებდა, რომელიც ესმის, ილაპარაკებდა გულწრფელად და ზოგიერთ რამეს პირველადაც იტყოდა. გულწრფელად და საქმის ცოდნით, როგორც ჩანს, მანამდე აპატურაის არ ულაპარაკია.**



**რას უნდა ველოდოთ ვარშავის სამიტზე? სოლიდარობას და საქართველოს ჩრდილოატლანტიკური მისწრაფების შესახებ ძლიერ განცხადებას. ძლიერ განცხადებას! მაპზე უკეთესს! კიდევ უფრო ძლიერსა და უკეთესს! წლების განმავლობაში ნატოს კართან ატუზული საქართველო ახლა „ფორთოხკასთან“ ინაცვლებს და დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებების ლოდინს იწყებს**

მაშ, ასე: აპატურაიმ პირველად თქვა ის, რაზეც „საქართველო და მსოფლიო“, უკვე წლებია, წერს და ამის გამო გაზეთს პრორუსულობაში ადანაშაულებენ. კერძოდ, აპატურაიმ განაცხადა, რომ **„უსაფრთხოების გარანტიების გარეშე საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭება თქვენი ქვეყნისთვის რისკს გაზრდის“. უცნაურია, რომ ამაზე ნატოს წევრი სახელმწიფოები ფიქრობენ და არა ჩვენი პოლიტიკოსები, თორემ აკი მოგახსენეთ, ამაზე არაერთხელ დაგვიწერია.**

აქტიური ჟესტიკულაცია და ცოტა დამნაშავე გამომეტყველება აშკარად თვალში საცემი იყო. ფროიდის წამოცდენასავით გაისმა დასაწყისშივე ნათქვამი: „არ ჩამოვაფარებთ ფარდებს და არ ვიზრუნებთ მხოლოდ ჩვენს თავზე. უფრო და უფრო აქტიურად დავეხმარებით პარტნიორებს, ასპირანტ ქვეყნებს, რომ შევძლოთ მათი ტერიტორიების დაცვა და მათი პოლიტიკური მანევრირების თავისუფლების უზრუნველყოფა, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი“.

**დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს ყოველდღიურად „იცავს“ აშშ-ის ელჩი საქართველოში, რომელთანაც უკვე კერძო ტელეკომპანიის მესვეურებიც კი დადიან „კონსულტაციებზე“, ხოლო „პოლიტიკური მანევრირების თავისუფლების უზრუნველყოფა“ იმაში გამოიხატება, რომ გულდაგულ გვაჩვევენ მომავალ პარლამენტში დასავლური და კიდევ უფრო დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ძალების გასვლას.**

ჟურნალისტის კითხვაზე — მიიჩნევთ თუ არა ერთ-ერთ ვარიანტად რუსეთთან დიალოგის წარმოებას, მაგალითად, ჩვენთვის მნიშვნელოვან — ნატოს გაფართოების თემაზე, აპატურაიმ უპასუხა: **„თუ რუსეთთან გვექნება დიალოგი, ეს დაიწყება უკრაინით, რომელმაც ჩვენი ურთიერთობები გაართულა. უნდა ვნახოთ, სურს თუ არა რუსეთს საუბარი. ვფიქრობ, არ სურს, მაგრამ უნდა ვეცადოთ, ეს არის მნიშვნელოვანი ჩვენი მოსახლეობისთვის. თუ დიალოგს დავიწყებთ ეს იქნება უკეთესი, მათ შორის, საქართველოსთვის, რუსეთისთვისაც კი“.**

ანუ, **დიალოგს თქვენ კი არა, ჩვენ დავიწყებთო, თანაც ისე, რომ ჯერ თქვენთვის არ გვცალია და უკრაინაზე დაველაპარაკებითო! რიგში ჩამდგარი საქართველო აქაც უკან გადასწიეს და შვიდი წლით გვიან მომხდარი ამბები წამოწიეს წინა პლანზე. რას იზამ, როცა ვასალის მდგომარეობა მოგწონს, სიუზერენის გადაწყვეტილება უდრტვინველად უნდა მიიღო!**

მართალია, „მაპზე უკეთესი“ უკვე მიღებული გვაქვს, მაგრამ ამ ქრონიკულ უმაპობაში აპატურაიმ მწყობრად ახსნა: „მაპი შეიქმნა, როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, მას არ უნდა ჰქონოდა ასეთი პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორიც ახლა აქვს. იმის თქმით, რომ მაპი ისევ საჭიროა, ხაზს ვუსვამთ მის პოლიტიკურ ხასიათს. ვფიქრობ, ყურადღება უნდა გამახვილდეს პირველ ნაწილზე, პრაქტიკულ მექანიზმებზე და არ მოხდეს ფოკუსირება პოლიტიკურ ასპექტზე. **მაპის საკითხზე თანხმობა ჯერ არ არის და ეს არის ის, რის ბოლომდე გაკონტროლება ჯერ არ შეგვიძლია. რასაც ვაკონტროლებთ, ეს არის პრაქტიკული იმპლემენტაცია...** პროცესს დააზიანებს, თუ ყველა პოლიტიკურ შეხვედრაზე მაპი დასახელდება მიზნად. ვფიქრობ, ეს ქმნის იმედგაცრუებას.“.

ამაზეც **ვწერდით, რომ თანხმობა მაპის მოცემაზე არ არის, ნატოს წევრობაზე — მით უმეტეს. იმაზეც, რომ გადაჭარბებული მოლოდინების შექმნით სწორედ იმედგაცრუებას იმკის ხელისუფლება. თუმცა დღეს უკვე ითქვა, რომ „მაპის თემა რელევანტური არ არის“, ანუ თქვენი იმედები შეუსაბამოა და არც თქვენ ხართ მთლად ადეკვატურებიო! კიდევ რა უნდა უთხრან ნატოსკენ გადახრილ ჩვენს პოლიტიკოსებს, რომ მათ „რელევანტური“ დასკვნა გამოიტანონ?**

ამის შემდეგ კიდევ უფრო ნიშანდობლივი განცხადება გააკეთა აპატურაიმ და უმაპობა ასე დაასაბუთა: „მე რომ ვიყო ასპირანტი ქვეყნიდან, ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ნატოში შესვლა და არა მაპი. მაპი ნაბიჯია, ხოლო მიზანი — ნატოს წევრობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიზანია“. ერთი სიტყვით, **თუ ოცნებაა, ოცნება იყოს, „ნაბიჯის“ ნატვრას მთლად ნატოს წევრობა ინატრეთო! არც ერთი იქნება და არც მეორე, მაგრამ ოცნება მაინც გექნებათ დიადი და ნათელიო!**

ნატოში კარგად ესმით, რომ „მაპზე უკეთესის“ მიმღები წინა ხელისუფლების სახეები საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე უმაპობას თითზე დაიხვევენ და „ოცნების“ კიდევ ერთ „უნიათობად“ მონათლავენ, ამიტომ წინასწარ გააფრთხილეს: **„მინდა, თქვენთან ღიად ვთქვა, რომ ეს არის როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის პასუხისმგებლობა. ოპოზიცია უნდა დაფიქრდეს, რამდენად სწორია მოთხოვოს ხელისუფლებას მაპი და განაცხადოს, რომ ხელისუფლებამ წარმატებას ვერ მიაღწია, ვინაიდან მათ ვერ მიიღეს მაპი.** მესმის საშინაო პოლიტიკა და არ მინდა, მასში ძალიან ჩავერიო, მაგრამ ვფიქრობ, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნება აქცენტის გაკეთება იმპლემენტაციაზე, მაპის მიღება ახლა ვერ მოხდება. არ უნდა ვუყუროთ ამ საკითხს ბრმად და არ უნდა ვაქციოთ ეს პოლიტიკურ ფეხბურთად“.

**ფეხბურთია თუ მაგიდის ჩოგბურთი (პინგ-პონგი), დეკემბერში მიღებული განცხადების ტექსტი ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის არ შეიცვლება.** აპატურაი არ ელოდება განცხადების ტექსტის შეცვლას, თუ დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები არ მოხდა: „სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა არ ჩანს დღესდღეობით“.

**რას უნდა ველოდოთ ვარშავის სამიტზე? სოლიდარობას და საქართველოს ჩრდილოატლანტიკური მისწრაფების შესახებ ძლიერ განცხადებას, ძლიერ განცხადებას! მაპზე უკეთესს! კიდევ უფრო ძლიერსა და უკეთესს!**

თუმცა **ამ გულწრფელ ინტერვიუს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის კომენტარი აჭარბებს.** აშკარად ნირწამხდარი მინისტრი ჯერ შეტევაზე გადასვლას ეცადა და „მოამბის“ წამყვანს უსაყვედურა: „მეგონა, შეთანხმებული ვიყავით, რომ საქართველოს მიზანი არის ნატოს წევრობა და არა — მაპი. ჩვენ, ქართული სახელმწიფო, არ ვითხოვთ მაპს“. მაგრამ წამყვანმა ტერიტორიული პრობლემებიც შეახსენა და სხვა რეალობებიც, მინისტრმა კვლავ სცადა ინიციატივის ხელში ჩაგდება, მაგრამ უშედეგოდ. სრულიად უადგილოდ იკითხა, როგორ გგონიათ, შვედეთსა და ფინეთს მაპს ვინმე შესთავაზებსო? წამყვანმაც მიანიშნა, სად შვედეთ-ფინეთი და სად ბედკრული საქართველოო და ბოლოს **მოთმინებადაკარგულმა ხიდაშელმა თქვა ის, რასაც სხვა დროს ნამდვილად არ იტყოდა:** „არსებობს რეალობები, გეოპოლიტიკური გარემო, დამარცვლით თქვა აპატურაიმ. ამიტომ ნუ გამოვეკიდებით ფანტომებს. არ არის ჩვენი ოცნება და ამოცანა მაპის მიღება. ჩვენ დღეს უნდა მოვემზადოთ, რომ ხვალ, როცა გაიხსნება ეს ფანჯარა და აუცილებლად გაიხსნება საქართველოთვის, როგორც გაიხსნა ბალტიისპირეთისთვის, თავის დროზე პოლონეთისთვის, ჩეხეთისთვის, ამ ფანჯარაში შესვლა შევძლოთ. კარს არავინ გაგვიღებს, რუსეთი ამას არასდროს დათანხმდება, მაგრამ ფანჯარა აუცილებლად გაიღება“.

არსებობს ასეთი შეგონება დამწყები ჟურნალისტებისთვის: „თუ კარში არ გიშვებენ, ფანჯრიდან უნდა შეხვიდე“. ერთი სიტყვით, **წლების განმავლობაში ნატოს კართან ატუზული საქართველო ახლა „ფორთოხკასთან“ ინაცვლებს და დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებების ლოდინს იწყებს.**

— გივი, ჩვენ ვართ, გივი!

პასუხი არ არის.

საინტერესოა, როდიდან როდემდეა დალოდების საათები.

ვარშავის სამიტამდე 7 თვეა და ხიდაშელმა არ იცის, რა ცვლილებები იქნება. „გვექნება მეტი პრაქტიკული მხარდაჭერა... წვრთნები... მასშტაბური. ...რაც შეიძლება მეტი ნატოს სამხედრო მოსამსახურე საქართველოში ჩვენს მხარდასაჭერად, ჩვენი ჯარის გასაძლიერებლად, რაც შეიძლება მეტი ტექნიკა, თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებთან წვდომა ექნებათ ჩვენს სამხედროებს... და რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური სტუმრიანობა საქართველოში, რომ ვიღაცას სხვა აზრები არ გაუჩნდეს“.

ვიღაცას არ ვიცი და, აპატურაის უკვე გაუჩნდა „სხვა აზრები“. სიტყვა „ფანჯარაც“ მისი შემოგდებულია. აკი თქვა, ჩვენ ფარდებს არ დავხურავთო, ფარდა კი სწორედ ფანჯარაზეა ჩამოფარებული. მისი ბოდიშის მაგვარი ტონიც გასაგებია, დაპირებებში წლები გავიდა. ძველი ანეკდოტია: შუა საუკუნეებში მშვილდოსანთა შეჯიბრება ტარდებოდა ინგლისში. გამოვიდა ერთი, მიზანს ზუსტად გაარტყა ისარი და წამოიძახა: I am Quentin Durward! გამოვიდა მეორე, ისარი ბეჭედში გააძვრინა და გამოაცხადა: I am Robin Hood! გამოვიდა მესამე, მიზანს ააცდინა და თქვა: I am sorry!

**ჯეიმს აპატურაი არც კვენტინ დორვარდია და არც რობინ ჰუდი, I AM SORRY-ა!**

**კიდევ როგორ უნდა ეთქვა — MAP–ატიე, საქართველო!**

არადა, ნატოს ამბებში ჩვენთვის რომ დაგეჯერებინათ, საბოდიშოდ არ გაგიხდებოდათ საქმე!

**თამარ დავითულიანი**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ საპატრიარქოს უნდა დაეჭირა მხარი კანონპროექტისთვის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული სახდელის შემოღების თაობაზე, ის კი თავისი განცხადებით არათუ მხარს უჭერს სოსო ჯაჭვლიანის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, არამედ, ფაქტობრივად, ემიჯნება მას, რითაც, ფაქტობრივად, საჯიჯგნად მიუგდო სოსო ჯაჭვლიანიც და ამ კანონის მხარდამჭერი სხვა პირები სამთავრობო თუ არასამთავრობო ხლისტებს. თანაც, როგორც პირველი, 6 წლის წინანდელი განცხადებიდან ჩანს, ურცხვად ტყუიან, მსგავსი კანონის მიღება არასოდეს მოგვითხოვიაო!**

# ობერპროკურორიდან ობერმოქალაქემდე

## გვყავს ჭყონდიდელი... არ გვყავს დავითი!

„მივმართავთ ხელისუფალთ, რეალური შეფასება მისცენ მომხდარს და **სასწრაფოდ მიიღონ კანონი, რომელიც სათანადოდ დაიცავს მოსახლეობას უხამსობისგან, დაიცავს პიროვნებისა და საზოგადოების პატივსა და ღირსებას და მათ რელიგიურ გრძნობებს**. ამით ჩვენ დავიცავთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა მშვიდობასა და კეთილდღეობას“
საქართველოს საპატრიარქოს განცხადება,
17 მაისი, 2010 წელი

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ძალიან ხშირია ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის მიმართ ცილისწამებლური და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები და გამოსვლები, **მსგავსი კანონპროექტის მიღების საკითხი არც ადრე და არც ამჟამად ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა**. რელიგიურ თემებთან დაკავშირებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე მომავალ სამშაბათს საქართველოს საპატრიარქოში ინტერრელიგიურ საბჭოში შემავალი რელიგიური გაერთიანებების სამუშაო შეხვედრა იგეგმება“
საქართველოს საპატრიარქოს განცხადება,
4 თებერვალი, 2016 წელი

**ეს ორი, რბილად რომ ვთქვათ, ურთიერთგამომრიცხავი განცხადება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ეკუთვნის.**




**«ობერპროკურორი» სოსო თოფურიძე იძებნება და საკითხავია, დღეს ვინ არის საპატრიარქოს ახალი ზედამხედველი «ობერპროკურორი»? მაგრამ, თუ არავის დაუკავებია სოსო თოფურიძის «თანამდებობა» და საპატრიარქო აღარ განიცდის სახელისუფლო ზეწოლას, ამა წლის 4 თებერვლის სამარცხვინო განცხადება რას და ვის უნდა მივაწეროთ?**

პირველი 2010 წლის 15 მაისს გაკეთდა, მას შემდეგ, როდესაც „მწერალ“ ერეკლე დეისაძის წიგნის — „საიდუმლო სირობის“ — პრეზენტაციამ ე.წ. ილიაუნში საზოგადების აღშფოთება გამოიწვია, რასაც მოჰყვა ტელეკომპანია „კავკასიაში“ მოწყობილი პროვოკაცია, რომლის შედეგადაც მართლმადიდებლური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ჩაჩუა** დააპატიმრეს და სააკაშვილის რეჟიმის დამხობამდე ციხეში აყურყუტეს.

ამავე განცხადებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **„უკვე რამდენიმე წელია, აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნული ფასეულობებისა და ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ“ და „არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შემდგარი [წიგნის] პრეზენტაციაც ამ მიზნით შემუშავებული ახალი გეგმის პირველი ნაწილი იყო“.**

მკითხველს შევახსენებ, რომ ეს განცხადება გაკეთდა იმ პერიოდში, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის „სამთავრობო ზედამხედველი“ (არაფორმალური მმართველი) თუ „ობერპროკურორი“ იყო **სოსო თოფურიძე**, რომელიც სრულიად არალეგიტიმურად ესწრებოდა სინოდის კრებებს მასზე ზემოქმედების მიზნით. თოფურიძე ესწრებოდა იმ კრებასაც, რომელზეც, პატრიარქის წინააღმდეგობის მიუხედავად, მხარი დაუჭირეს სახიფათო (ასე უწოდა ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა) კანონს ქართული ეკლესიის უფლებრივად გათანაბრების შესახებ არა მხოლოდ ტრადიციულ რელიგიურ კონფესიებთან, არამედ სატანისტურ სექტებთანაც კი, ანუ ხლისტებთან!

**„ობერპროკურორი“ სოსო თოფურიძე იძებნება (ისე რა ვუთხარი „ქართული ოცნებას“, ვინმეს მართლა ეძებდეს — უსამა ბინ ლადენი „ამოიღეს მიწიდან“ და სოსო თოფურიძის, მეგის ქარდავას, დათა ახალაიას, გიორგი უდესიანისა და სხვა წვრილფეხა თუ მსხვილფეხა სისხლის სამართლის დამნაშავეთა პოვნა და ქართველი ხალხის სამსჯავროზე ჩამოთრევა რა გახდა?!) და საკითხავია, დღეს ვინ არის საპატრიარქოს ახალი ზედამხედველი „ობერპროკურორი“? მაგრამ, თუ არავის დაუკავებია სოსო თოფურიძის „თანამდებობა“ და საპატრიარქო აღარ განიცდის სახელისუფლო ზეწოლას, ამა წლის 4 თებერვლის მეტად უცნაური განცხადება რას და ვის უნდა მივაწეროთ?**

დიახ, მეტად უცნაური, რადგან, პირველ რიგში, **სწორედ საპატრიარქოს უნდა დაეჭირა მხარი კანონპროექტისთვის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული სახდელის შემოღების თაობაზე. ის კი თავისი განცხადებით არათუ მხარს უჭერს სოსო ჯაჭვლიანის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, არამედ, ფაქტობრივად, ემიჯნება მას, რითაც საჯიჯგნად მიუგდო სოსო ჯაჭვლიანიც და ამ კანონის მხარდამჭერი სხვა პირებიც სამთავრობო თუ არასამთავრობო ხლისტებს. თანაც, როგორც პირველი, 6 წლის წინანდელი განცხადებიდან ჩანს, ურცხვად ტყუიან, მსგავსი კანონის მიღება არასოდეს მოგვითხოვიაო!**

იქნებ იმიტომ გამოცხვა მეორე განცხადება, რომ დღეს აღარც ეროვნულს ებრძვიან და აღარც ეკლესიას?!

ვფიქრობ, დასმული კითხვები გარკვეულწილად რიტორიკულიც არის, ანუ კითხვებიდან პასუხებიც მომდინარეობს, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

**დღეს ებრძვიან, თუ ებრძვიან, მართლმადიდებელ ეკლესიას (წაიკითხე — ეროვნულ ფასეულობებსა და ქართველობას), თორემ თავის დროზე ბუდარიხა თეა თუთბერიძის კენტად გამოხტომა, აბა, რა სახსენებელია?!**

დღეს **ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების (ასო) სახით, „ათასი“ თეა თუთბერიძეა აჯაგრული ყოველივე მართლმადიდებლურისა და ეროვნულის წინააღმდეგ. იქამდეც კი მივიდნენ, რომ ქაშუეთის გალავანზე ამოკაწრულ ღვთისმშობლის კარიკატურას უწყინარ ე.წ. გამოხატვის თავისუფლებას უწოდებენ, ხოლო ილიაუნში (მიუხედავად იმისა, რომ გიგი თევზაძე აღარ არის ამ „უნივერსტეტის“ რექტორი, მაინც ილიაუნია ყოველივე ეროვნულისა და მართლმადიდებლურის მთავარი მტერი) გამოფენილ ღვთისმშობლის მკრეხელურ ნახატს — ხელოვნების ნიმუშს, რომლის შინაარსი იმიტომ არ გვესმის, რომ მათსავით „პრადვინუტები“ არ ვართ.**

ასოები ისე გათავხედდნენ, როგორ თუ პატრიარქმა პატიმრების შეწყალების უფლება მოითხოვაო, და საპატრიარქოსთან აქცია მოაწყვეს პატრიარქის გადადგომის მოთხოვნით: „ბერო, წადი მონასტერში“...

რაც შეეხება საპატრიარქოს მეორე განცხადების იმ ფრაზას, რომ მათი მიზანი არ არის „ჯანსაღი კრიტიკის თავიდან აცილება“, ვიტყვი, რომ **ასოებს, ეკლესიის მიმართ კრიტიკის კი არა, ხმის ამოღების მორალური უფლებაც არ აქვთ, რადგან მათ მორალი, როგორც ასეთი, საერთოდ არ გააჩნიათ. მათი ამორალურობის დონე იმ თანხის პირდაპირპროპორციულია, რომლითაც ოკეანის გაღმიდან ფინანსდებიან.**

აი, ჩვენ კი, **ქართველ საზოგადოებასა და მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს, მგონი, გვაქვს უფლება, ვიკითხოთ — რა ხდება ჩვენს დედაეკლესიაში?**

თუნდაც ზემოხსენებული სინოდის კრების შედეგებიდან გამომდინარე, რომელზეც პატრიარქის ნების საწინააღმდეგო კანონი მიიღეს, სრული უფლება გვაქვს, დავასკვნათ, რომ წმინდა სინოდის წევრთა უმრავლესობა ჯიპებზე ამხედრებული „მეუფე ყანდურები“ არიან.

გასაგებია, რომ დღეს სხვა დროა და იმის თქმა, ქრისტე ვირზე იჯდა და არა ჯიპზეო, იაფფასიანი პოპულიზმია; ისიც გვესმის, რომ ჩვენს ეკლესია-მონასტრებში მიმავალი გზების უმრავლესობას მაღალი გამავლობის მანქანები სჭირდება, მაგრამ მაინცდამაინც ათიათასობით დოლარის ღირებულების ავტომობილი?! იაფი „ნივა“ ან “პაჯეროს” ჯიპი, რომელიც 3-4 ათასი ღირს, „პრადო“-„ნისანს“ კომფორტით თუ ჩამოუვარდება (მაცივარ-ტელევიზორი არ მოჰყვება), თორემ გამავლობით — არავითარ შემთხვევაში. „ნივა“ ყველგან მივაო, ტყუილი კალამბურია?

რადგან კომფორტზე ჩამოვარდა სიტყვა, ყანდურთა რეზიდენციებიც ვნახოთ — იქაური კომფორტი და ფუფუნება ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს შემშურდებათ...

ბუნებრივად ჩნდება კითხვა — ეს ყველაფერი პატრიარქმა არ იცის?

იცის, როგორ არ იცის, მაგრამ რა ქნას, **ყანდურთა მხილება რომ დაიწყოს, ქართული ეკლესიის ეფემერული ერთიანობაც დაიშლება, რადგან ყანდურები თავთავიანთ ეპარქიებს დამოუკიდებელ ერთეულებად გამოაცხადებენ. ანუ, ის ყანდურები, რომლებიც მიშას სისხლიან რეჟიმს წლების განმავლობაში გუნდრუკს უკმევდნენ და მისი პორტრეტები ეკიდათ წმინდა ხატების გვერდით, ქართული ეკლესიის რამდენიმე საპატრიარქოდ დაშლას შეეცდებიან, ისე, როგორც ეს საბერძნეთში მოხდა!**

როგორც „ქართული ოცნების“ ერთიანობაა ბლეფი და ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტის გამო არ დაიშალა აქამდე, ასევეა ქართული ეკლესიაც — მის ერთიანობას ჩვენი დიდებული პატრიარქის ავტორიტეტი ინარჩუნებს, მაგრამ...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ახალი „რუის-ურბნისია“ საჭირო, მაგრამ ამ კრებას მხოლოდ პატრიარქი ვერ გამართავს, ამისთვის დავითია საჭირო! სხვანაირად ეკლესიის საქმეებში ჩარევას არც ძებნილი ობერპროკურორები მოიშლიან და არც გადამდგარი ობერმოქალაქე.

ერთი სიტყვით, გვყავს ჭყონდიდელი ილია მეორეს სახით, მაგრამ არ გვყავს დავით აღმაშენებელი და, ღმერთო, მანამდე აცოცხლე ჩვენი პატრიარქი, სანამ დავითი გამოჩნდება, თორემ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო დაიღუპება!

**დავით მხეიძე**

„სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამ შეუწყო ხელი იმ პროცესებს, რომლებიც დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს. ახლა პარლამენტმა რომც გადაწყვიტოს, უარი თქვას ერთნაირი სქესის ადამიანების დაქორწინებაზე, შეიძლება ეს დისკრიმინაციად ჩაითვალოს, რადგან გამოდის, რომ კანონს ვეწინააღმდეგებით“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა დავითი (ისაკაძე):

# დღეს საქართველოში მართლმადიდებლობა დევნილია



**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა უკვე განიხილა და პირველივე მოსმენით მხარი დაუჭირა დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა“ დაისჯება. საკანონმდებლო ინიციატივა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებს ითვალისწინებს და, მისი დამტკიცების შემთხვევაში, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა 300 ლარით დაჯარიმდება, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმა 600 ლარი იქნება. რელიგიური შენობებისა და სხვა სიწმინდეების წაბილწვა კი 500 ლარით დაჯარიმებით დაისჯება. კანონპროექტის ავტორია „დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ დირექტორი ზვიად ტომარაძე, ინიციატორი კი — პარლამენტარი სოსო ჯაჭვლიანი. ამ ინიციატივას უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, ვინაიდან, მათი აზრით, ეს კანონი გამოხატვის თავისუფლებას შეზღუდავს. მეორე ინიციატივა, რომელმაც გასულ კვირას საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია, ერთნაირი სქესის ადამიანებს შორის ქორწინებას ეხებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოში უკვე შევიდა სარჩელი, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სამოქალაქო კოდექსის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირად მიიჩნევა.**
**უნდა ჰქონდეთ თუ არა საქართველოში ერთნაირი სქესის ადამიანებს დაქორწინების უფლება და საჭიროა თუ არა კანონი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ისაკაძე) ესაუბრა.**

**— მამაო, საჭიროა დღეს „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ შესახებ კანონპროექტი და როგორ და ვინ განსაზღვრავს, რა ჩაითვლება „რელიგიური გრძნობების“ შეურაცხყოფად?**

— ჩვენი ეკლესია ასწავლის, რომ ღმერთი ადამიანებს შორის სიყვარულს ქადაგებს. ტოლერანტულები უნდა ვიყოთ ყველა ადამიანის მიმართ, განურჩევლად მისი მრწამსისა, თუმცა, ამასთანავე, ღმერთი გვასწავლის, რომ ჩვენ უნდა ვამხილოთ სხვადასხვა სარწმუნოებრივი ცდომილება. თუ ვიტყვით, რომ კათოლიციზმი ან ისლამი არასწორი სწავლებაა, მართლმადიდებლობა კი — ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია, ამ კანონის საფუძველზე შეიძლება პასუხი მოგვთხოვონ. ამიტომ კანონმდებლობაში მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული, რა ჩაითვლება რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად.

**— ჯერჯერობით ზუსტად ვერავინ განმარტა, კონკრეტულად რა იგულისხმება რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაში. როგორ ფიქრობთ, რა შემთხვევაში უნდა დაისაჯოს პირი?**

— მე ვფიქრობ და ამას მასწავლის ჩემი სარწმუნოებაც, რომ პირი მხოლოდ ფიზიკური ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში შეიძლება დაისაჯოს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, კანონმდებლობით ხომ ისჯება ფიზიკური ძალადობა და არ მესმის, რად უნდა ამას დამატებითი კანონის მიღება. რა აზრი ან რა დატვირთვა აქვს ამ ახალ საკანონმდებლო ინიციატივას, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები. ამ კანონის საფუძველზე ხვალ შეიძლება საერთოდ ქადაგება აგვიკრძალონ. ეს საფრთხე ნამდვილად არსებობს.

**— ფიქრობთ, რომ ვიღაცები ამ კანონს ისევ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოიყენებენ?**

— რა თქმა უნდა, ამიტომ ყველა დეტალი წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული. უნდა იყოს მითითებული, რას გულისხმობენ შეურაცხყოფაში — ადამიანზე ფიზიკურ ძალადობას თუ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გადმოცემას.

**— კანონის ინიციატორები ამბობენ, რომ პირიქით — ეს კანონი მართლმადიდებლების უფლებებს დაიცავს...**

— ქვეყანაში მოქმედი სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებსაც ხომ ეხება ეს კანონი და ამიტომ კონკრეტულად უნდა განისაზღვროს, რა იგულისხმება შეურაცხყოფაში. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვა სარწმუნოებაზე რომ ვთქვა, მცდარიაო, შეიძლება ვიღაცამ შეურაცხყოფად ჩამითვალოს და ქადაგება ამიკრძალონ.

**— საპატრიარქო აცხადებს, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის გამო დასჯის კანონპროექტის მიღება მისი ინიციატივა არ ყოფილა. თუმცა, გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ წლების წინათ, მაგალითად, 2010 წელს, საპატრიარქო სთხოვდა ხელისუფლებას, მიეღო კანონი, რომელიც „სათანადოდ დაიცავდა მოსახლეობას უხამსობისგან, პიროვნებისა და საზოგადოების პატივსა და ღირსებას, მათ რელიგიურ გრძნობებს“. რატომ შეიცვალა აზრი საპატრიარქომ?**

— პარადოქსია, მაგრამ დღეს საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოება დევნილია. სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს უფრო მეტ პატივს მიაგებენ, მათ იცავენ ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, აქედან გამომდინარე, საპატრიარქოს მოთხოვნა იყო, ცოტა მეტად დაცული ყოფილიყო მართლმადიდებელთა უფლებები. საპატრიარქო არ ითხოვდა ვინმეს დასჯას. საუბარია იმაზე, რომ საქართველოში მართლმადიდებლობა არ უნდა იყოს დევნილი და დაჩაგრული.

**— კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც გასულ კვირას საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია, ერთნაირი სქესის ადამიანებისთვის ქორწინების უფლების მინიჭების საკითხი იყო. საკონსტიტუციო სასამართლოში უკვე შევიდა სარჩელი, რომელიც ლგბტ პირების უფლებების დამცველმა, მაცაცოდ ცნობილმა გიორგი ტატიშვილმა შეიტანა. როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო, რომელმაც უკვე მიიღო წარმოებაში საქმე და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, როგორი იქნება ეკლესიის რეაქცია, რომლის შეურიგებელი და უარყოფითი პოზიციაც ამ საკითხზე ცნობილია?**

— საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **გიორგი პაპუაშვილი** აზროვნებითა და ცნობიერებით, ფაქტობრივად, ნაციონალია. მისი პოზიცია ამ საკითხზე ისედაც ცნობილია, რადგან ასეთ ადამიანებს წლების განმავლობაში ევროპარლამენტი კვებავდა. ევროპარლამენტი, კერძოდ კი, სახალხო პარტია აფინანსებდნენ ამ პროგრამებს, რათა მსგავსი კანონმდებლობა დაენერგათ საქართველოში. **სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამ შეუწყო ხელი იმ პროცესებს, რომლებიც დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს.** ახლა **პარლამენტმა რომც გადაწყვიტოს, უარი თქვას ერთნაირი სქესის ადამიანებს შორის ქორწინებაზე, შეიძლება ეს დისკრიმინაციად ჩაითვალოს, რადგან გამოდის, რომ კანონს ვეწინააღმდეგებით.** იმიტომ ვიყავით ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების წინააღმდეგნი და დღეს, პირველ რიგში, ეს კანონი უნდა გაუქმდეს. **პატრიარქმა და საპატრიარქომ ჯერ კიდევ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე გააკეთა განცხადება, ეს ტექსტი — პატრიარქის თხოვნა პარლამენტის მიმართ საქართველოს პარლამენტშიც წავიკითხე, მაგრამ არ გაითვალისწინეს...**

**ვეჭვობ, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, სწორედ ამ საკითხის გამო გადააყენეს თანამდებობიდან. მან ხომ ღიად განაცხადა, რომ წინააღმდეგ იყო ერთნაირი სქესის ადამიანებს შორის ქორწინების და ოჯახი მხოლოდ მამაკაცისა და ქალის კავშირად მიაჩნდა.**

— ფიქრობთ, რომ შესაძლებელია, საქართველოში დაკანონდეს ერთნაირი სქესის ადამიანებს შორის ქორწინება?

— რა თქმა უნდა, თუ საზოგადოება ხმას არ ამოიღებს, ასეც მოხდება.

**— სოციალურ ქსელში უკვე გაჩნდა პოლიტიკოსების, ჟურნალისტების მოწოდებები, რომ წინ აღვუდგეთ ამ ყველაფერს, შევებრძოლოთ, მაგრამ ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ 17 მაისის აქციის ჩაშლის გამო ევროსასამართლომ საქართველოს 32 ათასი ევროს გადახდა დააკისრა...**

— ჩვენი პოზიცია ასეთი იქნება: **ნებისმიერს ვამხელთ და პასუხს მოვთხოვთ, ვინც ამ კანონის მიღებას ხელს მოაწერს. მეტიც, მოვითხოვთ ამ ადამიანების ქვეყნიდან გაძევებას. საიდანაც იმართებიან, იქ წავიდნენ.** ჩვენ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები არ გვაინტერესებს, მე საღვთო კანონებს ვემორჩილები, რომლის მიხედვითაც, სოდომია ყველაზე დიდ ცოდვად მიიჩნევა. ჩემთვის უპირველესი საღვთო კანონებია, ამიტომ **ვერასდროს მივიღებ და დავემორჩილები კანონს, რომელიც სოდომიის დაკანონებას ითვალისწინებს და ყველაფერს გავაკეთებ, რათა საქართველოში ასეთი რამ არ მოხდეს.**

## «სხვა სარწმუნოებაზე რომ ვთქვა, მცდარიაო, შეიძლება ვიღაცამ შეურაცხყოფად ჩამითვალოს და ქადაგება ამიკრძალონ»

საღვთო კანონები არ იცვლება. მოგეხსენებათ, ახლახან ჟენევაში მართლმადიდებელი პატრიარქების კრება ჩატარდა, სადაც მსოფლიო პატრიარქი პირდაპირ დაუპირისპირდა ეკლესიის სწავლებას. ჩვენთვის მთავარი საღვთო სწავლებაა და არა ისეთი პატრიარქები, რომლებიც ეკლესიის სწავლებას ეწინააღმდეგებიან.

**— დრო გადის, სამყარო ვითარდება, არ შეიძლება ეკლესიაშიც დაინერგოს სიახლეები?**

— არ შეიძლება! რასაც იესო ქრისტე, მოციქულები და წმინდა მამები ასწავლიდნენ, ის უნდა დარჩეს ბოლომდე.

**— დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძემ განაცხადა, რომ ამ ადამიანების გასააქტიურებლად საქართველოში 5 მილიონი აშშ დოლარია შემოსული „შავი ფულის“ სახით, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ვინ დგას მათ უკან?**

— ევროპარლამენტი, ამერიკის შეერთებული შტატები პირდაპირ ხელს უწყობენ ამ პროცესებს. ეს არის ამერიკიდან მართული პროცესი, სწორედ ისინი აფინანსებენ ამ ადამიანებს. ის, ვინც სარჩელი შეიტანა, საცოდავი ადამიანია, მას ხომ სპეციალურად დააწერინეს ეს ყველაფერი?!

**— თუმცა არიან ამ კანონის მომხრეებიც, მაგალითად, ლაშა ბუღაძემ განაცხადა, რომ, თუ გვინდა, ცივილიზებული სამყაროს ნაწილი გავხდეთ, ერთნაირსქესიანთა ქორწინება უნდა დავაკანონოთ და მათ ბავშვების აყვანის უფლებაც უნდა ჰქონდეთო. უნდა გავითვალისწინოთ თუ არა ცივილიზებული სამყაროს მოთხოვნები?**

**— მამათმავლობასა და დედათმავლობას გულისხმობს ცივილიზაცია? ასეთი ცივილიზებული ხალხი ჩვენ არ გვჭირდება! დაე, წავიდნენ იქ, საიდანაც იმართებიან.** სოდომია ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება. ეს არის საღვთო კანონებით დაუშვებელი! ლაშა ბუღაძისგან არაერთხელ მოგვისმენია ანტიეკლესიური განცხადებები და არამხოლოდ მისგან. კარგად მახსოვს, რამდენიმე ხნის წინათ ერეკლეს მოედანზე, სიონის საკათედრო ტაძარსა და ანჩისხატის ეკლესიას შორის მიმდებარე ტერიტორიაზე, მსგავსი აზროვნების ადამიანებმა ასეთი წარმოდგენა გამართეს — კუბოში ჩააწვინეს ადამიანი, რომელსაც ზედ ეწერა მართლმადიდებლობა. ეს ადამიანები ეკლესიას და მართლმადიდებლობას უკვე ღიად მტრობენ და, როდესაც გავაპროტესტეთ მათი საქციელი, ფიზიკურადაც აპირებდნენ ჩვენთან დაპირისპირებას.

**— საინფორმაციო სააგენტო „მარშალპრესმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ყაზარმებში მეჩეთები და იეღოვას მოწმეების სასულიერო დაწესებულებები გაიხსნება. როგორი იქნება ეკლესიის პოზიცია?**

— მე არ მსმენია ამის შესახებ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, **თინა ხიდაშელისა** და რესპუბლიკური პარტიისგან არაფერი გამიკვირდება, რადგან ეს ისეთივე ოდიოზური პარტიაა, როგორიც „ნაციონალური მოძრაობა“.

ვფიქრობ, ადამიანს შეიძლება აუხსნა, შეაგონო, მაგრამ ვერ აუკრძალავ ვერც რწმენას და ვერც ლოცვას, მაგრამ საქართველოში, ტრადიციულ მართლმადიდებელ ქვეყანაში, მეჩეთებისა და იეღოვას მოწმეების სალოცავების გახსნას ყოველთვის შევეწინააღმდეგებით.

საერთოდ კი, ისეთი გადაწყვეტილებები და კანონები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოებაში დაპირისპირებას, რადგან ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს. მეც სწორედ ეს მაშფოთებს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილი თავის დროზე სხვისთვის იყო ლეღვის ფოთოლი და ახლა მას იყენებენ. ივანიშვილი და სააკაშვილი ერთმანეთის ლეღვის ფოთლები იყვნენ, ახლა სხვები ჩაანაცვლებენ“.**



თემურ ქორიძე:

# ქართული პოლიტიკა ყარს

**ხშირად გვსმენია ჩვენი თანამოქალაქეებისგან, რომ მოჯადოებულ წრეზე დავდივართ, რომ უკვე 25 წელიწადზე მეტია, ხელისუფლებაში ერთი და იგივე ადამიანები სხედან, რომ არაფერი იცვლება, მათ შორის, არც სახელები და გვარები...
ვინ არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ყველა ხელისუფლებასა და ხელისუფალს ერგებიან? — ამ თემაზე ეროვნული მოძრაობის წევრს, ფილოლოგ თემურ ქორიძეს ვესაუბრეთ.**



**— ბატონო თემურ, ქვეყანაში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ყველა მთავრობას, ყველა ხელისუფალს მოერგნენ და თითქმის ყველა მოწვევის პარლამენტარები არიან. თქვენი აზრით, როგორ ახერხებენ ამას?**

— კი, ასეთი პოლიტიკოსები ბევრი გვყავს, ზოგი საკუთარ თავს ფრანგ პოლიტიკოს **შარლ მორის ტალეირანსაც** კი ადარებს. ტალეირანი ბურბონების ერთგული იყო, შემდეგ — დირექტორიის მხარდამჭერი, მოგვიანებით ნაპოლეონს ედგა მხარში, ბოლოს კი ისევ ბურბონების ერთგული გახდა. ამ პიროვნებას ქამელეონს უწოდებდნენ. როდესაც მთავრობების ღალატში დასდეს ბრალი, ღრმად მოხუცმა ტალეირანმა ასეთი სიტყვები თქვა: „არა, არც ერთ მთავრობას არ ვღალატობდი, მე ვემსახურებოდი საფრანგეთს ყველა მთავრობის დროს“. ტალეირანს ამის თქმის უფლება ჰქონდა, ის შეუცვლელი პოლიტიკოსი იყო, მისი ელვარე ნიჭი ყველას სჭირდებოდა.

**ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც არ გამოირჩევიან განსაკუთრებული შესაძლებლობებით და მხოლოდ ბიზნესპოლიტიკოსები არიან, იოლად იცვლიან პრინციპებს, გადადიან გუნდიდან გუნდში, ერთი ხელისუფლების მფარველობიდან მეორეში, ტალეირანს ნამდვილად ვერ შევადარებ, რადგან მათ ამინდის შეცვლა არ შეუძლიათ.**

**საქართველოში პოლიტიკა ბიზნესად იქცა, ბევრისთვის ეს მხოლოდ შემოსავლის წყაროა.**

ჩემ თვალწინ გაიარა ყველა პოლიტიკოსის ცხოვრებამ; მომსწრე ვარ ბევრი პოლიტიკური პარტიის ჩასახვის, შემდეგ — გაქრობის, გადასხვაფერების და ა.შ. ერთი პარტიიდან მრავალი წარმოიშვა, როგორც ქართულ ზღაპრებშია, ასთავიანი გველეშაპებივით.

**გავიხსენოთ მოქალაქეთა კავშირი, რომლისგანაც იშვა „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის თანათავმჯდომარე და დამფუძნებელი სააკაშვილთან ერთად ლევან ბერძენიშვილიც იყო, იმხანად ისინი შერწყმულნი იყვნენ.** წარმოიშვა ეროვნულ ძალთა გაერთიანება, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ რამდენიმე პარტიად დაიშალა და გამოჩნდა კონსერვატორების პარტია **ზვიად ძიძიგურის** ხელმძღვანელობით, ხალხის პარტია — **კობა დავითაშვილის** ლიდერობით.

სულ ტყუილად იბრალებენ სიძველეს რესპუბლიკელები. იყო უძველესი პარტია, უფრო ძველი, ვიდრე რესპუბლიკური — სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც თავის დროზე **ნოე ჟორდანია** ხელმძღვანელობდა, ახლა კი **გია ჟორჟოლიანი** თავკაცობს და დღეს პარლამენტში ზის. გია ჟორჟოლიანი, რომელმაც, ვინ იცის, რა გზები გაიარა. ჩვენ **მრავალპარტიული პარლამენტის ნაცვლად, მრავალპარტიული პიროვნებები გვყავს.**

ხშირად ახსენებენ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ყოფილ ლიდერს — **ირინა სარიშვილს**, რომელსაც ყველაზე ცოტა პარტია აქვს გამოვლილი, თუმცა ხეტიალი არ აკლდა.

ირონიის გარეშე რომ ვისაუბროთ, ეს საგანგაშო ტენდენციაა. პიროვნებები, რომლებიც 1980-იანი წლების მიწურულს „თეორიების შექმნაში“ ღამეებს ათენებდნენ, დღესაც „დიდ პოლიტიკაში“ არიან. ასეთია **გუბაზ სანიკიძე**, მან უკვე მერამდენედ გაიელვა, ახლა „კეთილისმყოფელის“ — **ბიძინა ივანიშვილის** წყალობით, ისევ პარლამენტში ზის, ივანიშვილის, რომლის ოჯახის წევრებზეც სანიკიძე საშინელებებს საუბრობდა. ეს ამაზრზენი იყო, მაგრამ უფრო ამაზრზენი ისაა, რომ **სანიკიძე ამ კოალიციაში დარჩა და თბილი სავარძლის შესანარჩუნებლად გატრუნული ზის.**

**— გუბაზ სანიკიძე ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა პარლამენტში, რომელმაც პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას სახელი გაახსენა...**

— გუბაზს თავის გამოჩენა უნდოდა, ეს ერთ-ერთი ტრიუკი იყო. არჩევნები ახლოვდება და მკითხველს უნდა ვთხოვოთ, როგორმე გადახედოს პოლიტიკოსების რამდენიმე წლის წინათ გაკეთებულ განცხადებებს, მაგალითად, გუბაზ სანიკიძის განცხადებას, რომელიც სულ ამბობს, რომ ხელი აქვს მოწერილი თავისუფლების აქტზე. **თავისუფლება მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ მოუტანეს ქვეყანას, მაგრამ მათ ერთხელაც არ უტრაბახიათ საკუთარი ღვაწლით. სანიკიძე ყოველგვარ ზღვარს გადადის.**

**«ქართულ ოპერას დააკლდა ბანი, ქართულმა პოლიტიკამ კი კიდევ ერთი პოლიტიკანი შეიძინა...»**

2009 წელს გუბაზ სანიკიძე საქართველოს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა, მოგვიანებით კი ალტერნატიულ პარლამენტზე საუბრობდა. გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ბლეფი იყო. **გუბაზი მილიონერობაზე ოცნებობდა და „ოცნებაში“ აღმოჩნდა.**

**«ქართველები, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილს უნდა მოვერიდოთ, მისგან დიდი საფრთხე მოდის, რადგან ანათემაზე გადაცემით გვემუქრება, თუ მისთვის სასურველ კანდიდატს ამა თუ იმ პოზიციაზე მხარს არ დავუჭერთ»**

დრო გადის და ადამიანები იცვლებიან, მაგრამ, როდესაც ცრუობ, იტყუები და ამას სიკეთის, ეროვნულობის სახელით აკეთებ, ამაზრზენია. ქართულ პოლიტიკაში ასეთი ადამიანების ბუმია. **ფანჯრები, კარები ფართოდ უნდა გავაღოთ და გავანიავოთ, რადგან ქართული პოლიტიკა ყარს.**

**ქართველები, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილს უნდა მოვერიდოთ, მისგან დიდი საფრთხე მოდის, რადგან ანათემაზე გადაცემით გვემუქრება, თუ მისთვის სასურველ კანდიდატს ამა თუ იმ პოზიციაზე მხარს არ დავუჭერთ.**

როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკოსებზე, რომლებიც ყველა მთავრობას მოერგნენ, ერთ-ერთ ასეთ ადამიანად ივანიშვილიც უნდა მოვიხსენიოთ, რადგან ის სააკაშვილს დიდი ხნის განმავლობაში აფინანსებდა. დღევანდელი ხელისუფლების შემოქმედიც ის არის. ასეთ ადამიანს, შეიძლება, კიდევ მივცეთ შანსი, იყოს პოლიტიკაში? საკუთარი კეთილდღეობისთვის ბიძინას არ შეიძლება გაჰყვე.

**— ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად წავა, ეს ასე ხდება, „პირველები“ სულ იცვლებიან, მაგრამ პოლიტიკურ ასპარეზზე ვინ დარჩება?**

— აკაკი წერდა: „წარმოიდგინეთ ცხოვრება იმ ადამიანისა, ვისაც სამშობლოში ოჯახი არ აქვს და ოჯახში სამშობლო“... ვინ დარჩება? მოსემ 40 წელიწადი შეთხვევით არ ატარა ხალხი უდაბნოში. 40 წელიწადი ორი თაობაა... ეჭვი არ მეპარება, რომ **ქართველი ხალხის კულტურა გაიზრდება, ჩვენ რჩეული ერი ვართ, ნიჭიერები ვართ, უბრალოდ, გარდამავალი პერიოდი გაგვიგრძელდა, ეს მალე დასრულდება. ბიზნესინტერესით გამსჭვალული პოლიტიკური ელიტა ველარ იარსებებს, გუბაზ სანიკიძისნაირი, მილიონებზე მეოცნებე პოლიტიკოსების დრო აუცილებლად დასრულდება.**

აუცილებლად უნდა ვახსენო **გოგი თოფაძე**, რომლის ინტერესებიც იზრდება ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, აქვე ვიტყვი, **ზურაბ ტყემალაძის** გვარსაც.

შორიდან მოდის **გია ვოლსკი**, ის კომკავშირის კომიტეტის მეორე მდივანი იყო და რამდენჯერმე შეიცვალა პოზიაცია. ასევე დიდი ისტორია აქვს **ნუკრი ქანთარიასაც**, რომლის კარიერაც „მხედრიონიდან“ იწყება...

ადამიანის გაკეთილშობილება შესაძლებელია, დრო ყველას ცვლის, მაგრამ საინტერესოა, ეს ადამიანები, რომელთა სახელებიც ვახსენე, როგორ ახერხებენ ფეხმოუცვლელად პარლამენტში ჯდომას?! **რა ნიჭი აქვთ ამისთანა მუდმივ პარლამენტარებს — მიხეილ მაჭავარიანსა და გიგი წერეთელს, ნუთუ არასოდეს უნდებათ განზე გადგომა, სიმშვიდე, წიგნის კითხვა? ისინი გამოიფიტნენ, მათ იციან მხოლოდ ერთი, რომ, რაც უფრო მოატყუებენ ხალხს, უფრო აქტიურად იქნებიან პოლიტიკაში, და ეს მეთოდი ამართლებს კიდეც.** მათ იციან ის ენა, რომლითაც მილიონების დატყუება შეიძლება, რიგები იდგა აჭარაში; აქვე ვახსენებ **გიორგი თარგამაძეს**, რომელმაც თავი რამდენჯერმე ამოიტივტივა.

ქართველი პოლიტიკოსები ორუელის „ახალ ენას“ „1984“-დან ადვილად სწავლობენ. ოღონდ, ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველას უჭირდა **ზვიად გამსახურდიასთან** საუბარი, სამაგიეროდ, ზვიადის შემდეგ სულ ზენიტში არიან, ყველა ხელისუფალს მოერგნენ.

**— ბატონო თემურ, რატომ ხდება, რომ პოლიტიკოსებს ზვიად გამსახურდია არჩევნების წინ სულ ახსენდებათ? ამის ნათელი მაგალითი პრეზიდენტისადმი გუბაზ სანიკიძის საყვედური იყო.**

— მომგებიანი თემაა, არჩევნებამდე მართლაც არავის ახსენდება. ზვიადი ქართველ პოლიტიკოსებს ყელში ჰყავთ გაჩხერილი მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა ადამიანები არიან. წლები გადის, პოლიტიკოსები არ იცვლებიან, ხელისუფლებაში ერთი და იგივე ადამიანები არიან, მაგრამ არც ერთმა არ აღიარა, რომ დღევანდელი საქართველო მეორე რესპუბლიკაა. **26 მაისი არ არის საქართველოს თავისუფლების პასპორტი, თავისუფლების პასპორტი 9 აპრილს გაიცა. თუკი ჩვენ 26 მაისს ვაღიარებთ, მაშინ ისტორიაც არ გვქონია. რას ვერჩით რუსეთს? წითელი არმია არ შემოსულა? ჩვენი დამოუკიდებლობა თუ 98 წელს ითვლის, ე.ი. საბჭოთა პერიოდი არ გაგვივლია. პოლიტიკოსებს ისტორიის შეცვლის უფლება არ აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი გასდით.**

ზვიად გამსახურდია, როგორც იდეა, თუ რამეს შეიმატებს, თორემ მას არაფერი აღარ დააკლდება, ამ იდეთ სპეკულირება, ნამდვილად მომგებიანია.

ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ყველა ხელისუფლებას ერგებიან, მახსენებენ ფრანგი პოეტის — **პოლ ვალერის** სიტყვებს საფრანგეთის ერთ-ერთ პრეზიდენტზე ნათქვამს: „მას გაგიჟებით უყვარდა საფრანგეთი და ჭირის დღესავით სძულდა ყოველი ფრანგი“. აბსტრაქტული საქართველოს შეყვარება ადვილია.

**— თქვენ ქართველ პოლიტიკოსებს მოხეტიალეებს უწოდებთ, ჩვენ მათ „ლეღვის ფოთლებს“ დავარქმევთ...**

— კარგი სახელწოდებაა „ლეღვის ფოთლები“... იცით, რას გეტყვით, **ხანდახან და უფრო ხშირად, ჩვენ რომ „ლეღვის ფოთლები“ გვგონია, ის ადამიანები, ხელისუფალთ უფრო იფარებენ ფოთლებად, ვიდრე თვითონ ეფარებიან, მაგრამ „პირველები“ ამას ვერ ხვდებიან.** ასე მოხდა ივანიშვილისა და მის გარშემო მოტრიალე ხალხის შემთხვევაში. **ივანიშვილი თავის დროზე სხვისთვის იყო ლეღვის ფოთოლი და ახლა მას იყენებენ. ივანიშვილი და სააკაშვილი ერთმანეთის ლეღვის ფოთლები იყვნენ, ახლა სხვები ჩაანაცვლებენ.**

არჩევნები მოდის და, ბუნებრივია, ახალი ძალები გამოჩნდებიან. მიყვარს საარჩევნო ეიფორია, არნახულსა და არგაგონილს ნახავ და მოისმენ ამ დროს... მაგალითად, გამოჩნდა **პაატა ბურჭულაძე**, რომელმაც შეიძლება, კვლავ დაიქირავოს **ალენ დელონი**, რაც ძალიან ძვირი დაუჯდება... სამწუხაროა, **ქართულ ოპერას დააკლდა ბანი, ქართულმა პოლიტიკამ კი კიდევ ერთი პოლიტიკანი შეიძინა. საქართველოში ბევრნი არიან ბურჭულაძისნაირები, რომლებიც თავის დროს ელოდებიან, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.**

ქართული საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ **თამაზ მეჭიაურმა** გვითხრა, იმსახურებთ ასეთ პრეზიდენტსო, ვიტყვი, რომ ქართველები არ ვიმსახურებთ ასეთ პოლიტიკოსებს, ვერც ერთი მათგანი ქართველი კაცის გულში ძეგლს ვერ დაიდგამს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„ქართველი პოლიტიკოსები ყველაფერს გააკეთებენ, ყველაფერს მოსაპობენ, ოღონდაც ამერიკის რადარებზე გამოჩნდნენ. მათ იციან, მაგრამ არ ადარდებთ, რომ ოკეანისგაღმელი „მეგობარი“ მხოლოდ ჩვენი ტერიტორიით ინტერესდება, მხოლოდ ბაზებისთვის, პოლიგონად ვჭირდებით“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ელიზბარ ჯაველიძე:

# როდესაც ადამიანი ასე აზროვნებს, არ შეიძლება, ქვეყნის პრეზიდენტი იყოს!

## «მარგველაშვილი სოროსის გამოზრდილია და მომართულია ქვეყნის დასანგრევად»

**გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი პარლამენტში პრეზიდენტის სტუმრობა იყო. მარგველაშვილის სიტყვით გამოსვლას მშვიდად არ ჩაუვლია. მესამედ ესტუმრა ქვეყნის პირველი პირი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, მაგრამ მის გამოსვლას გულისყურით პირველად მოუსმინეს. ყოფილი პრემიერი ღარიბაშვილი მას არ სწყალობდა, შესაბამისად, არც მათვრობა უსმენდა და არც პარლამენტი. შესაძლოა, ასეც ჯობდა, რადგან მარგველაშვილი ბოლო ვიზიტისას არ დაინდეს. პარლამენტარმა გოგი თოფაძემ მას 2011 წელს გამოქვეყნებული „ფილოსოფიური ნაშრომი“ გაახსენა, რომელშიც ქართველ ერს შეურაცხყოფს. საზოგადოების ერთი ნაწილი გოგი თოფაძის „ანათემაზე“ გადაცემას მოითხოვს... ჰქონდა თუ არა პარლამენტარ თოფაძეს უფლება, პრეზიდენტისთვის წარსული გაეხსენებინა? — ამ და ქვეყანაში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე გვესაუბრება.**

**— ბატონო ელიზბარ, პარლამენტს პრეზიდენტი სტუმრობდა. მის გამოსვლას ფრაქციების თავმჯდომარეების გამოსვლა მოჰყვა. „მრეწველთა“ ლიდერმა გოგი თოფაძემ მარგველაშვილს რამდენიმე წლის წინანდელი „ფილოსოფიური ნაშრომი“ გაახსენა, რომელშიც ქართველებს არცთუ სახარბიელო კონტექსტში მოგვიხსენიებს. პრეზიდენტის წერილი „ნიჩურტა – მე ქართველი ვარ“ თქვენთვის ცნობილია. საზოგადოების ერთმა ნაწილმა გოგი თოფაძეს ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.**

— გოგი თოფაძეს, როცა საშუალება მიეცა, მაშინ უთხრა პრეზიდენტს სათქმელი. თოფაძემ გარკვევით თქვა, რომ მარგველაშვილის წარსული უვარგისია, აწმყო — არაფრისმთქმელი და მომავალი — გაუგებარი. ჩვენი საზოგადოების ნაკლი არის ის, რომ ადამიანებს სამ განზომილებაში არ განვიხილავთ. დიდი ილია ბრძანებს, როგორც ერი, ისე ადამიანიც სამ განზომილებაში უნდა განიხილოო. სამწუხაროდ, რაც წარსულში იყავი, იმას ვარაფერი შეცვლის, ეს გენეტიკურია, ასე აღიზარდე და მორჩა. „ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“, ეს სიტყვები მარგველაშვილზეა ზედგამოჭრილი. მარგველაშვილი „თავისუფლების ინსტიტუტში“ დაფრთიანდა და მერე „ღია საზოგადოება — საქართველოში“ მოღვაწეობდა. **მარგველაშვილი სოროსის გუნდის წევრია და ის მომართული იყო ქვეყნის დასანგრევად. ერთი სიტყვით, პრეზიდენტი ბავშვობიდან „აღზარდეს“, მისი ფილოსოფიური ტრაქტატი ერის წინააღმდეგ არის მიმართული. ის გაშიშვლდა და ქართველებს დებილები, განუვითარებლები უწოდა. როდესაც ადამიანი ასე აზროვნებს, არ შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტი იყოს.**

**— პარლამენტარმა თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რადგან ჩვენი პრეზიდენტი მარგველაშვილია, ე.ი. ჩვენ ღირსები ვართ, რაც გვიწოდაო...**

— მარგველაშვილი ხალხმა აირჩია. არ ვიცი, რა მოხდა, გაყალბდა თუ რა იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ის ავირჩიეთ. ალბათ, ეს დავალება იყო.

**— მას შემდეგ, რაც მარგველაშვილმა ის წერილი დაწერა, ბევრი დრო გავიდა, იქნებ ინანა და ახლა სხვა თვალსაზრისი აქვს, მან თავისი სიტყვის დასასრულს ქართველი ხალხი გამტანებად და გულჩვილებად მოიხსენია.**

— არა მგონია, რამე ინანა. მისი მოღვაწეობა კარგ საქმეებს არ ითვლის. ყოველთვის, როდესაც პარლამენტი სწორ გადაწყვეტილებას იღებს, პრეზიდენტი ვეტოს ადებს. მარგველაშვილი თავის თამაშს თამაშობს. ის ამერიკელების კარნახით მოქმედებს. ქართულ პოლიტიკაში ბევრია ისეთი, ვისაც არ უყვარს სამშობლოს მოყვარული ადამიანები.

**საქართველოში 17 ათასი არასამთავრობო ორგანიზაციაა, მათი უმრავლესობა გაყიდულია, აგენტები არიან. მათნაირებს წინათ იჭერდნენ, ხვრეტდნენ. დახვრეტას არ ვითხოვ, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა რაც გააკეთა, ის უნდა გავაკეთოთ. ვლადიმერ პუტინმა უცხოური ფულით დაფინანსებული არასამთავრობოები არ გააჭაჭანა.** მან თქვა, რომ რუსი ხალხის პრეზიდენტია, მათი არჩეულია და მათივე ინტერესები უნდა დაიცვას. მისი იდეოლოგია პატრიოტიზმია. საქართველოში სიტყვა პატრიოტიზმი პოლიტიკოსებისგან, დიდი ხანია, არ გამიგონია.

**— ბატონო ელიზბარ, პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში თქვა ასეთი სიტყვები: „ჩვენ ამერიკის რადარებზე უფრო კარგად უნდა გამოვჩნდეთ და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ“. სჭირდება საქართველოს ამერიკის რადარებზე გამოჩენა?**



**«პედარასტებმა საქართველოში ყველა ეტაპი გაიარეს: პირველი — ჩვენც ადამიანები ვართ, მეორე — ჩვენ ადამიანები ვართ და მესამე — თქვენ გადით, ადამიანები ჩვენ ვართ»**

— პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ასე ფიქრობს — ამერიკის რადარებზე სურთ გამოჩენა. ეს უნდოდა სააკაშვილს, რომელიც ბავშვობიდან ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა, და ასეა დღესაც, როგორც ჩანს, ნიჭიერები არც ესენი არიან. **ქართველი პოლიტიკოსები ყველაფერს გააკეთებენ, ყველაფერს მოსპობენ, რათა ამერიკის რადარებზე გამოჩნდნენ. მათ იციან, მაგრამ არ ადარდებთ, რომ ოკეანისგაღმელი „მეგობარი“ მხოლოდ ჩვენი ტერიტორიით ინტერესდება, მხოლოდ ბაზებისთვის, პოლიგონად ვჭირდებით. სააკაშვილს საქართველო ეზიზღებოდა, სამშობლოს ზიზღის ტენდენცია მან დაამკვიდრა და დღემდე ასე მოდის.**

რა ბოდიშის მოხდას სთხოვენ გოგი თოფაძეს ან ვინ სთხოვს? მართლა დებილები და დაუნები არიან. დიახ, ეს სალანძღავი სიტყვებია და მათ ვლანძღავ. მე რატომ არ მთხოვენ ბოდიშის მოხდას? პარლამენტში ეს ერთი ადამიანია, რომელიც სიმართლეს ამბობს, მხოლოდ მან გაბედა, რუსეთზე ელაპარაკა. ის, ვინც ახლა თოფაძისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს, სამშობლოს მტერია.

რა ხდება ქვეყანაში? ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონება უნდათ. კაცთა მოდგმა ქალისა და კაცისაგან იწყება. ისტორიას ახსოვს საჭურისები, რომლებიც დაბადებიდანვე იყვნენ ასეთები, ასევე, იყვნენ საჭურისები, რომლებსაც სხვები ასაჭურისებდნენ, **საქართველოში არიან საჭურისები, რომლებიც თვითონ ისაჭურისებენ თავს, რათა ამ საქციელით ამერიკელი „მეგობრების“ თვალში ამაღლდნენ. რომელი ამერიკის რადარებზე უნდა გამოვჩნდეთ — ობამას რადარებზე? ადამიანის, რომელიც იმით იწონებს თავს, რომ ბავშვობაში კაცებთან ჰქონდა ურთიერთობა?**

**— ბატონო ელიზბარ, მთელი ჩემი ბავშვობა მესმოდა, რომ მერაბ კოსტავა ადამიანის უფლებების დამცველი იყო და ჩვენ, ყველას, მისი იმედი გვქონდა... დღეს ადამიანის უფლებების დამცველია გიორგი ტატიშვილი, იგივე მაცაცო...**

— რომელი მაცაცო? პედარასტი? ქართველი კაცის გათახსირება, წელში გადამტვრევა 9 წელიწადში მოხდა, როდესაც სააკაშვილი დასვეს ხელისუფლებაში. ბევრი იმუშავეს ქართველის ტვინის გამოსარეცხად. **ძალიან დიდი სირცხვილია, მერაბ კოსტავას გამზრდელ ერს უფლებადამცველად უჩა ნანუაშვილი და მაცაცო დაუსვა.**

**უამრავი ფული იხარჯება, ტელევიზიებიდან ის სიბინძურე რომ წამოვიდეს, რასაც ვუყურებთ. ტელევიზიაში პედარასტების ბუდეა, მთავარი პედარასტი კი გოგი გვახარიაა. ტელევიზიას ფულს ჩვენ ვუხდით და ისინი პედარასტებს აძლევენ. თემურ ლენგისა და ჩინგიზ-ხანის დროს არ ვყოფილვართ ასეთი გაუბედურებულები, მაშინ თავი გადავირჩინეთ, სულიერება შევინარჩუნეთ, ადათიცა და წესებიც.** პედარასტები ჩემს ახალგაზრდობაშიც იყვნენ, მაგრამ არ ვერჩოდით. ამათ ვერჩი, რადგან მთხოვენ, ეს ჩვეულებრივ ამბად მივიღო, ჩვენ გვეუბნებიან, თქვენ ჩაიჩოჩეთ და ჩვენ დაგვაყენეთო.

პედარასტებმა საქართველოში ყველა ეტაპი გაიარეს: პირველი — ჩვენც ადამიანები ვართ, მეორე — ჩვენ ადამიანები ვართ და მესამე — თქვენ გადით, ადამიანები ჩვენ ვართ!

ერთ ამბავს მოგიყვებით, ამით დაგანახვებთ, როგორ გაიხრწნა ქართველი საზოგადოება: ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ საუკეთესო კლასიკური ნაწარმოებია. ოპერის დასაწყისში ერთი სცენა ასეთია — **მურმანი და აბესალომი ერთმანეთს ბუნების წიაღში ხვდებიან. ახლა, როდესაც სპექტაკლი განახლდა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბუნების წიაღის ნაცვლად, ფალოსი დაედგათ, მაგრამ დასმა სასტიკი წინააღმდეგობა გასწია და ეს აღარ გააკეთეს.**

**მრცხვენია, რაზე ვლაპარაკობთ, მაშინ, როდესაც მიწები იყიდება, ქართველები უცხოელების მონებად მუშაობენ, საკუთარ მიწაზე დაქირავებულები არიან და ფერადკანიანებისთვის შრომობენ. ქართულ მიწებს ყიდულობენ ებრაელები, სომხები, არაბები, აზერბაიჯანელები. ახალი სოფლები შენდება და იქ ქართველები არ არიან.**

**მქსოველი, პლასტელინი პრეზიდენტების დრო საქართველოს არ აქვს. ჯობია, მარგველაშვილმა თავისი საქსოვი ჩხირები აიღოს, დუშეთში წავიდეს და ქათმებსა და ღორებს მიხედოს. სასახლე, რომელშიც ეგ ზის, 10 მილიონი უჯდება ქვეყანას, 10 მილიონისას რას აკეთებს? მარგველიშვილის ადგილი პოლიტიკაში არ არის. „რესპუბლიკელები, „ნაცები“, ალასანია და მარგველაშვილი ერთად ამომრჩეველთა ხმების 5%-ს ვერ მოაგროვებენ.**

მძულს ყველა, ვისაც საქართველო სძულს. პირადი მტრები არ მყავს, მე ვარ ყველას მტერი, ვინც ქართველების გადაგვარებას ცდილობს!

**«საქართველოში არიან საჭურისები, რომლებიც თვითონ ისაჭურისებენ თავს, რათა ამ საქციელით ამერიკელი «მეგობრების» თვალში ამაღლდნენ. რომელი ამერიკის რადარებზე უნდა გამოვჩნდეთ — ობამას რადარებზე? ადამიანის, რომელიც იმით იწონებს თავს, რომ ბავშვობაში კაცებთან ჰქონდა ურთიერთობა?»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ დღევანდელ ქართველობას სჭირს „გონებრივი სისუსტე", „დებილობის მსუბუქი ფორმა" და, თუ ისიც გავითვალისწინეთ, რომ ბატონი გიორგი დღევანდელი ქართველი ერის წარმომადგენელია, რა გამოდის? — გამოდის მისთვის ძალზე არასახარბიელო დასკვნა, კერძოდ, გიორგი მარგველაშვილი არის ქართველების, ანუ მისივე თქმით, „დებილების" პრეზიდენტი".**

# «თუ «დებილებმა» მეთაურად აგირჩიეს, ესე იგი, შენში ყველაზე გამოჩენილი «დებილი» დაინახეს... ნუთუ არ რცხვენია მარგველაშვილს «დებილების» პრეზიდენტობა?!»

**ცნობილი მეწარმის, კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი თავკაცის, პარლამენტის წევრის, გოგი თოფაძის, ბოლო გამოსვლამ საკანონმდებლო ორგანოში, სადაც სტუმრად მისულ პრეზიდენტ მარგველაშვილს შეახსენა, რომ ქართველები „დაუნებად" მოიხსენია, საზოგადოების პროდასავლურ ნაწილში ვნებათა გრიგალი გამოიწვია. კვლავ, უკვე მერამდენედ, ათუხთუხდა მყრალი ლიბერალური ჭაობი და ტელეარხების მეშვეობით გაავრცელა შხამიანი აირები. ზემოხსენებული „ჭაობის" მოყიყინე წარმომადგენლებმა დეპუტატ თოფაძის მიერ თქმული შეაფასეს, როგორც „გაუწონასწორებელი და შეურაცხმყოფელი განცხადება". ვინაიდან ბატონი თოფაძის გამოსვლაში „გაუწონასწორებელი და შეურაცხმყოფელი" ვერაფერი აღმოვაჩინე, საქმის გასარკვევად თვითონ პარლამენტარს ვესტუმრე.**

**— ბატონო გოგი, პარლამენტში სიტყვით გამოსვლის შემდეგ „ლიბერალების" რისხვა დაიმსახურეთ...**

— პარლამენტში გამოსვლის წინ გადმომცეს გაზეთი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო დღევანდელი პრეზიდენტის მიერ 2001 წელს ქართველებზე გამოთქმული „ობოლი მარგალიტები". ძალიან ავღელდი, რადგან ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ქართველ კაცს ასე ცინიკურად შეუძლია თავისი სამშობლოსა და ხალხის აბუჩად აგდება. ალბათ, აღელვების გამო, „დებილების" მაგივრად „დაუნები" ვთქვი. აი, ეს არის ჩემი „დანაშაული", მაგრამ, ეს შეცდომაც რომ არ დამეშვა, ოპონენტები ჩემს გამოსვლაში „კრამოლას" მაინც აღმოაჩენდნენ, ანუ ყველა შემთხვევაში ჭიქაში ქარიშხალს მოაწყობდნენ.

**— რატომ არიან ისინი თქვენზე ჩასაფრებულნი?**

— არა მხოლოდ მე მისაფრდებიან, ძალზე უარყოფითად არიან განწყობილნი ჩვენი ფრაქციისა და მთელი კოალიციის მიმართაც. ჩვენ ხომ სახელმწიფოს ასაღორძინებლად ვშრომობთ, მათ კი ეს ხელს არ აძლევთ, უფრო ზუსტად, **ხელს არ აძლევთ იმ ფარულ ძალებს საზღვარგარეთიდან, რომლებსაც, გარკვეული გეოპოლიტიკური მიზეზების გამო, არ სურთ, საქართველო სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს. მაგ ძალებს უნდათ, რომ ჩვენი ქვეყანა მუდამ სამოწყალოდ ხელგაწვდილი იყოს, ამიტომაც არ იშურებენ გრანტებს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და, წარმოიდგინეთ, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისთვისაც.** მაგრამ, მოდი, დავუბრუნდეთ ჩემ გამოსვლას პარლამენტში. ბატონ პრეზიდენტს შევედავე ოთხ პუნქტში: **პირველი** — ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი საჯაროდ ნათქვამ თითოეულ სიტყვაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს. **განაცხადე, რომ არ შეხვალ სააკაშვილის სასახლეში, მიეცი ხალხს სიტყვა? კეთილი ინებე და შეასრულე!** გამოდის, რომ ხალხი მოატყუე!

გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილმა, პრეზიდენტად რომ აირჩიეს, თქვა: მე ღარიბი ქვეყნის პრეზიდენტი ვარ, ამიტომ საზღვარგარეთ ჩვეულებრივი რეისებით ვიფრენო.

**— ძალიან კარგად მახსოვს.**

— ვინ ეხვეწებოდა ამის თქმას? პრეზიდენტი ხარ და, რასაკვირველია, სამთავრობო თვითმფრინავით უნდა იმგზავრო. სულ მალე სააკაშვილმა ეს დაპირება არ შეასრულა, ანუ ხალხი „გააცურა". ვფიქრობ, **იმხანად პრინციპულობა რომ გამოგვეჩინა და შეგვეხსენებინა სააკაშვილისთვის მისი დაპირება, კატეგორიულად მოგვეთხოვა პრეზიდენტისგან მოცემული სიტყვის შესრულება ან, მისი გაჯიუტების შემთხვევაში, გადაგვეკეტა აეროპორტის ტრასა, ან კარვები გაგვეშალა ასაფრენ ბილიკებზე, მერწმუნეთ, ეს არარაობა ასე ვერ გალაღდებოდა**, მაშასადამე, ბევრ უბედურებას ავიცილებდით... გემახსოვრებათ „პიონერთა სასახლის" ამბავიც, როდესაც ახალარჩეულმა და ჯერ ძალამოუკრებავმა სააკაშვილმა გადაწყვიტა, ეს შენობა გადაეცა ერთი ცნობილი ქალბატონისთვის. მაშინ ჩვენმა საზოგადოებამ გამოიჩინა პრინციპულობა და აიძულა სააკაშვილი, ამ ახირებაზე ხელი აეღო. სამწუხაროდ, ჩვენი პრინციპულობა ამით ამოიწურა.

**მეორე,** რაზეც შევედავე პრეზიდენტ მარგველაშვილს, იყო მისი არასერიოზული საქციელი, როდესაც ის ჯიბრში ჩაუდგა აწ ყოფილ პრემიერმინისტრს საკითხში, ვის უნდა წარმოედგინა საქართველო გაეროს ასამბლეაზე. **იმის მაგივრად, რომ პრემიერთან მშვიდად გაემართა მოლაპარაკება, მან ეს ამბავი საერთაშორისო სკანდალის რანგში აიყვანა, რამაც ძალზე უარყოფითად იმოქმედა საქართველოს იერსახეზე ან, თუ გნებავთ, იმიჯზე.** ბატონ მარგველაშვილს დაავიწყდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი იყო კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დამფუძნებელი, იმ კოალიციისა, რომელმაც გიორგი მარგველაშვილი ქვეყნის პრეზიდენტად აქცია; და ამ ფაქტს უკავშირდებოდა ჩემი **მესამე** პრეტენზია. ქართველი კაცის თვისებაშია მადლიერება. ბატონმა გიორგიმ მშვენივრად იცის, რომ კოალიციამ ის ერთხმად აირჩია თავის კანდიდატად პრეზიდენტის თანამდებობაზე და კოალიციის უდიდესი დამსახურებაა, რომ ამ, იმხანად ნაკლებად ცნობილმა კაცმა, საქართველოს პრეზიდენტის პოსტი ჩაიბარა. პრეზიდენტი მარგველაშვილი ძალიან მალე გახდა ოპოზიციონერი. ეს, ჩემი აზრით, არის უმადურობა. **მეოთხე** კი, რაზეც შემომესივნენ უჯიშო „კოსმოპოლიტები", იყო, როგორც უკვე მოგახსენეთ, ის, რომ „დებილების" ნაცვლად „დაუნები" ვთქვი. რამდენიმე ეგზალტირებული ქალი გამოიყვანეს „მთავრობის სასახლესთან" და აყვირეს, რომ თურმე გოგი თოფაძემ შეურაცხყო ის დედები, რომლებსაც ჰყავთ დაუნის სინდრომით დაავადებული შვილები.

**— რომელიმე გაუბედურებულმა დედამ თუ მოგმართათ გულისწყრომით?**

— არც ერთმა. მიუხედავად ამისა, მე ყველა ასეთ დედას ბოდიში მოვუხადე.

**— აბა, მთავრობის სახლთან შეკრებილი ქალბატონები ვის წარმოადგენდნენ?**

— ჩემი აზრით, ეს ადამიანები იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის" მყვირალა აქტივისტები, რომლებიც, რა თქმა უნდა, უანგაროდ არ ყვირიან. მათ დროდადრო აფინანსებენ და, თუ ამ დედაკაცების გამოხდომების მიხედვით ვიმსჯელებთ, არც ისე ცუდად.

**— ბატონო გოგი, თუ გაქვთ გიორგი მარგველაშვილის მიერ ქართველების მიმართ გამოთქმული ბრალდებების „კრებული"?**

— როგორ არა! და, თუ სურვილი გაქვთ, გავაანალიზოთ მისი „გენიალური" შეფასებები. აი, ისინიც: **„დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ მდგომარეობამდე... ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა..."** მე დაველაპარაკე ნაცნობ ექიმებს, რომლებმაც მითხრეს, რომ მარგველაშვილი ფსიქიატრიაში მოიკოჭლებს, რადგან „მსუბუქი დებილობის ფორმა" არ არსებობს. დებილობა არის გონებრივი ჩამორჩენილობის ყველაზე მსუბუქი ფორმა. არსებობს გონებრივი ჩამორჩენილობის საშუალო ფორმა (იმბეცილები) და მძიმე ფორმა (იდიოტები). რაც შეეხება დაუნის სინდრომს, ის არის ყველაზე გავრცელებული გენეტიკური ანომალია, მაგრამ დავანებოთ მედიცინას თავი და შევეკითხოთ ბატონ პრეზიდენტს: **თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ დღევანდელ ქართველობას სჭირს „გონებრივი სისუსტე", „დებილობის მსუბუქი ფორმა" და, თუ ისიც გავითვალისწინეთ, რომ ბატონი გიორგი დღევანდელი ქართველი ერის წარმომადგენელია, რა გამოდის? — გამოდის მისთვის ძალზე არასახარბიელო დასკვნა, კერძოდ, გიორგი მარგველაშვილი არის ქართველების, ანუ მისივე თქმით, „დებილების" პრეზიდენტი. და, შესაბამისად, თუ „დებილებმა" მეთაურად აგირჩიეს, ესე იგი, შენში ყველაზე გამოჩენილი „დებილი" დაინახეს... ნუთუ არ რცხვენია მარგველაშვილს „დებილების" პრეზიდენტობა?!**



გოგი თოფაძე:

**რა, ქალბატონი თინა დღემდე თავდაცვის მინისტრია?..**

**ხიდაშელმა, მინისტრის კაბინეტში კი არა, დაკითხვებზე უნდა იაროს, რადგან შარშან, ოქტომბერში, საგარეჯოს რაიონში შუალედური საპარლამენტო არჩევნები გააყალბა და ამ საქმისთვის თავდაცვის სამინისტროს რესურსი გამოიყენა; ესეც არ იკმარა და ბიულეტენების დათვლაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ამ უმსგავსობის ამსახველი ფოტო სოციალურ ქსელშიც განათავსა. დღემდე ვერ გამიგია, რასთან გვაქვს საქმე: სიბრიყვესთან თუ თავხედობასთან. ხიდაშელმა თავისი უკანონო ქმედებით მთელ კოალიციას თავი მოსჭრა და ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა**

**— ბატონო გოგი, ბატონმა პრეზიდენტმა ეს 2001 წელს თქვა. იმ პერიოდში ის ასე ფიქრობდა. იმედია, ახლა სხვაგვარად ფიქრობს.**

— რა მნიშვნელობა აქვს, როდის თქვა. **ამ სიბრიყვისთვის ერს ბოდიში მოუხადა? ბატონმა მარგველაშვილმა ან ბოდიში მოუხადოს ქართველებს, ან გადადგეს, რადგან არ აქვს მორალური უფლება, „დებილების" მართვისა!**

**— „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა ლევან ბეჟაშვილმა თქვენი გამოსვლა შეაფასა, როგორც „გაუწონასწორებელი და შეურაცხმყოფელი". მან მოსთხოვა პარლამენტის ხელმძღვანელობას, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაიცვას ეთიკური ნორმები.**

— მინდა, შევეკითხო ბატონ ბეჟაშვილს: როცა მისმა თანაპარტიელმა **აკაკი ბობოხიძემ** დედის გინებით ააქოთა პარლამენტის დარბაზი, ეს, მართლაც, მისასალმებელი აზრი ეთიკური ნორმების დაცვაზე თავში რატომ არ მოუვიდა?

**— ბატონო გოგი, საკუთარ თავს სიამოვნებას ვერ მოვაკლებ და ჩემი ჟურნალისტური კრიტიკის „უსაყვარლესი" სუბიექტის — ქალბატონი ხიდაშელის გაკვირვებულ კითხვას გაგიმეორებთ: „რა, თოფაძე დღემდე პარლამენტშია?"**

— რა, ქალბატონი თინა დღემდე თავდაცვის მინისტრია?

**— აბა, სად უნდა იყოს?**

— წესით და რიგით, ხიდაშელმა, მინისტრის კაბინეტში კი არა, დაკითხვებზე უნდა იაროს, რადგან შარშან, ოქტომბერში, საგარეჯოს რაიონში შუალედური საპარლამენტო არჩევნები გააყალბა და ამ საქმისთვის თავდაცვის სამინისტროს რესურსი გამოიყენა; ესეც არ იკმარა და ბიულეტენების დათვლაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ამ უმსგავსობის ამსახველი ფოტო სოციალურ ქსელშიც განათავსა. დღემდე ვერ გამიგია, რასთან გვაქვს საქმე: სიბრიყვესთან თუ თავხედობასთან. ხიდაშელმა თავისი უკანონო ქმედებით მთელ კოალიციას თავი მოსჭრა და ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა.

**— ბატონო გოგი, რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ...**

— ეს არის ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადება, რომელიც რუსეთს გააღიზიანებს და მისი მხრიდან გამოიწვევს „საზღვრის" მორიგ გადმოწევას.

**— მაგრამ ჩვენ ხომ აღსადგენი გვაქვს ტერიტორიული მთლიანობა?**

— ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთთან მოლაპარაკების, მაგ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის გარეშე შეუძლებელია, მით უმეტეს, დღეს, როდესაც რუსეთი ასე გაძლიერდა. ის, ვინც ახლა მოგვიწოდებს ოკუპირებული ტერიტორიების სამხედრო ძალის გამოყენებით დაბრუნებისკენ, ან გიჟია, ან მოღალატე. როგორც მრეწველი კაცი, გეტყვით, რომ რუსული ბაზრის გარეშე, რომელზეც გასვლას მთელი მსოფლიო ოცნებობს, საქართველოს ეკონომიკას ვერ ავაღორძინებთ, თუმცა ეს სხვა თემაა და მასზე შემდგომ ვიმსჯელოთ.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

## მარტინ ლუთერი: აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!

**პუტინმა სთხოვა ტრუტნევს, შეძლებისდაგვარად გაფრთხილებოდა სტოლტენბერგისა და პოროშენკოს თავ-ყბებს. რატომ? — იმიტომ, რომ რუსეთის ვიცეპრემიერი იური ტრუტნევი კარატისტია, მეხუთე დანის მფლობელი, რომელიც მას კიოუკუშინკაი-კარატეს მსოფლიო ფედერაციამ მიანიჭა.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ПОЛКОВНИКУ ПИШУТ ВСЕ!

**ბრიტანული წამყვანი გაზეთების მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ლიდერი, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, გამოირჩევა არა მხოლოდ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებით, კაცობრიობის ცხოვრებას რომ ცვლის, არამედ, როგორც მჭევრმეტყველი, ხმამაღალი განცხადებების ოსტატი და, რა თქმა უნდა, როგორც ავტორი გონებამახვილური გამონათქვამებისა, რომლებიც პუტინს უკვე იმდენი დაუგროვდა, რომ არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში მისი აფორიზმების სქელტანიანი კრებულიც ვიხილოთ.**



მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ქალაქ დავოსში რუსეთის სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელმა **იური ტრუტნევმა** პრეზიდენტთან ახლახან გამართულ თათბირზე განაცხადა, რომ ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** და უკრაინის პრეზიდენტმა **პეტრე პოროშენკომ** რუსეთი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, რაზეც პუტინმა ტრუტნევს, რჩევის სახით, დიდი რუსი ბარდის — **ვლადიმერ ვისოცკის** პოპულარული სიმღერის სიტყვები შეახსენა: **„ОБНАЖИЛ Я БИЦЕПС НЕНАРОКОМ, ДАЖЕ СНЯЛ ДЛЯ ВЕРНОСТИ ПИДЖАК“,** შემდეგ გაიღიმა და ვიცეპრემიერს მიმართა, — ოღონდ, გთხოვთ, მათ აკურატულად მოექეცითო.

ანუ, **პუტინმა სთხოვა ტრუტნევს, შეძლებისდაგვარად გაფრთხილებოდა სტოლტენბერგისა და პოროშენკოს თავ-ყბებს. რატომ? — იმიტომ, რომ რუსეთის ვიცეპრემიერი იური ტრუტნევი კარატისტია, მეხუთე დანის მფლობელი, რომელიც მას კიოუკუშინკაი-კარატეს მსოფლიო ფედერაციამ მიანიჭა.** ჰოდა, სანამ ვლადიმერ პუტინი მორიგ ახალ აფორიზმს „აჩუქებს“ მსოფლიოს, გავიხსენოთ მისი ყველაზე აქტუალური და სხარტი გამონათქვამები. პუტინი-იუმორისტი განსაკუთრებით იფურჩქნება პრესკონფერენციებზე:

* **„მიაწოდეთ მიკროფონი, აი, იმ გოგონას, წითელ კოფთაში. ის მე უფრო მომწონს. არა, არა, თქვენც მომწონხართ!“** — მიმართა ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა პრესსამსახურის თანამშრომელს, რომელიც დარბაზში მიკროფონით ხელში იქით-აქეთ დადიოდა.

* რუსებისთვის (და, სხვათა შორის, ქართველებისთვისაც) მტკივნეული პრობლემა – ქვეყნიდან სპეციალისტების გასვლა საზღვარგარეთ, პუტინმა ასე შეაფასა:

**„თუ ჩვენს ქვეყანაში შეინიშნება ტვინების გადინება, ესე იგი, ტვინები გვყავს. ეს უკვე კარგია და ნიშნავს იმას, რომ ისინი მაღალი ხარისხის არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტვინები არავის დასჭირდებოდა და მათი გადინება არ მოხდებოდა“.**

* აი, არაორაზროვანი გაფრთხილება არასაიმედო პარტნიორებისა:

**„ჩვენ მზად ვართ, გავუწოდოთ ხელი ჩვენს პარტნიორებს, მაგრამ გაფრთხილებთ: ჩვენ გრძელი ხელები გვაქვს“.**

* საინტერესოა რუსეთის პრეზიდენტის აზრი ტელევიზიებში საკმარისზე მეტად მომრავლებულ სისასტიკის სცენების თაობაზე:

**„ჩვენს ტელევიზიებში ძალზე ბევრი ძალადობა და სიკვდილია, ხოლო ფილმები ომზე — ძალიან ცოტა“.**

* რუსეთის ადგილს დღევანდელ მსოფლიოში პუტინი მოკლედ აფასებს: **„სამწუხაროდ, რუსეთი თანამედროვე მსოფლიოს ნაწილია“.**

* ერთ-ერთმა ჟურნალისტმა შეახსენა რუსეთის პრეზიდენტს, რომ, ჭორების მიხედვით, ის ყველაზე მდიდარი ადამიანია ევროპაში. ამაზე პუტინმა უპასუხა:

**„მე ყველაზე მდიდარი ადამიანი ვარ არა მხოლოდ ევროპაში, მსოფლიოშიც. მე ვაგროვებ ემოციებს“.**

* საყურადღებოა მისი ეს მარგალიტიც:

**„თუ ადამიანს ყველაფერი ხელს აძლევს, მაშინ ის სრული იდიოტია. არ შეიძლება, ნორმალური მეხსიერების ჯანმრთელ ადამიანს ყველა და ყველაფერი აძლევდეს ხელს“.**

* ასეთია პუტინის თვალთახედვა მასმედიისა და ხელისუფლების ურთიერთობებზე:

**„ნამდვილი მამაკაცი ყოველთვის უნდა ეცადოს, ხოლო ნამდვილმა ქალიშვილმა მას წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ცდილობს, შეამციროს მის საწინააღმდეგოდ გამოთქმული კრიტიკის რაოდენობა, ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ყოველთვის უნდა გაამახვილონ საზოგადოების ყურადღება ხელისუფლების შეცდომებზე“.**

* კითხვაზე, რისთვის დაითხოვეს სამსახურიდან მოსკოვის თავკაცი იური ლუჟკოვი, პუტინმა ღიმილით უპასუხა:

**„შესაძლოა, არასპორტული საქციელისთვის“.**

* პენსიონერმა ქალმა — ფაინა ივანოვნამ ჰკითხა პუტინს, აპირებს თუ არა რუსეთი ალასკის დაბრუნებას.

**„ფაინა ივანოვნა, ძვირფასო, რად გინდათ ალასკა?** — კითხვაზე კითხვით უპასუხა ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა. — **ჩვენ ხომ ჩრდილოეთის ქვეყანა ვართ. ჩვენი ტერიტორიის 70 პროცენტი ეკუთვნის ჩრდილოეთს და უკიდურეს ჩრდილოეთს. რა, ალასკა სამხრეთია? მანდაც ცივა“.**

* პუტინს ჰკითხეს: მსოფლიოში ყველაზე კარგ ფინანსთა მინისტრს — ალექსეი კუდრინს არ დააბრუნებთ?

**„— არა,** — გაიღიმა პუტინმა, — **ის ზარმაცია, არ უნდა მუშაობა“.**

*როდესაც პუტინს ჰკითხეს „ევროკავშირთან“ და აშშ-თან ურთიერთობების მოგვარებაზე, მან განაცხადა: **„ურთიერთობების უპირველესი პირობაა რუსეთის ინტერესების პატივისცემა. აშშ-ს არ უნდა მოკავშირეები, მას მხოლოდ ვასალები სჭირდება“.**

**„ვარ თუ არა მე დემოკრატი?** — გაიმეორა კითხვა ვლადიმერ პუტინმა, — **რა თქმა უნდა, მე სრული და სუფთა დემოკრატი ვარ, მაგრამ, იცით, რა არის უბედურება? ის, რომ ასეთი დემოკრატი მსოფლიოში მხოლოდ მე ვარ. მაჰათმა განდის სიკვდილის შემდეგ ვერავის გაესაუბრები“.**

## პუტინმა ყველაზე დიდი პატივისცემა მაშინ დაიმსახურა, როდესაც ხელი მოაწერა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავ კანონს

ცნობილია, რომ იუმორით ჭკვიანი ადამიანები არიან დაჯილდოებულნი. რასაკვირველია, პუტინი ჭკვიანია, რეალისტი. ის ზედმიწევნად ჩახედულია საქმის დეტალებში, იცის, რით სულდგმულობს ხელისუფლება, ამასთანავე, ხვდება რიგითი მოქალაქის განწყობასაც. პუტინს შეუძლია, მიიღოს რთული, მათ შორის, არაპოპულარული გადაწყვეტილება, მაგრამ მასზე პასუხისმგებლობას არ იხსნის და ბოლომდე იცავს თავის პოზიციას. პუტინის პოპულარობა არ არის შემთხვევითი. თანამედროვე სამყაროში ნაკლებობაა ძლიერი და პასუხისმგებელი პოლიტიკოსებისა. მართლაც, ვინ შეედრება პუტინს?

აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა,** მეუღლის თანდასწრებით მამაკაცს ტუჩებში რომ კოცნის? საფრანგეთის უნებისყოფო „ინტელიგენტი“ პრეზიდენტი **ფრანსუა ოლანდი** თუ, როგორც გერმანელები უწოდებენ თავიანთ კანცლერს, „ობამას ფინია“ **ანგელა მერკელი?** ჩემი აზრით, ერთადერთი, ვისი შედარებაც შეიძლება პუტინთან, ეს არის **ფიდელ კასტრო**, მაგრამ კუბელი „დიქტატორი“, კარგა ხანია, ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკას. მეტყვიან, სამაგიეროდ, პუტინი არ უყვარს რუსეთის ინტელიგენციასო. აქაც, გააჩნია, ვის მივიჩნევთ ინტელიგენციად. თუ **მაკარევიჩს** ან **ახედჟაკოვას, სვანიძეს** ან **განაპოლსკის,** მაშინ ცუდად ყოფილა საქმე. შემახსენებენ: პუტინი „კაგებეს“ პოლკოვნიკიაო. მართალია, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი პოლკოვნიკია, მაგრამ გენიალური **გაბრიელ გარსია მარკესის** მოთხრობის — **„Полковнику никто не пишет“** გმირისგან — უხუცესი, ლატაკი პოლკოვნიკის, ყოველდღე ამაოდ რომ ელოდება წერილს დედაქალაქიდან პენსიის დანიშვნის თაობაზე — განსხვავებით, „პოლკოვნიკ“ პუტინის ფოსტა გადატვირთულია მისი მოღვაწეობით აღტაცებული ადამიანების წერილებით და გზავნილებით. ასე რომ, **„Полковнику Путину пишут все“!**

იქნებ, ლიბერალური ლიტერატურის მკითხველი მიგვაჩნია ინტელიგენტად? მაგრამ მაგ ტიპის მაკულატურაში წერენ, რომ „ზემო ეშელონი“ ქურდობს, ძარცვავს, ყიდულობს ვილებს და სასახლეებს საზღვარგარეთ, ხაზინაში ვირთხები „პოლკა-მაზურკას“ ცეკვავენ; რომ ვერასდროს ვიცხოვრებთ ისე კარგად, როგორც ევროპაში. მაკულატურის ავტორები გვისვამენ კითხვას: „ვინ არის დამნაშავე?“ და, დაფიქრებასაც არ გაცლიან, პასუხი „გამომცხვარი“ აქვთ — „პუტინი“. საერთოდ კი, უკეთესია, რუსეთს ამერიკელები მართავდნენო ან, ბოლოს და ბოლოს, აშშ-ის კონტროლს დაქვემდებარებული რომელიღაც ოლიგარქიო. თუმცა, პუტინი მოსწონს რუსეთის მოსახლეობის 80%-ზე მეტს. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ გასული საუკუნის 60-იან წლებში და უფრო ადრე. მათ იციან, როგორი იყო ომის შემდგომი პერიოდი, „გადალახული“ აქვთ ბრეჟნევის ე.წ. უძრაობის ხანა, გორბაჩოვის „პერესტროიკა“, დამანგრეველი და მშიერი 1990-იანი წლები. ამ ადამიანებს აქვთ მდიდარი გამოცდილება. აი, ეს ადამიანები უპირობოდ ენდობიან პუტინს. რუსეთის პრეზიდენტს, აგრეთვე, ემხრობიან, ახალი თაობის წარმომადგენლებიც, დაბადებულები 1970-80-იან წლებში. მათმა ბავშვობამ გაიარა საბჭოთა კავშირში. ყველამ მიიღო საშუალო განათლება კომუნისტების დროს, უმაღლესი განათლება კი — დამოუკიდებელ რუსეთში. ეს ხალხი თვლის, რომ, თუ არ იზარმაცებ, ბევრს იმუშავებ და არ იწუწუნებ, ყველაფერს მიაღწევ; და აღწევენ კიდეც! ასეთ ადამიანებს მოსწონთ პუტინი. ეს ადამიანები არ ელიან კეთილ ჯადოქარს, რომელიც ყველა სირთულეს მოუგვარებს; თავიანთ პრობლემებს თვითონვე წყვეტენ. მაგრამ **პუტინმა ყველაზე დიდი პატივისცემა მაშინ დაიმსახურა, როდესაც ხელი მოაწერა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავ კანონს.** აი, რა რეაქცია გამოიწვია ამ ფაქტმა ნორმალურ ამერიკელებში, რომლებიც, ვიმედოვნებ, ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაა: **„მე ვიწყებ რუსეთის შეყვარებას“; „მე მომწონს პუტინი. ის ისეთი პრეზიდენტია, რომელიც ჩვენ, ამერიკელებს, გვჭირდება და არა ის იდიოტი, რომელიც ახლა თეთრ სახლშია მოკალათებული“; „ბრავო პუტინ! მადლობა ღმერთს, მსოფლიოში დარჩა ერთი საღად მოაზროვნე ლიდერი!“; „როგორც იქნა, ერთი ნორმალური ქვეყანა აუჯანყდა ამ საყოველთაო სიგიჟეს!“; „რუსეთი აღდგება თავის სიდიადეში, რომელიც ეფუძნება ზნეობას“; „რონალდ რეიგანი, იმის შემხედვარე, როგორ იწყებს გაბრწყინებას რუსეთი, ხოლო ამერიკა ხდება ანალური ჯოჯოხეთი, კუბოში ტრიალებს“.**

დასასრულ, გულწრფელად შევეკითხოთ საკუთარ თავს: ამ ყველაფრის შემხედვარემ, რა ვქნათ — ანგლო-საქსური იმპერიალიზმის ინტერესების დასაცავად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვებრძოლოთ პუტინს თუ საქართველოს კეთილდღეობის გამო დავიმეგობროთ რუსეთის პრეზიდენტი?

**გიორგი კორძაძე**

## ამერიკელების გამონათქვამები პუტინზე:
## «მე ვიწყებ რუსეთის შეყვარებას«»; «მე მომწონს პუტინი. ის ისეთი პრეზიდენტია, რომელიც ჩვენ, ამერიკელებს, გვჭირდება და არა ის იდიოტი, რომელიც ახლა თეთრ სახლშია მოკალათებული»; «ბრავო პუტინ! მადლობა ღმერთს, მსოფლიოში დარჩა ერთი საღად მოაზროვნე ლიდერი!»; «როგორც იქნა, ერთი ნორმალური ქვეყანა აუჯანყდა ამ საყოველთაო სიგიჟეს!»; «რონალდ რეიგანი, იმის შემხედვარე, როგორ იწყებს გაბრწყინებას რუსეთი, ხოლო ამერიკა ხდება ანალური ჯოჯოხეთი, კუბოში ტრიალებს!»

ბაჩურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რაც უნდა „სუბიექტურად“, „ძნელად გასარკვევად“ და „შინაგან სულიერ მდგომარეობად“ ასაღონ ბუღაძე-კაკაბაძეებმა ცნება „შეურაცხყოფა“, ფაქტია, რომ სინამდვილეში სულაც არ არის ასეთი რთული დასადგენი, რომელი კონკრეტული სიტყვა თუ სიტყვები შეიძლება იყოს და არის შეურაცხმყოფელი და რომელი — არა.**

# ვინ არის სიმპათიური? ანუ შეურაცხყოფის ორმაგი სტანდარტი

**მკითხველო, დიდხანს ვიფიქრე, როგორ, რა ფრაზით, რა კონკრეტული სიტყვებით დამეწყო თქვენდამი მომართვა და, საზოგადოდ, ეს პუბლიკაცია. საქმე ისაა, რომ შეშინებული ვარ. აკი, მთელი გასული კვირის განმავლობაში ჩვენი ერის დიადი და სასიქადულო მოღვაწენი — ლაშა ბუღაძე, ნინია კაკაბაძე და სხვა მათნაირნი, ჩვეული, ოდნავ ირონიული, ბრძნული გამომეტყველებით გვმოძღვრავდნენ ჩვენ — შეუგნებელ და უვიც ქართველ ხალხს, რომ „შეურაცხყოფა“ სრულიად პირობითი და სუბიექტური ცნებაა.**

ანუ, თურმე შეურაცხყოფის დადგენის ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს და გააჩნია, ვინ რას აღიქვამს შეურაცხყოფად ან ვინ რას ამბობს შეურაცხმყოფლად, საკუთარი, სუბიექტური განწყობით. მოკლედ, ახლა **მე შეიძლება ვთქვა, გამარჯობა, პატივცემულო მკითხველო-მეთქი და თქვენ ეს შეურაცხყოფად მიიღოთ სუბიექტურად! ანდა, პირიქით — დავწერო, თქვე ასეთებო და ისეთებო, და მერე დაგიწყოთ მტკიცება, — სუბიექტურად, შეურაცხმყოფელი არაფერი მითქვამს, მე ამ სიტყვებს რომ ვამბობდი, სულაც არ მქონია განზრახული თქვენი შეურაცხყოფა-მეთქი...**

მთლად გასაგებად ვერ აგიხსენით? კაი, ერთხელაც ვცდი: **ბუღაძის, კაკაბაძისა და მათნაირთა განმარტებით, შეურაცხყოფა, როგორც ასეთი, საერთოდ, ბუნებაში არ არსებობს. შეურაცხყოფად ვერ მივიჩნევთ ვერც ერთ სიტყვას, თუკი მათი წარმომთქმელი ამას შეურაცხყოფის განზრახვით არ ამბობს და, ამასთანავე, შეურაცხყოფად შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი სიტყვა, თუკი მათ წარმომთქმელი შეურაცხყოფის მიზნით ამბობს...** სრული დემაგოგიაა? დიახ! რა თქმა უნდა, ეს სრული, რეგვნული, მძიმე და უტიფარი მორიგი დემაგოგიაა ამ ადამიანების მხრიდან, რომელთათვისაც გამოთქმა „ენას ძვალი არ აქვს“ და ცნება „ორმაგი სტანდარტი“ აბსოლუტურად შესისხლხორცებულია, მათთვის ეს ერთგვარი სულიერი მდგომარეობაც კია.

**ნებისმიერი რამ, იქნება ეს რაიმე მოვლენა, ფაქტი თუ ვისიმე განცხადება, როდესაც მათ სურთ, „ასეა“, ხოლო სხვა დროს ანალოგიიური ფაქტი თუ განცხადება, მოუნდებათ და „ისეა“.** ამჯერად **მათი „ენის უძვლობა“ და „ორმაგი სტანდარტი“ პარლამენტში განსახილველად შესულმა იმ კანონპროექტმა გამოიწვია, რომელიც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის გარკვეულ ადმინისტრაციულ სასჯელებს ითვალისწინებს სხვადასხვა ოდენობის ფულადი ჯარიმების სახით.**

სწორედ ამ კანონპროექტის შესაძლო მიღებამ და პარლამენტის მიერ შესაძლო დამტკიცებამ გახადა უცებ ცნება „შეურაცხყოფა“ ესოდენ სუბიექტური, გაურკვეველი და ბურუსით მოცული.

აქამდე კი სავსებით ობიექტური და ყველასათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ სიტყვები „პედერასტი“, „ზანგი“, ანდაც, აგერ ახლახან იმავე პარლამენტში სკანდალად ქცეული სიტყვა „დაუნი“, უპირობოდ შეურაცხმყოფელია.

ამ შემთხვევებში, სულაც არ აქვს მნიშვნელობა არც წარმომთქმელის „განზრახულობას“ და არც მის ინტონაციას — ჩვენს „პატივცემულ პრადვინუტებს“ გადაწყვეტილი აქვთ, რომ ეს შეურაცხმყოფელია და მორჩა! ხოლო, **რა შეიძლება იყოს რელიგიის, ეკლესიის თუ მეჩეთის შეურაცხმყოფელი და რა არა, ამის გარკვევა ისე „უჭირთ“, რომ დაბნეულან.** არადა, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ სიტყვა „შეურაცხყოფა“ არაერთხელ არის ნახსენები. მაგალითად, 166-ე მუხლში, სადაც საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებასა და კონკრეტული პიროვნებისთვის შეურაცხყოფაზეა საუბარი და, აგრეთვე, 175-ე მუხლში, სადაც უკვე პოლიციის წარმომადგენლების შეურაცხყოფაზე გვესაუბრება კოდექსი. **საინტერესოა, ამ მუხლების შემუშავებისას და შემდგომ მათი განხილვა-დამტკიცებისას თუ ჰკითხეს აზრი ბუღაძე-კაკაბაძეს?!**

აჰ, თუმცა, **როგორც ჩანს, შეურაცხყოფის არსის გარკვევა მხოლოდ რელიგიის მიმართ ხდება ხოლმე რთული.** რაც შეეხება ჰომოსექსუალს, შავკანიანს, პოლიციელს ან სკვერში მოსეირნე ვინმე მოქალაქეს — აქ ყველაფრი გასაგებია და ყველამ შესანიშნავად ვიცით, რაც შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი.

მახსენდება უძველესი თბილისური ხუმრობები სომხებზე. კერძოდ ის, რომ, თითქოს არაერთი სომეხი ეროვნების ადამიანი მიმართვას — „შე სომეხო“ — შეურაცხყოფად აღიქვამს და სწყინს, მაშინ, როდესაც — „შე ქართველო“ — არც ერთ ქართველს არასოდეს სწყენია.

სინამდვილეში კი „სომეხო“, რა თქმა უნდა, სულაც არ არის შეურაცხმყოფელი სიტყვა და ასეთი მიმართვისთვის, არა მგონია, ვინმემ ვინმეს უჩივლოს, ან, თუკი მსგავსი სისულელე მოხდა, არა მგონია, რომელიმე სასამართლომ მომჩივანი გაამართლოს და მოწინააღმდეგე მხარე დააჯარიმოს.

**მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ, რაც უნდა „სუბიექტურად“, „ძნელად გასარკვევად“ და „შინაგან სულიერ მდგომარეობად“ ასაღონ ბუღაძე-კაკაბაძეებმა ცნება „შეურაცხყოფა“, ფაქტია, რომ სინამდვილეში სულაც არ არის ასეთი რთული დასადგენი, რომელი კონკრეტული სიტყვა თუ სიტყვები შეიძლება იყოს და არის შეურაცხმყოფელი და რომელი — არა.**





**ბუღაძის, კაკაბაძისა და მათნაირთა განმარტებით, შეურაცხყოფა, როგორც ასეთი, საერთოდ, ბუნებაში არ არსებობს. შეურაცხყოფად ვერ მივიჩნევთ ვერც ერთ სიტყვას, თუკი მათი წარმომთქმელი ამას შეურაცხყოფის განზრახვით არ ამბობს და, ამასთანავე, შეურაცხყოფად შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი სიტყვა, თუკი მათ წარმომთქმელი შეურაცხყოფის მიზნით ამბობს... სრული დემაგოგიაა? დიახ! რა თქმა უნდა, ეს სრული, რეგვნული, მძიმე და უტიფარი მორიგი დემაგოგიაა ამ ადამიანების მხრიდან...**

**„გამარჯობა“ როგორი ცუდი ტონითაც უნდა გითხრას ვინმემ, ფაქტია, რომ მას სასამართლოში ვერ უჩივლებ, ხოლო, თუკი ვინმე მომხიბლავი ღიმილითა და ტკბილი ტონით გიწოდებს „ბინძურ ღორს“, არა მგონია, იმის გარკვევა დაიწყოთ, მან ეს „შეურაცხყოფის მიზნით“ გიწოდათ თუ ისე, უბრალოდ.**

თუ არადა, ბატონ-ქალბატონ ბუღაძე-კაკაბაძეებს, ვთხოვ, განმიმარტონ, რატომ არის შეუყრაცხყოფა და ჰომოფობია სიტყვა „პედერასტის“ გამოყენება? იქნებ მე სულაც არ მივმართავ ამ სიტყვით ვინმეს მისი შეურაცხყოფის განზრახვით და პირიქით — თბილად და გულისხმიერად „ვეფერები“? მით უმეტეს, რატომ არის სიტყვა „ზანგი“ ვისიმე ასე უპირობოდ შეურაცხმყოფელი? როგორ, განა **მარკ ტვენს** ან, მით უმეტეს, **ჰარიეთ ბიჩერ სტოუს,** რომლებსაც „ნეგროიდით“, „ნეგრით“, ანუ „ზანგით“ ჰყავთ მოხსენიებული თავიანთი ნაწარმოებების ის გმირები, რომელთა უსამართლო ხვედრსაც ესარჩლებიან, იცავენ და ექომაგებიან, დავიჯერო, სძულდათ ისინი? განა ვინმეს შეუძლია თქვას, რომ ამ ორ უდიდეს მწერალს განზრახული ჰქონდა შავკანიანი ადამიანების შეურაცხყოფა?

მით უმეტს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პარლამენტარ **გოგი თოფაძეს** გუნებაშიც არ გაუვლია „დაუნის სინდრომით“ დაბადებული ბავშვების ან ამ სინდრომის მქონე ზრდასრული ადამიანების შეურაცხყოფა. შემიძლია დავიფიცო, რომ მას მხოლოდ პრეზიდენტ მარგველაშვილის „გამწარება“ სურდა და საერთოდ არ ფიქრობდა სხვაზე, როდესაც პარლამენტის ტრიბუნიდან წარმოთქვამდა ცნობილ ფარაზას: „გიორგი მარგველაშვილმა ქართველი ერი დაუნებს შეადარა და ამის შემდეგ მას არ ჰქონდა უფლება, ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტი“.

ამ წერილის მიზანი პოლიტიკური ორომტრიალის გამოწვევა არ არის. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ, **როდესაც თოფაძე სიტყვა „დაუნს“ წარმოთქვამდა, სუბიექტურად, მას არავისი შეურაცხყოფა მიზნად არ ჰქონია. გამოდის, ბუღაძე-კაკაბაძისა და მისნაირთა თეორიით, ამ კაცს არაფერიც არ უთქვამს ცუდი და შეურაცხმყოფელი. მაშ, რას ერჩიან მას, რატომ მოითხოვენ მისგან ბოდიშის მოხდას?!**

სხვათა შორის, სასაცილოა ის ხალხი, რომელიც მარგველაშვილს ასე ამართლებს — პრეზიდენტს იმ წერილში „დაუნი“ არ უხსენებია, ის მხოლოდ დებილს უწოდებს ქართველ ერსო. არადა, დებილიც ხომ ზუსტად ისეთივე დაავადების მქონეა, როგორისაც დაუნი, როგორისაც, სხვათა შორის, კრეტინი, დეგენერატი, იმბეცილი და ა. შ. საზოგადოდ კი, ყველა ის ტერმინი, რომლებსაც ადამიანები გამოიყენებენ „გონებრივად ჩამორჩენილის“ აღმნიშვნელად, არის აღებული სამედიცინო ტერმინოლოგიიდან და სხვადასხვა ტიპის დაავადებებს აღნიშნავს...

ამ, საკუთარი თავის „ყველაფრისმცოდნედ“ გამსაღებელ და მუდამ ფეხის ხმას აყოლილი ადამიანებისგან ისიც კი მოვისმინე და მათ „ფეისბუქ“-გვერდებზეც წავიკითხე ასეთი წარმოუდგენელი ფრაზა, ეს რა გაბედა გოგი თოფაძემ, როგორ მიაყენა შეურაცხოფა დაუნებს, მაგ კრეტინმა, მაგანო...

ასე რომ, მაინც მგონია, **სჯობს, კარგად დაფიქრდეთ, ვიდრე ამ, „უძვლო ენებისა“ და ორმაგი სტანდარტების მქონე „პრადვინუტ ერისმოძღვრებს“ მათ პროპაგანდაში აჰყვებით და მათგან ირონიისა და დაცინვის მიღების შიშით ხმას არ ამოიღებთ.**

სინამდვილეში, **ნათელია, რას შეიძლება ნიშნავდეს ვინმეს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და რა არის და რა არა, საზოგადოდ, შეურაცხყოფა.**

ეს რომ ასე არ იყოს, პოლიციელთა პატაკებსა და სასამართლო განჩინებებში საერთოდ გაქრებოდა ჩანაწერი: „ამა და ამან ამა და ამას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა“.

ეს რომ მართლაც სუბიექტური იყოს და არა სავსებით ობიექტური განსაზღვრება, მაშინ მართლაც შესაძლებელი იქნებოდა, ვინმეს განეცხადებინა, ესა და ეს კონკრეტული სიტყვა ჩემთვის, სუბიექტურად, შეურაცხყოფაა და, ვინც ასე მომმართავს, დააჯარიმეთო.

მახსენდება ქართული მხატვრული ფილმი **„სხვისი შვილები“,** როდესაც პატარა ბიჭი მეგობარს ეუბნება, — შენი დედინაცვალი სიმპათიურიაო, და ამ სიტყვის არმცოდნე ბავშვი გაბრაზებით მივარდება მუშტებით, — ვინ არის სიმპათიურიო?!

თუკი მათი მხრიდან „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ შესახებ გამოთქმული ირონიული შენიშვნები მიზანმიმართული დემაგოგია არ არის, მაშინ, გამოდის, რომ ბუღაძე-კაკაბაძე და მათი „და-ძმანი“, აი, დაახლოებით, ამ ბავშვების დონეზე აზროვნებენ და, ვინაიდან „გონებაშეზღუდულობის“ აღმნიშვნელი ყველა სამედიცინო ტერმინის გამოყენებისა უკვე მეშინია, მათი გონებრივი შესაძლებლობების განმსაზღვრელი სიტყვის ან ტერმინის მისადაგება ისევ ჩემი მკითხველისთვის მიმინდვია.

**ნეტავ, რაში იხდიან ეს ადამიანები მილიონებს, თუკი ამხელა თანხის გადახდის შედეგად ვერც ტექნიკას გამოიყენებენ, ვერც შენობა-პავილიონებს და ვერც ბრენდსა და ლოგოს?! ანუ, რას ყიდის ძველი მფლობელი და რას ყიდულობს ახალი?**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წყაროს მოგყიდის და წყალს არ დაგალევინებსო...

## ანუ ხალხური ზღაპრების საიდუმლო ამოხსნილია




**როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ჩვენს რედაქციაში მოვიდა მადლობის წერილი ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებლების, განსაკუთრებით კი, პირადად მამუკა ღლონტის მისამართით. წერილის ავტორი ერთ-ერთი ქართველი მეცნიერია, რომელიც ქართულ ხალხურ ზღაპრებს იკვლევს და ცდილობს, დაადგინოს, რეალური საფუძველი თუ ჰქონდა უხსოვარ დროში ამ ზღაპრების შექმნას, ანუ თავიდან ბოლომდე 100 პროცენტით ტყუილია ყველაფერი, რაც ზღაპრებში ხდება, თუ რეალურადაც შეიძლებოდა არსებულიყო ცხრათავიანი დევი, მფრინავი ხალიჩა, ჯადოსნური სარკე და მსგავსი რამერუმეები. საკითხი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ჩვენც გაგვიკვირდა, რა შუაში იყვნენ აქ ტელეკომპანია „მაესტრო“ და მისი დამფუძნებლები.**

როგორც გაირკვა, ამ მეცნიერს „მაესტროს“ ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა საშუალება მისცა, მყარი თეორიული მოსაზრება ჩამოეყალიბებინა ცხრათავიანი დევის რეალურად არსებობაზე, რომელიც, ზღაპრებში რაინდებსა და გმირებს წყარომდე მიუშვებდა, მაგრამ წყალს აღარ ასმევდა ხოლმე.

ხსენებულ მეცნიერს ეს შთააგონა ტელევიზორში შემთხვევით გაგონილმა ფარზამ: „მართალია, მე ამ ტელევიზიის წილები გავყიდე, მაგრამ არც ერთ ახალ მფლობელს ამ ორი დაპირისპირებული მხარიდან, არც **მაკა ასათიანს** და არც **გიორგი გაჩეჩილაძეს**, არ აქვთ უფლება, გამოიყენონ ტექნიკა, შენობა და ტელეკომპანიის ბრენდი, ანუ ლოგო“. ეს განცხადება საინფორმაციო გამოშვებებში სწორედ ტელეკომპანია „მაესტროს“ სულ პირველმა დამფუძნებელმა **მამუკა ღლონტმა** გააკეთა.

ჰოდა, ჩვენი მეცნიერიც თურმე ჩაუფიქრდა, — აბა, რაღა იყიდეს ან ერთმა და ან მეორე „ახალმა“ მფლობელებმა?!

მით უფრო, როდესაც საუბარია „ამდენ მილიონზე“ და „იმდენ მილიონზე“ ორივე მხრიდან. მაშ, **ნეტავ, რაში იხდიან ეს ადამიანები მილიონებს, თუკი ამხელა თანხის გადახდის შედეგად ვერც ტექნიკას გამოიყენებენ, ვერც შენობა-პავილიონებს და ვერც ბრენდსა და ლოგოს?!**

ანუ, რას ყიდის ძველი მფლობელი და რას ყიდულობს ახალი?

აი, სწორედ აქ გაახსენდა მეცნიერს ხალხური ზღაპარი, დევი რომ ეუბნება ამა თუ იმ მოგზაურ რაინდს — შენი იყოს ეს მთა-გორებიც, ეს ჯადოსნური წყაროც და სიცოცხლის ნაკადულიც, ოღონდ წყლის დალევის უფლება არ გაქვს, იცოდეო!

საგულისხმოა ისიც, რომ, „მაესტროს“ წილებისა არ იყოს, დევს ყოველდღე აჭრიან თავებს, მაგრამ მათ ადგილზე ახალ-ახალი ამოსდის.

ანუ, **მიუხედავად იმისა, რომ ღლონტმა ყიდა და ყიდა „მაესტროს“ წილები, ამჟამად „მაესტრო“ მაინც მისია!**

სხვათა შორის, აქვე შეიძლება გაგვახსენდეს ცნობილი პოეტის ლექსის სტრიქონიც: „წყაროზე ჩაგიყვანს და წყალს არ დაგალევინებსო...“

მოკლედ, ასეა თუ ისე, ხსენებული **ქართველი „ზღაპაროლოგი“ მადლობას უხდის „მაესტროს“ როგორც ძველ, ასევე ახალ და, ასევე, კიდევ უფრო ახალ მეწილეებს, რომ მათ მიერ ატეხილმა ხმაურმა და აჟიოტაჟმა მეცნიერს საშუალება მისცა, ასეთი, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, კითხვისთვის დამაჯერებელი პასუხი გაეცა.**

საკითხავი მხოლოდ ისღა რჩება: ნუთუ მართლა ასეთი დაბდურები არიან ის „რაინდები“, რომლებიც „ცხრათავიან ღლონტს“ თანხმდებოდნენ, მილიონებად შეეძინათ „ნაკადული“ ან „წყარო“, რომლიდანაც წყლის დალევის უფლება არ ექნებოდათ?

ნუთუ მართლა ასეთ „ჯადოსნურ“ და „ზღაპრულ“ წყაროს ფლობს ღლონტი, რომ იქ მხოლოდ „ჩაყვანა“ ღირს მილიონები, წყლის დალევის გარეშეც კი?

**და თუ ასეა, მაშინ, სავარაუდოა, რომ „ცხრათვიანი ღლონტი“ კიდევ არაერთხელ გაყიდის „მაესტროს“ წილებს...**

**რა ენაღვლება, რო?!**

**მასე აბარავა**

---

**ქვეყნის მეტისმეტად პროდასავლური კურსი არ ჩერდება და წინ მიიწევს, იმდენად მიიწევს, რომ პარლამენტი ახალ კანონპროექტზე იწყებს მუშაობას, რომელიც შოკისმომგვრელი და, ამასთანავე, რევოლუციური იქნება.**

# ერთ-ერთი ნაციონალის ჯიბეში სკანდალური დოკუმენტი აღმოაჩინეს

ალბათ, დაინტერესდებით, რა წერია კანონპროექტში. ჩვენმა წყარომ არც ამჯერად გვიღალატა და სკანდალური პროექტის პასტისებური (ანუ კალმით ნაწერი) ვერსია იმ დროს ჩაიგდო ხელთ, როდესაც ნაციონალების ერთ-ერთ წარმომადგენელს, მეგობრულად ჩახუტებისას, ჯიბეში ჩაუცურა ხელი და სკანდალური ფურცელიც მის ხელში აღმოჩნდა.

მაშ ასე, რას ითვალისწინებს ახალი კანონპროექტი. როგორც მომავალი დოკუმენტიდან ირკვევა „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმები აქვს და სწორედ ამის შემდეგ, სავარაუდოდ, დოკუმენტიც ამოქმედდება და ფორსირებულად (დაჩქარებულად) აღსრულდება.

მას შემდეგ, რაც დოკუმენტი ძალაში შევა, საქართველოსთვის მზე მხოლოდ დასავლეთიდან ამოვა. ამ საკითხზე სპეციალისტები უკვე მუშაობენ, რათა მზის მიმართულების შეცვლა მოახერხონ. ამ მეტად მამულიშვილურ საქმეში მათ სტრატეგიული პარტნიორი ამერიკა და მისი ელჩი საქართველოში **იან კელი** ეხმარებიან.

**როგორც ცნობილია, ახალი კანონი 2017 წლიდან უნდა ამოქმედდეს. ის ითვალისწინებს მთელ რიგ მენტალურ, მსოფლმხედველობრივ და ზნეობრივ ცვლილებებს. იგეგმება გამგეობების, სამინისტროების, საკრებულოებისა და მათ დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურების ამერიკანიზაცია. ყველა შენობაზე განთავსდება ამერიკის დროშა, ყველა საჯარო დაწესებულებაში დაიკიდება ბარაკ ობამას ფოტოები, ქართლის დედას თავისუფლების ქანდაკების ასლი ჩაანაცვლებს.**

საქართველოში დაბრუნდება ლეგენდარული „ანქლ ბენსი“, რომელმაც მშიერი 90-იანელები დააპურა. ქვეყანაში აიკრძალება ყველაფერი, რაც რუსულთან იქნება დაკავშირებული და ნებისმიერი, ვინც გაბედავს და რუსულად ერთ სიტყვას მაინც იტყვის, უმკაცრესად დაისჯება.

ამისათვის სპეციალურად შეიქმნება ჯგუფები, რომლებსაც **თამრიკო ჩერგოლეიშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, ნინია კაკაბაძე, ნინო დანელია, ხათუნა გოგორიშვილი, აკაკი მინაშვილი, გოკა გაბაშვილი** და ერის სასიქადულო მამულიშვილი **გიორგი კანდელაკი** უხელმძღვანელებენ.

სკოლებში ჩამოიხსნება პუშკინის, ლერმონტოვის ჩეხოვისა და ესენინის ფოტოები, აიკრძალება სიტყვები: **„კაროჩე“, „სპასიბა“, „ნიჩევო“, „ხარაშო“** და მსგავსი ტერმინები.

იგეგმება **ნინო ბურჯანაძისა** და მისი თანამოაზრეების გადასახლება ციმბირში, ასევე, რუსულის მიმართ მიდრეკილ ან შემჩნეულ ყველა პირს ჩამოერთმევა უძრავი ქონება და სახელმწიფოს გადაეცემა.

რუსული პროპაგანდის გამავრცელებელი სამუდამოდ იქნება შეჩვენებული და გარიყული ქვეყნიდან, მოხდება მათი იდენტიფიცირება და სპეციალური, გაცხელებული რკინით დუნდულებზე დაედება დამღა წარწერით — „რუსეთის მონა“.

დაიწყება რუსული წარმოების სატვირთო და საკოლმეურნეო წარმოების ავტომობილების დემონსტრაციული განადგურება და მას ჯართშიც კი არ ჩააბარებენ.

**„ჩვენი მიზანია, საქართველოს თითოეული მოქალაქე მისალმების დროს ერთმანეთს არა გამარჯობას ან დილა მშვიდობისას, არამედ ჰელოუს და გუდ მორნინგს ეუბნებოდნენ“,** — წერია სკანდალურ ფურცელში.

საქართველოში დაიბადებიან ახალი ლარი კინგები, ტრამპები, ოპრა ვინფრები და ბილ კლინტონები.

**„რუსთავი 2“** შეუერთდება უდიდეს ამერიკულ სამაუწყებლო კომპანია **CNN**-ს. საქართველოში გაიხსნება **MTV** და სამუდამოდ ჩაბარდება წარსულს ახალი წლის რუსული გასართობი პროგრამის **„ზალატოი აგანიოკი“** ტრანსლაცია.

რუსეთში მცხოვრებ ყველა ქართველს მოქალაქეობას ჩამოართმევენ და სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მათ უკან დაადეპორტებენ.

იგეგმება რუსული გაზგამტარი მილების ამოყრა და მასში ამერიკული, წყალგამძლე მილების ჩაყრა, რომელსაც დიდი ასოებით ეწერება **USA;**

გაუქმდება საქართველოს მაიდენტიფიცირებელი სერია GE. „ჩაკრულო“ და „მრავალჟამიერი“ სასწრაფოდ ითარგმნება ინგლისურად და მას „ქანთრის“ ელემენტები დაემატება.

გაიმართება საყოველთაო გეიაღლუმები, დაკანონდება ერთნაირსქესიანთა ქორწინებები, ისევ გაიშლება სეფები სოფლებში და ქალ-ვაჟის ნაცვლად ამჯერად „ვაჟკაცები“ შექმნიან ოჯახებს.

ეს არის ის, რაც საქართველოს ბედნიერი მომავლის გარანტია.

**„ჩვენ გვჯერა, ჩვენ ამას შევძლებთ!“** — ასე სრულდება სკანდალური დოკუმენტი, თუმცა, როგორც წყარო გვიამბობს, ფურცელი გადახეული იყო და მისი ნაწილი, სავარაუდოდ, იმ იდუმალი ნაციონალის ჯიბეში დარჩა, რომელსაც მეგობრულად, სინამდვილეში კი საჭიროებისამებრ, ჩაეხუტა.

ასე რომ, „ნაციონალების“ გარდა, ჯერაც არავინ უწყის, კიდევ რა „ამერიკული“ ნაბიჯებით ფიქრობენ ისინი ჩვენი ქვეყნის გაბედნიერებას.

**ელიკო სილაძე**

ვარაუდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაცვის სამსახურის უფროსის მონაყოლით, ბერეზოვსკის არქივში დაცული იყო აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ცალკეული აგენტების მიმოწერაც, რომლითაც დასტურდებოდა, რომ რუსეთში გადატრიალების მოწყობის მცდელობა, „მაიდანი, „ბოინგი“, ცნობილი რუსი ოპოზიციონერის ლიკვიდაცია (მოსკოვში), სპეცოპერაციებია, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ იყო გათვლილი“.**

# რატომ კლავენ ოლიგარქებს

## და რატომ იჩქარა ივანიშვილმა აქტიური პოლიტიკიდან წასვლა



რიჩარდ უესტოლი — „დამოკლეს მახვილი“

**ოფიციალურად გავრცელებული ცნობით, ბადრი პატარკაციშვილი გულის შეტევით გარდაიცვალა, ბერეზოვსკიმ თავი ჩამოიხრჩო. ბევრ შეკითხვას აჩენდა ორივე ტრაგიკული შემთხვევა, საეჭვო და გაუგებარი იმთავითვე.**
**წერდა ამაზე „საქართველო და მსოფლიოც“. მხედველობაში მაქვს 2014 წლის 10 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ ბადრი პატარკაციშვილის უახლოეს მეგობარ ბესო კეიდიასთან. მინიშნებით.**
**ეს თემა შემდეგ ინტერნეტსაიტმა „რეპორტიორმა“ განავრცო.**

და აი ახლახან, წლევანდელ 3 თებერვალს, ტელეარხ Планета РТР-ის საინფორმაციო პროგრამა „ვესტი“ მთავარ გამოშვებაში „ახალაღმოჩენილ გარემოებებზე“ დაყრდნობით აქვეყნებს სენსაციურ სიუჟეტს — ბერეზოვსკის თავი არ მოუკლავს, დაინტერესებულმა ძალებმა სიცოცხლეს გამოასალმეს პუტინის წინააღმდეგ მებრძოლი ოლიგარქი, რომელმაც კრიტიკულად გაიაზრა განვლილი ანტირუსული გზა და კალაპოტის შეცვლა გადაწყვიტა.

„ახალაღმოჩენილი გარემოებები“ ოლიგარქის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის — **სერგეი სოლოვიოვის** ალაპარაკებაა, რომელიც ამდენ ხანს დუმდა.

„ვესტის“ ეს სიუჟეტი ირიბად, მაგრამ (თუ დავუკვირდებით) არცთუ უსაფუძვლოდ მიგვითითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც შეიძლება გამხდარიყო **ბადრი პატარკაციშვილის** სიკვდილის მიზეზი — მისი სიცოცხლის ძალადობრივი ხელყოფა, რა თქმა უნდა.

საიდან სადაო?

ბერეზოვსკი და პატარკაციშვილი წლების განმავლობაში მეგობრები და საქმიანი პარტნიორები იყვნენ, ერთობლივი ბიზნესი ჰქონდათ, ახლობლობდნენ ოჯახებით; ერთი საქმე, ერთი გარემო, რომელიც ორივესთვის ერთნაირი საშიშროებით იყო გაჯერებული, ერთნაირი შემოტევა და ერთობლივი ბრძოლა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ველური კაპიტალიზმის პირობებში „თავის გასატანად“.

წარმატებულებიც ერთნაირად იყვნენ და ერთი და იგივე დამოკლეს მახვილი ორივეს თავზე ცხენის იმ ძუით ეკიდა, რომელიც მოულოდნელად და ერთნაირად საეჭვო პირობებში გაწყდა.

ახლა კი ამ ზოგადი შესავლიდან ფაქტობრივ მასალაზე გადავიდეთ, რომელიც ზემოთ მითითებულ სიუჟეტში გასაჯაროვდა.

კვინტესენცია: **ბერეზოვსკის რუსეთის პრეზიდენტისთვის უნდა გაეგზავნა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდა დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ პუტინის ლიკვიდაციის მცდელობას. ოლიგარქის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სერგეი სოკოლოვი დარწმუნებულია, რომ ეს მასალები, სულ ცოტა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა აღნიშნულ სპეცსამსახურებს და არა მხოლოდ მათ.**

ბერეზოვსკის „უყვარდა პოლიტიკის თამაში“ და წლების განმავლობაში ამ „თამაშით“ ისე გაერთო, ისე დაუპირისპირდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ იძულებული შეიქნა, დიდი ბრიტანეთისთვის შეეფარებინა თავი, როგორც პოლიტდევნილს. ტელესიუჟეტი (**ავტორი ოლგა სკობეევა**) აგებულია ბორის ბერეზოვსკისა და სერგეი სოკოლოვის მიმოწერაზე, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა სპეციალურად შექმნილი ელექტრომისამართების გამოყენებით.

პირველ წერილს ბერეზოვსკი ლონდონიდან 2004 წლის იანვარში უგზავნის სოკოლოვს; უკანასკნელს — 2013 წლის პირველ მარტს, მის „უცნაურ და გაუგებარ“ სიკვდილმდე სამი კვირით ადრე.

იგი ღელავს, ნერვიულობს იმის გამო, რომ იგვიანებს პუტინის რეაქცია მის (ბერეზოვსკის) წერილზე, რომელიც ერთ დროს თავისი და პატარკაციშვილის ხელის ბიჭს — **რომან აბრამოვიჩს** გაატანა.

**(„აბრამოვიჩი, იცით, ვინ იყო? ბადრისა და ბორიას „ლოგოვაზში“ ხელის ბიჭად ჰყავდათ. სტუმრებს მას მიუჩენდნენ ხოლმე. ბადრის ნათქვამიდან ვიცი, საუბარში ახსენებდა ზოგჯერ. ჭკვიანი ბიჭი გამოდგა. საქმეს ალღოს ულებდა. ბორიასა და ბადრის მოსკოვიდან რომ მოუწიათ წამოსვლა, მათზე ძებნა რომ გამოაცხადეს, მაშინ გაშალა ფრთები, თორემ ამათ დროს რას წარმოადგენდა?! — არც არაფერს“.** — *ბესო კეიდიას ინტერვიუდან).*

ოლიგარქი რუსეთში დაბრუნებაზე ფიქრობს, სუფთა ფურცლიდან აპირებს ყველაფრის თავიდან დაწყებას, სურს, დაარწმუნოს პუტინი თავის გულწრფელობაში ყოველგვარი „სტილისტიკის“ (სიტყვაუხვობის) გარეშე: „პუტინს სტილისტიკა არ სჭირდება, მას სჭირდება ფაქტები, უნდა დარწმუნდეს, რომ მართალია და რომ მან გაიმარჯვა... ცხადია, ზოგიერთ ფაქტს ცალკე ჩამოვთვლი, სხვამ არავინ რომ არ ნახოს, ისე... მინდა, რაღაცით მაინც დავეხმარო პუტინს“, — წერს იგი თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელსაც უსაზღვროდ ენდობა.

გასაგებია, რომ ბერეზოვსკი პრეზიდენტისგან ინდულგენციის მიღებას ცდილობს დოკუმენტირებული ფაქტების სანაცვლოდ.

რა ფაქტებზეა ლაპარაკი?

მივყვეთ მიმოწერის ქრონოლოგიურ მდინარებას, რომელმაც ცნობისმოყვარეობის ნაპირზე უნდა გამორიყოს პასუხი ამ შეკითხვაზე. ადრე თუ გვიან.

ირკვევა, რომ **ბორის ბერეზოვსკის წლების განმავლობაში შეგროვებული ჰქონდა ვიდეო, აუდიო, ფოტო და სხვა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების მდიდარი არქივი, რომლებიც, ერთი მხრივ, ასახავდა ინგლისის დაზვერვა MI-6-ისა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს პუტინის პერსონალურ ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას (ამის შესახებ ზემოთაც ვთქვით) და, მეორე, რუსეთის მაღალი რანგის მოხელეთა თავგამოდებას ქვეყანაში ხელისუფლების შესაცვლელად.**

ამ ამბავმა გაჟონა და დააფრთხო „რუსეთის სიკეთისთვის დამაშვრალნი“. რადგან არ გასჭირვებიათ მოსალოდნელი შედეგის განჭვრეტა არც ორსახა იანუსებს (მაღალჩინოსნებს), არც რუსეთის „ბოლოტნაიას“ ოპოზიციონერებს, რომლებიც ბერეზოვსკის მიერ იყვნენ დაფინანსებულები: ოლიგარქის განდგომა პირველებს გაშიფვრით დაემუქრა, მეორეთ — უსახსრობით.

შიგა და გარე დაპირისპირებული ძალების ინტერესები ურთიერთს დაემთხვა.

დაცვის სამსახურის უფროსმა თავის შეფს ურჩია, მოეწყოთ სპეციალური აპარატურით აღჭურვილი სათავსი, სადაც ისინი შეძლებდნენ მათთან სტუმრად ჩასული „მოღალატე-დემოკრატებისა“ და სხვა, არცთუ სანდო, პირების ფარულად ჩაწერასა და ვიდეოგადაღებას, ყოველი შემთხვევისთვის. „ასეთი ადამიანები, — აღნიშნავს სიუჟეტის ავტორი ოლგა სკობეევა, — მასთან ჩამოდიოდნენ პუტინის დამხობის, წყობილების შეცვლისა და სხვა მსგავსი „რევოლუციური“ დაუფარავი მოწოდებებით“.

ბერეზოვსკი ეთანხმება სოკოლოვს, მზადაა ამ ღონისძიების დასაფინანსებლად და სთხოვს მას, დაეხმაროს სპეციალური აპარატურის შეძენაში: „მინდა, მოვაწყო აქ, ჩემთან ისეთივე, როგორიც „მიღებათა სახლში“ გვქონდა“.

ე. ი. მიყურადებისა და ფარული თვალთვალის ორგანიზების გამოცდილება ოლიგარქს ჰქონდა. მაშასადამე, ჰქონდა ასეთი გამოცდილება ბადრი პატარკაციშვილსაც — მის მეგობარსა და საქმიან პარტნიორს.

**(ბადრი პატარკაციშვილისა და ირაკლი კოდუას შეხვედრის ფარული ჩაწერის თემაზე საუბრისას ბესო კეიდიამ განაცხადა:**

**„— ვიცოდი, რომ უნდა გამართულიყო შეხვედრა პოლიციის ამ მაღალჩინოსანთან. ახლა რომ ამბობენ, კოდუამ ფარულად ჩაიწერაო, ტყუილია. შეუძლებელია, კოდუას რაიმეს ჩაწერა მოეხერხებინა.**

**პირიქით იყო ყველაფერი.**

**ამ შეხვედრას წინ უძღოდა ბადრის შეთანხმება სკოტლანდ იარდთან. სწორედ ამ საიდუმლო სამსახურის დახმარებით უნდა ჩაეწერა მათი საუბარი. ასეც მოხდა. ეს ინგლისია, ჩემო ბატონო, ბანოჯა და ვანუატუ კი არა. ამგვარი ღონისძიების ჩატარება ქვეყნის შიგნით დივერსიად არის მიჩნეული და საქართველოს სპეცსამსახურის რაგინდ მაღალ მოხელეს ამ დივერსიის განხორციელების უფლებას არავინ მისცემდა...**

**— ფეხსაცმლის ქუსლში ჰქონდაო ჩამონტაჟებული ჩამწერი აპარატურა?**

**— ზღაპარია!.. ბადრისთან შესვლამდე კოდუა ლამის ფეხის ფრჩხილამდე შეამოწმეს და, როგორც ფიქრობთ, ქუსლში ჩამონტაჟებულ მოწყობილობას ვერ აღმოუჩენდნენ?!“** — *ბესო კეიდიას ინტერვიუდან).*

სოკოლოვი ადასტურებს, რომ ბერეზოვსკის ოფისში „ჯაშუშური აპარატურა ყველგან იყო ჩამონტაჟებული, მაგიდის ლამპაშიც კი“.

**(და ისევ — პარალელი პატარკაციშვილთან:**

**„— ერთ პერიოდში (თბილისში) ჩამოვიტანეთ მანქანაზე დამონტაჟებული მოძრავი მოსასმენი აპარატურა. მანქანას ეწერა „ტელევიზია „იმედი“...**

**ერთი თვე იმუშავა ამ აპარატურამ, შემდეგ დამიძახა და მითხრა ბადრიმ:**

**— ბესო, გამორთე ეგ აპარატურა! იმდენ სისაძაგლეს ვიგებთ, რომ შეიძლება გავგიჟდეთ. ამ ყველაფერს რომ ვუსმინოთ და დავიჯეროთ, შეიძლება მარტონი დავრჩეთო“.** — *ბესო კეიდიას ინტერვიუდან).*

დაცვის სამსახურის უფროსის მონაყოლით, ბერეზოვსკის არქივში დაცული იყო აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ცალკეული აგენტების მიმოწერაც, რომლითაც დასტურდებოდა, რომ რუსეთში გადატრიალების მოწყობის მცდელობა, „მაიდანი, „ბოინგი“, ცნობილი რუსი ოპოზიციონერის ლიკვიდაცია (მოსკოვში), სპეცოპერაციებია, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ იყო გათვლილი“.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ცხადია, ადასტურებს, რომ ბერეზოვსკის ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავდა, თანაც ისეთები, ვისთან ერთადაც ერთ დროს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა, იცნობდა მათ საიდუმლო საქმიანობას და, მაშასადამე, განწირული იყო: ყოფილ მეგობრებზე უარესი მტრები არ არსებობენ.

მსგავსი სიტუაცია ბადრისაც მეორდება: ვისაც მხარში ედგა, ისინი ექცნენ მტრებად, რომელთა დამარცხების რესურსი პატარკაციშვილს, რა თქმა უნდა, ჰქონდა. ამან კიდევ უფრო გააავა და გაამწარა ყოფილი ხელისუფლების სათავეში მდგარი მედროვენი და მათი ამერიკელი პატრონები, რადგან სააკაშვილი, როგორც ცნობილია, აშშ-ის პროექტი იყო.

პატარკაციშვილის მოცილება დღის წესრიგში დადგა.

**(— ბადრი ელოდა, რომ მის ლიკვიდაციას შეეცდებოდნენ?**

**— აბა, რა! ამაზე საუბარს ხშირად შევსწრებივარ... ელოდა, მზად იყო ყველაფრისთვის, მაგრამ პანიკაში არასოდეს ჩავარდნილა“.** — *ბესო კეიდიას ინტერვიუდან).*

ახლობლები იხსენებენ, რომ სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში ბერეზოვსკი განსაკუთრებით გამოცოცხლებული და ხალისიანი ჩანდა, ამბობდა, რომ ახლებურად აპირებდა ცხოვრების დაწყებას, ნანობდა უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მხარდაჭერას, როცა მან ამ „რევოლუციის“ გააქტიურებაში კატალიზატორის როლი შეასრულა.

**ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში „რევოლუციების“ მოწყობის ჟინმა გაუარა ბერეზოვსკის, გააცნობიერა, რომ სასტიკად ცდებოდა.**

ე.ი. გარდატეხა მოხდა და ადამიანი ახალ გზას რწმენით გამაგრებული შეუდგა, რაც, ცხადზე უცხადესია, თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას ვერა და ვერ ეთანხმება.

პატარკაციშვილი?

ბადრი იძულებული შეიქნა, საქართველოდან გადახვეწილიყო, მაგრამ არც საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მოღვაწეობის სურვილი გაქრობია და არც სიცოცხლის ხალისი დაუკარგავს.

**„ბადრის დავცილდი 2008 წლის 11 თებერვალს. მასთან სტუმრად ვიყავი ლონდონში. შემართებით ლაპარაკობდა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. შენ ხომ ხარ ჯანზეო, — მეუბნებოდა.**

**— სიკვდილის წინათგრძნობა არ ჰქონდა? არ ელოდა?**

**— არა! ვაჟკაცურ განწყობილებაზე იყო, მომავალზე ლაპარაკობდა. ასე დავცილდით. 12-ში ჩემმა შვილმა დამირეკა დილის 6 საათზე, ბადრი გარდაიცვალაო“.** — *ბესო კეიდიას ინტერვიუდან).*

დაკვნა ორივე შემთხვევისთვის ისეთივე მარტივია, როგორც სწორი ხაზი ა და ბ პუნქტებს შორის: **არც პირველს (ბერეზოვსკის) მოუკლავს თავი, არც მეორე (პატარკაციშვილი) გარდაცვლილა გულის შეტევით. ორივე, როგორც ფრიად არასასურველი პიროვნებები, მათთან დაპირისპირებულმა ძალებმა გზიდან ჩამოიცილეს.**

**არმაზ სანებლიძე**

P.S. პოლიტიკაში შესულმა ადამიანებმა, რაგინდ წარმატებულნი და შეძლებულები იყვნენ, ხშირად უნდა აიხედონ ზევით: დაკიდეს თუ არა მათ თავზე დამოკლეს ორლესული მახვილი დამლით — Made in... (დანარჩენი თქვენ მიაწერეთ) ეს რომ გათვალა, ამიტომ ხომ არ იჩქარა ბიძინა ივანიშვილმა აქტიური პოლიტიკიდან წასვლა?..

ეს უნდა იცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პორნომსახიობს პედაგოგობა სურს

**როკო სიფრედის მიერ განათლების მინისტრისთვის გაგზავნილმა პეტიციამ ხელმოწერების აუცილებელი რაოდენობის მეხუთედი მოაგროვა.** პორნოინდუსტრიის ცნობილ წარმომადგენელ როკო სიფრედის ბავშვების სექსუალური აღზრდის პედაგოგობის პრეტენზია აქვს.

— მზად ვარ, ჩემი გამოცდილება გავუზიარო ბავშვებს", — განაცხადა სიფრედიმ, პორნომსახიობმა, რეჟისორმა და პროდიუსერმა, რომელიც 1000-ზე მეტ პორნოფილმსა და ვიდეორგოლშია გადაღებული. ვებგვერდ Change.org-ზე როკო სიფრედიმ გამოაქვეყნა პეტიცია, რომლითაც იტალიის განათლების მინისტრ სტეფანია ჯანინის მიმართავს და სთხოვს, სკოლაში პედაგოგად გაამწესოს.

პეტიციას ხელს უკვე აწერს 22 ათასი ადამიანი, მის განსახილველად კი 100 000 ხელმოწერაა საჭირო.



**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები" კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს" ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## გეოგრაფიის გაკვეთილები... ლოგინში

**მასწავლებელი ქალი 16 წლის მოსწავლე გოგონასთან საკლასო ოთახში ერთობოდა.**

აშშ-ში ახალი სკანდალი აგორდა. ლუიზიანაში (ახალი ორლეანი) დააპატიმრეს ერთ-ერთი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი **კიმბერლი ნექვინი**, რომელსაც სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა მოსწავლე გოგონასთან.

პედაგოგი ერთი წლის განმავლობაში ხვდებოდა 16 წლის გოგონას, რომელმაც აღიარა, რომ მასწავლებელ ქალთან სექსუალური ურთიერთობა არაერთხელ ჰქონდა ერთ-ერთის სახლში, ზოგჯერ კი საკლასო ოთახშიც.

ამერიკელი მასწავლებლები არაერთხელ დაუდანაშაულებიათ სკოლის მოსწავლეებთან ინტიმურ კავშირში, მაგრამ ეს შემთხვევა განსაკუთრებულია, თუმცა გასაკვირი არაფერია — 2015 წლის ივნისში ხომ აშშ-ში ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონეს?!

შესაძლოა, პედაგოგ კიმბერლი ნექვინს პირობითი სასჯელი აკმარონ — ასეთი პრეცედენტი ბევრი იყო... გოგონამ კი სრულწლოვნებას უნდა მიაღწიოს, აი, მაშინ კი წყვილს ხელს ვერავინ შეუშლის, „იმეცადინონ გეოგრაფია"... თუნდაც ლოგინში.

აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის ამ სკოლის ისტორიაში. ოთხი თვის წინათ დააკავეს ორი მასწავლებელი ქალი, რომლებიც ამავე სკოლის 17 წლის მოსწავლე ვაჟთან ჯგუფურ სექსში დაადანაშაულეს:

32 წლის **შელი დიუფრესსა** და 25 წლის **რეიჩელ რესპესს** 2015 წლის სექტემბერში 17 წლის ყმაწვილთან ჰქონდათ სექსუალური ურთიერთობა.




## მიგრანტებმა საფრანგეთში ცხვრები გააუპატიურეს



**საფრანგეთი შოკშია. ქალაქ პერპინინთან ახლოს ორმა ქალმა გაუპატიურებული და შემდგომ მოკლული ცხვრების ლეში იპოვა.**

ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილი არიან არაბი ლტოლვილები, რომლებსაც ქალის ალერსი აკლიათ. ფრანგი ინტერნეტმიმომხილველები წერენ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, მაგრამ ხელისუფლება და მედიასაშუალებები ცდილობენ, კიდევ უფრო არ გაამწვავონ ისედაც დაძაბული ვითარება. ზოოფილიის ფაქტების გამომზეურება ხომ ნაქები ტოლერანტულობის საბოლოოდ დასამარებას ნიშნავს?!

ისე, გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში მასობრივი გაუპატიურების ფაქტებს თუ გავიხსენებთ, პერპინიანელი ქალბატონებისთვის ყველაფერი კარგად დასრულდა.



## რიკი მარტინი თავის სექსუალურ ორიენტაციაში ვერ გარკვეულა

**პოპმუსიკოსმა, მსახიობმა და მწერალმა რიკი მარტინმა 2010 წელს აღიარა, რომ გეია, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ მისთვის ეს საკმარისი არ არის და ამის შესახებ სოციალურ ქსელში განაცხადა.**

2014 წელს რიკი მარტინი გაშორდა თავის „სიყვარულს" — ბირჟის მაკლერ **კარლოს აბელს** და მარტოსულმა საკუთარ თავში ჩაღრმავება დაიწყო.

— წინააღმდეგი ვარ სექსუალური ორიენტაციის მიმართ დაწესებული კლიშეების. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მამაკაცებიც მიზიდავენ და ქალებიც, — განაცხადა 44 წლის მომღერალმა და დასძინა, — თუ ძლიერ სურვილს ვიგრძნობ, ქალთანაც შემიძლია დავწვე.

კარლოს აბელთან თანაცხოვრებამდე რიკი მარტინს 14 წლის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა მექსიკელ ტელეწამყვანსა და მომღერალთან **რებეკა დე ალბასთან.**

## დანიელ გოგონას მოძალადისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო ასამართლებენ

**17 წლის დანიელი გოგონა სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს იმის გამო, რომ საკადრისი პასუხი გასცა მოძალადე ნაძირალას.**



კოპენჰაგენელი ქალები სულელურ შეზღუდვას აპროტესტებენ

როდესაც თავდამსხმელმა წააქცია და ტანსაცმლის შემოხევა დაუწყო, გოგონამ მოახერხა და აეროზოლის პატარა ბალონიდან მას სახეში „პილპილიანი" აირი შეასხა. არამზადა სამარცხვინოდ გაიქცა, მოგვიანებით კი პოლიციას მიმართა.

საქმე ის არის, რომ ადგილობრივი კანონებით ასეთი აეროზოლის გამოყენება აკრძალულია, მაგრამ ბოლო ხანს გახშირებული თავდასხმების გამო, ბევრმა ქალმა მოიმარაგა თავდაცვის საშუალებები. სხვა რაღა დარჩენიათ? ახლო აღმოსავლელმა ლტოლვილებმა ხომ ყველას ნათლად დაანახვეს თავიანთი ზნეობა გერმანიასა და სხვა ქვეყნებში.

დანიელი ქალები კი, რომლებიც მოძალადეებისგან დაზარალდნენ, ცდილობენ, ინციდენტი არ გაახმაურონ, — ეშინიათ, რომ აქეთ არ დაადანაშაულონ.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მოლოტოვის ეს განცხადება, ფაქტობრივად, მოლაპარაკების ჩაშლას ნიშნავდა. ბირნსი და ბევინი შოკში ჩავარდნენ, მათ ხელს არ აძლევდათ მოლოტოვის მოთხოვნის შესრულება. ბირნსმა განაცხადა, მოლოტოვმა 11 სექტემბრის საკითხი შეიძლება კონფერენციის ჩაშლის საბაბად გამოიყენოსო და გამოთქვა სურვილი, მიემართა პრეზიდენტ ტრუმენისთვის, სტალინის მეშვეობით გაეტეხათ მოლოტოვის სიჯიუტე, რაზეც მოლოტოვმა შეცდომას შეცდომა დაუმატა და განაცხადა, ტყუილად ნუ შეეცდებით, ეს წინადადება სტალინისგან მოდისო — ეს დიპლომატისაგან დიდი შეცდომა იყო.**

# სტალინი და მოლოტოვი

## დისტანციური მართვა

**ნაწილი I**

**1936 წლის შემოდგომიდან 1945 წლის შემოდგომამდე სტალინი მოსკოვიდან არ გასულა. დასვენების უფლება თავს მხოლოდ 1945 წლის 10 ოქტომბერს მისცა. გაზეთ „პრავდაში“ გაჩნდა ცნობა, რომ 1945 წლის 10 ოქტომბერს სტალინი დასასვენებლად გაემგზავრა. სტალინის დასასვენებლად ყოფნის პერიოდში, პოტსდამის კონფერენციის შემდეგ პირველად, სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ლონდონში, სადაც განიხილებოდა სატელიტ ქვეყნებთან სამშვიდობო ხელშეკრულებების გაფორმების საკითხი.**



მოლოტოვი და სტალინი

**ამერიკელები და ინგლისელები რიხითა და გამბედაობით იყვნენ გამსჭვალულნი და სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რამე დათმობაზე წასულიყვნენ მოლოტოვისა და მისი ქვეყნის წინაშე, მით უმეტეს, მათ ზურგს უმაგრებდა ატომური ბომბი, როგორც აშშ-ის პრეზიდენტი ტრუმენი ამბობდა, «კომბალი რუსი ბიჭებისთვის»**

მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ომის შემდგომმა სიმშვიდემ დაისადგურა, აღარ ქუხდა ზარბაზნები, ქალაქებსა და სოფლებში აღარ მოსდიოდათ ბრძოლის ველზე ახლობლების გმირულად დაღუპვის ამბები, ადამიანებს თვალზე ცრემლი შეაშრათ, ბელადმაც თითქოს ხალხთან ერთად დაისვენა. დაიწყო ომის შემდგომი აღორძინების ხანა. ხალხს მშვიდად ეძინა. არ ეძინა მხოლოდ ერთ კაცს, ხალხის მამად წოდებულ ბრძენ სტალინს, რომელიც ქალაქ სოჭის ახლოს მდებარე მყუდრო აგარაკზე დისტანციურ მართვის აპარატზე იყო მიჯაჭვული. სტალინის ადგილსამყოფელი მსოფლიოში მხოლოდ ხუთმა კაცმა იცოდა: თვითონ სტალინმა, **მოლოტოვმა, ბერიამ, მალენკოვმა** და **მიქოიანმა.** უსტალინოდ დარჩენილ ქვეყანას ეს „კვარტეტი“ მართავდა.

სტალინის უეცარმა გაუჩინარებამ, რომელსაც არც კრემლი და არც ქვეყანა არ იყო შეჩვეული, არა მხოლოდ კრემლი და მოსკოვი, მსოფლიოს პრესა ფუტკრის სკასავით ააზუზუნა. ათასი ტყუილ-მართალი აირია ერთმანეთში. ზოგიერთი სტალინის გაუჩინარებას მის მძიმე ავადმყოფობას მიაწერდა და ამტკიცებდა, რომ პოტსდამის კონფერენციის მიმდინარეობისას სტალინს ორჯერ განუვითარდა გულის მძიმე შეტევა, ზოგიერთი კი მის გარდაცვალებასაც ვარაუდობდა.

სტალინმა მკაცრად გააფრთხილა ოთხეული, ხელი არ შეეშალათ პრესისათვის აზრის გამოთქმაში, თვითონ კი, არა მხოლოდ პრესის მეშვეობით, არამედ ოთხი სხვადასხვა საიმედო არხით იღებდა ინფორმაციას და აკვირდებოდა, როგორც დასავლეთის დამოკიდებულებას მისი პიროვნების მიმართ, ასევე ისმენდა იმ მოარულ ანეკდოტებსა და ჭორმართალს, რომელიც ვრცელდებოდა საბჭოეთში. სტალინი ყოველდღიურად სხვადასხვა დირექტივას უგზავნიდა კრემლში დარჩენილ სამეულს, ხოლო „ოთხეულის“ მეოთხე წევრი ლონდონში ჰყავდა დისტანციურ მართვაზე ჩართული.

11 სექტემბერს ლონდონში დაიწყო სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ვიაჩესლავ მოლოტოვი**, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ჯეიმს მაკგრეგორ ბერნსი** და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ერნსტ ბევინი.** განიხილეს პროცედურული საკითხები. ბერნსმა და ბევინმა მოითხოვეს, სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების საკითხებზე მსჯელობის პერიოდში სესიაზე დაშვებული ყოფილიყვნენ საფრანგეთისა და ჩინეთის წარმომადგენლები, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ეს ეწინააღმდეგებოდა პოტსდამის შეთანხმებას, მაგრამ მოლოტოვმა, რომელიც მოჰყვებოდა, დარწმუნებული იყო თავის უპირატესობაში, ეს საკითხი არ ჩათვალა სადისკუსიოდ და ბერნსისა და ბევინის წინადადებას დაეთანხმა.

მაგრამ **ამერიკელები და ინგლისელები რიხითა და გამბედაობით იყვნენ გამსჭვალულნი და სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რამე დათმობაზე წასულიყვნენ მოლოტოვისა და მისი ქვეყნის წინაშე, მით უმეტეს, მათ ზურგს უმაგრებდა ატომური ბომბი, როგორც აშშ-ის პრეზიდენტი ტრუმენი ამბობდა, „კომბალი რუსი ბიჭებისთვის“.**

როდესაც მოლოტოვმა სტალინს პროცედურულ საკითხებზე ანგარიში ჩააბარა და მოლაპარაკებებზე საფრანგეთისა და ჩინეთის დაშვების თანხმობის შესახებ მოახსენა, სტალინმა მრისხანება ვერ დაფარა:

— პირველივე სხდომაზე დაუშვი შეცდომა, რომლის გამოსწორებაც ძვირად დაგიჯდება.

მოლაპარაკებები ძალზე რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ უფრო გამძაფრდა, როდესაც საკითხი შეეხო რუმინეთისა და ბულგარეთის პროსაბჭოური რეჟიმების აღიარებას. მოლოტოვმა სტალინს მოახსენა ამერიკელებისა და ინგლისელების უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხზე. სტალინმა დეპეშით უბრძანა მოლოტოვს, მტკიცედ ემოქმედა და არ დაჰყოლოდა მოკავშირეთა მოთხოვნებს. სტალინს, როგორც ჩანს, გარკვეული ჰქონდა თავისი საქმე, როგორც რუმინეთთან, ისე ბულგარეთთან და დეპეშით შეატყობინა მოლოტოვს:

„რუმინელები თავს კარგად გრძნობენ, — მტკიცედ დადგებიან და, ყველა მონაცემის მიხედვით, მოკავშირეთა მაქინაციები ჩაშლილი იქნება. აუცილებელია, შენც მტკიცე პოზიცია დაიჭირო და რუმინეთთან დაკავშირებით მოკავშირეებს არაფერი დაუთმო... ამას გარდა, საჭირო იყო პირდაპირ გეთქვა, რომ ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლები რუმინეთში მხარს უჭერდნენ ანტისაბჭოთა ელემენტებს — რადესკუსა და მისი მეგობრების სახით, რაც შეუთავსებელია ჩვენს მოკავშირულ ურთიერთობებთან... თუკი მოკავშირეები შეურიგებლობას გამოიჩენენ რუმინეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების მიმართ, იქნებ საჭირო გახდეს, ვაგრძნობინოთ ბერნსსა და ბევინს, რომ სსრკ-ის მთავრობას გაუჭირდება, თანხმობა მისცეს იტალიასთან მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებას. ამასთანავე, შეიძლება ისეთი არგუმენტების გამოყენება, როგორიც არის მათი უმადური განწყობა იტალიის კოლონიების შესახებ ჩვენ მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე, აგრეთვე, სსრკ-ის სასარგებლოდ იტალიის მიერ გადასახდელ რეპარაციათა რაოდენობის საკითხის გადაუწყვეტლობა; ის, რომ მოკავშირეებმა, შესაძლოა, ჩვენ გარეშე დადონ სამშვიდობო ხელშეკრულება იტალიასთან. მერედა რა? მაშინ ჩვენ გვექნება პრეცედენტი და საშუალება მოგვეცემა, მოკავშირეთა გარეშე დავდოთ სამშვიდობო ხელშეკრულება ჩვენს სატელიტებთან. თუკი საქმის ამგვარი შემობრუნება იქამდე მიგვიყვანს, რომ სესია მთავარი საკითხების გარშემო ერთობლივი გადაწყვეტილებების გარეშე დასრულდება, არც ამას უნდა შევუშინდეთ (როგორც ჩანს, სტალინს უკომპრომისო განწყობა ჰქონდა მეტად მნიშვნელოვან საკითხში — აღმოსავლეთ ევროპაში სსრკ-ის გავლენის სფეროების განმტკიცების საქმეში)“.

მოლოტოვი, რა თქმა უნდა, დაეთანხმა სტალინის მითითებას და დეპეშითვე უპასუხა:

„პირველი შესაძლებლობისთანავე სრულად გამოვიყენებ მითითებულ არგუმენტებს რუმინეთში ჩვენი პოლიტიკის სასარგებლოდ“.

სტალინმა დაავალა მოლოტოვს, პრინციპულად მოეთხოვა ამერიკელებისთვის პირობის შესრულება ტრიპოლიტანიის საკითხზე.

„ზეწოლა უნდა მოვახდინოთ საქმის იმ მხარეზე, რომ ამერიკელები სან ფრანცისკოში დაგვპირდნენ, მხარი დაეჭირათ ჩვენი მოთხოვნისთვის მეურვეობის ქვეშ ამ ტერიტორიების მიღების თაობაზე. მხედველობაში მაქვს სტეტინიუსის (აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი — გრ. ონიანი) წერილი. ეს არგუმენტი ხაზგასმით და თვალსაჩინოდ უნდა წამოვაყენოთ“.

როგორც ჩანს, მოლოტოვმა ტრიპოლიტანიის (ისტორიული ოლქი ლიბიაში — გრ. ონიანი) საკითხის მოგვარება ვერ შეძლო, რადგან ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობის მცდელობას დაემატა საფრანგეთისა და ჩინეთის წინააღმდეგობაც, რომელიც კიდევ უფრო ართულებდა საკითხის დადებითად გადაჭრას, მაგრამ, როდესაც კვირის ანგარიშს აბარებდა, მოლოტოვმა სტალინს შიფროგრამაში ჩაუწერა:

„სიტუაცია დასაწყისისთვის ნორმალურია“.

სტალინს აშკარად არ აკმაყოფილებდა მოლოტოვის პრინციპულობა, რომლის შესახებაც ინფორმაციას სხვადასხვა არხიდან იღებდა, ამიტომ არა საკონსულტაციო, არამედ შესასრულებელი ბრძანების ტექსტი გაუგზავნა მოლოტოვს:

„დაიცავით პოტსდამის გადაწყვეტილებები ამ საქმეში ჩართული სახელმწიფოების მონაწილეობის შესახებ... ვიდრე საბჭოთა კავშირის პირისპირ ანგლო-საქსური სახელმწიფოები — აშშ და ინგლისი იდგნენ, არც ერთ მათგანს არ დაუსვამს საკითხი უმრავლესობისა და უმცირესობის შესახებ. ახლა კი, ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებების დარღვევითა და თქვენი წყალობით, ანგლოსაქსებმა მოახერხეს ჩინელებისა და ფრანგების ჩართვა, ბირნსმა კი გამონახა საშუალება, წამოჭრას უმრავლესობისა და უმცირესობის საკითხი“.

მოლოტოვი მიხვდა, რა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა სესიის გახსნის პირველ დღესვე, როცა მოსალაპარაკებლად დაჯდა ხუთი მინისტრი, რომელთაგან ოთხი ერთმანეთთან შეთანხმებული იყო. მოლოტოვმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სტალინს:

„ვაღიარებ, რომ სერიოზული დაუდევრობა მომივიდა. დაუყოვნებლივ მივიღებ ზომებს. დაბეჯითებით მოვითხოვ, შეწყდეს ხუთი მინისტრის გაერთიანებული სხდომები... ცხადია, ასე აჯობებს. ეს საქმეში მკვეთრი შემობრუნება იქნება“.

მოლოტოვმა დაპირება შეასრულა. მეორე დღეს, 22 სექტემბერს, სესიის გახსნისთანავე სიტყვა ითხოვა და განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს 11 სექტემბერს დაშვებული შეცდომა და სესიის წევრთა რაოდენობა სამამდე უნდა შემცირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სესიის შემდგომ მუშაობაში მონაწილეობას არ მივიღებო.

**მოლოტოვის ეს განცხადება, ფაქტობრივად, მოლაპარაკების ჩაშლას ნიშნავდა. ბერნსი და ბევინი შოკში ჩავარდნენ, მათ ხელს არ აძლევდათ მოლოტოვის მოთხოვნის შესრულება. ბერნსმა განაცხადა, მოლოტოვმა 11 სექტემბრის საკითხი შეიძლება კონფერენციის ჩაშლის საბაბად გამოიყენოსო და გამოთქვა სურვილი, მიემართა პრეზიდენტ ტრუმენისთვის, სტალინის მეშვეობით გაეტეხათ მოლოტოვის სიჯიუტე, რაზეც მოლოტოვმა შეცდომას შეცდომა დაუმატა და განაცხადა, ტყუილად ნუ შეეცდებით, ეს წინადადება სტალინისგან მოდისო — ეს დიპლომატისაგან დიდი შეცდომა იყო.**

**ჰარი ტრუმენმა** და **კლიმენტ ეტლიმ** სასწრაფოდ გაუგზავნეს წერილები სტალინს თხოვნით, ებრძანებინა მოლოტოვისათვის, არ ჩაეშალა მინისტრთა სესია ლონდონში.

სტალინისადმი გაგზავნილ დეპეშაში კი მოლოტოვი წერს, — ტრუმენის მიმართვას შიშის სუნი ასდისო.

სტალინის განკარგულებით, სესიის მუშაობა აღდგა იმავე შემადგენლობით, მაგრამ სამშვიდობო ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ შესანიშნავმა განცხადებამ, — ამბობს ჩერჩილი, — ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, მან წარმოაჩინა, რომ რუსი დიქტატორი სწრაფად და მთლიანად დაეუფლა პრობლემას, რომელსაც ეს-ესაა გაეცნო. ცოცხალ ადამიანთაგან ძალიან ცოტა ვინმეს თუ შეეძლო, რამდენიმე წუთში გაეგო მოსაზრებები, რომლებზეც ჩვენ ასე დაჟინებით ვიმტვრევდით თავს თვეების განმავლობაში, მან ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით შეაფასა“.**

◀ ხელშეკრულების განხილვა შეწყდა.

20 სექტემბერს ბერნსმა მოლოტოვთან საუბარში მოულოდნელად წამოაყენა წინადადება, გერმანიის 20-25-წლიანი დემილიტარიზაციის შესახებ. ეს წინადადება მიმართული იყო საბჭოთა კავშირის თითქოს მხარდასაჭერად „გერმანული მუქარის“ აღორძინების შიშის თაობაზე, რომელიც მოლოტოვმა ხალისით აიტაცა და „სწრაფგამტარმა“ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა სასწრაფოდ სტალინს აცნობა:

„ვფიქრობ, მხარი უნდა დავუჭიროთ ბერნსის წინადადებას 4 სახელმწიფოს ხელშეკრულების შესახებ, გერმანიის მხრიდან ახალი აგრესიის თავიდან აცილების მიზნით, თუმცა გარეგნულად დიდი დაინტერესება არ უნდა გამოვამჟღავნოთ. რა თქმა უნდა, ეს მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები დათმობაზე წამოვლენ ბალკანეთის ქვეყნების საკითხში“

სტალინმა, როგორც კი დეპეშა მიიღო, თქვა:

„და ისევ შეცდომა!“, შემდეგ მოლოტოვს ტელეგრამა გაუგზავნა:

„დღედღეზე ელოდე პასუხს!“

მეორე დღეს სტალინმა ვრცელი წერილით თვალი აუხილა თავის მოადგილე მოლოტოვს და ნათლად დაანახვა „ტროას ცხენის“ შიგთავსი, რომელზეც აშკარად მიანიშნებს წერილის შინაარსი:

**„ბერნსის წინადადება ოთხ მიზანს ისახავს: პირველი — გადაიტანოს ჩვენი ყურადღება შორეული აღმოსავლეთიდან, სადაც ამერიკა ისე იქცევა, თითქოს ხვალ იაპონიის მეგობარი იქნება და ამით შექმნას შთაბეჭდილება, რომ შორეულ აღმოსავლეთში ყველაფერი რიგზეა; მეორე — მიიღოს სსრკ-ისგან ფორმალური თანხმობა იმაზე, რომ ევროპის საქმეში აშშ-მა ისეთივე როლი შეასრულოს, როგორიც სსრკ-მა, რათა შემდგომ, ინგლისთან გაერთიანებულმა, ხელში აიღოს ევროპის ბედი; მესამე — გააუფასუროს სსრკ-ის მიერ ევროპის სახელმწიფოებთან კავშირის შესახებ დადებული პაქტები; მეოთხე — უშინაარსო გახადოს სსრკ-ის ყველა მომავალი პაქტი რუმინეთთან, ფინეთთან და ასე შემდეგ კავშირების თაობაზე“.**

აქვე მინდა, მკითხველს შევახსენო ინგლისის პრემიერ-მინისტრის — **უინსტონ ჩერჩილის** გაოცება, როდესაც მან სტალინს ოპერაცია „ტორჩის“ შესახებ მოახსენა.

„მე ზუსტად განვმარტავდი — ვხსნიდი ოპერაცია „ტორჩს“, როცა ლაპარაკს მოვრჩი, სტალინმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნა... მან, ეტყობა, მაშინვე შეაფასა, „ტორჩის“ სტრატეგიული უპირატესობები და ჩამოთვალა 4 ძირითადი მათგანი „ტორჩის“ სასარგებლოდ:

— **ჯერ ერთი, ეს გენერალ რომელს — გერმანიის ჯარების სარდალს ჩრდილოეთ აფრიკაში — ზურგიდან მიაყენებს დარტყმას; მეორე — ეს დააფრთხობს ესპანეთს; მესამე — გამოიწვევს ბრძოლას გერმანელებსა და ფრანგებს შორის საფრანგეთში; მეოთხე — იტალიას უშუალო დარტყმის ქვეშ დააყენებს“.**

„**ამ შესანიშნავმა განცხადებამ,** — ამბობს ჩერჩილი, — **ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მან წარმოაჩინა, რომ რუსი დიქტატორი სწრაფად და მთლიანად დაეუფლა პრობლემას, რომელსაც ეს-ესაა გაეცნო. ცოცხალ ადამიანთაგან ძალიან ცოტა ვინმეს თუ შეეძლო, რამდენიმე წუთში გაეგო მოსაზრებები, რომლებზეც ჩვენ ასე დაჟინებით ვიმტვრევდით თავს თვეების განმავლობაში, მან ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით შეაფასა“.**

როგორ უნდა შეაფასოს ადამიანმა მეორე ადამიანის ღირსება და შესაძლებლობები, როდესაც ის მეორე შენზე მაღლა, ძალიან მაღლა დგას და შენთვის მისი ხედვა და შესაძლებლობა მიუწვდომელია. სტალინმა ამ ორ შემთხვევაში ფეხი დაადგა მსოფლიო გეოპოლიტიკურ უმაღლეს მწვერვალებს. თუ პირველ შემთხვევაში სტალინმა ამას დისტანციური მართვის მეთოდით მიაღწია, მეორე შემთხვევაში მსოფლიო პოლიტიკის გიგანტ ჩერჩილთან პირისპირ საუბარში გამოავლინა.

სტალინი შეჩვეული იყო ყველაზე უარესი ვერსიების ვარაუდს, მას მართლაც იშვიათი უნარი ჰქონდა, წარმოედგინა ბირნსის ინიციატივის ყველაზე ნეგატიური შესაძლო მოტივები. მაგრამ, ამასთანავე, საკუთარ მიზნებსაც ითვალისწინებდა. სტალინი განეწყო იმისათვის, რომ აშშ მალე უნდა წასულიყო ევროპიდან და აშკარად არ აპირებდა, თანაბრად გაეყო მასთან ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან ევროპის ჰეგემონის როლი. ევროპის გულში საბჭოთა გეოპოლიტიკური უპირატესობის შენარჩუნების ამგვარი გეგმის არსებობა იმითაც დასტურდება, რომ სტალინს აშკარად არ სურდა გერმანიის დემილიტარიზაციის (ანუ გერმანული სამხედრო მუქარის ლიკვიდაცია) სანაცვლოდ ამ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, მაგრამ ამის აშკარად აღიარება არ შეეძლო, ამიტომ სტალინი მოლოტოვისადმი გაგზავნილ წერილში განაგრძობს:

„ჩვენთვის ცხადია, ძნელია ამერიკასთან დადებულ ანტიგერმანულ პაქტზე უარის თქმა, მაგრამ უნდა გამოვიყენოთ ამერიკის შიში ევროპაში სსრკ-ის გავლენის გაზრდის მიმართ და ვიბრძოლოთ იმის მისაღწევად, რომ სსრკ-ისა და აშშ-ის ანტიგერმანული პაქტი განპირობებული იყოს სსრკ-ისა და აშშ-ის ანტიიაპონური პაქტით. აქედან გამომდინარეობს ჩვენი წინადადება: უპირველეს ყოვლისა, აშშ-თან უნდა დაიდოს ანტიიაპონური პაქტი, ამის შემდეგ კი, ან, თუნდაც, ერთდროულად შეიძლება ანტიგერმანული პაქტის დადებაც. ამასთანავე, პარტნიორს უნდა გავაგებინოთ, რომ ანტიიაპონური პაქტის დადების გარეშე შესაძლებლად არ მიგვაჩნია წავიდეთ აშშ-თან ანტიგერმანული პაქტის დადებაზე. ამერიკის წინადადება საკონსულტაციო კომიტეტის ორგანიზების შესახებ მიზნად ისახავს, გაურკვეველი დროით გადაიდოს საკონტროლო საბჭოს შექმნის საკითხი და ამგვარად, საშუალება მისცეს მაკარტურს, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს იაპონიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი — როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბოლო უნდა მოეღოს მაკარტურის შეუზღუდავ უფლებებს და ოთხი სახელმწიფოს ერთპიროვნული უმაღლესი მთავარსარდლის ინსტიტუტს, რომელიც, როგორც ცნობილია, იმას აკეთებს, რაც მოეპრიანება, და არც კი გვატყობინებს მის მიერ გაცემულ განკარგულებებს“.

დასასრულ, **სტალინი კარნახობს მოლოტოვს ამ მოთხოვნის განსამტკიცებლად საჭირო არგუმენტებს, რომელთა შორის მთავარია ის, რომ მაკარტურის ერთპიროვნული უფლებამოსილება, რომელიც გამართლებული იყო ომის პირობებში, არ შეესაბამება მშვიდობიანი პერიოდის ამოცანებს.**

მოლოტოვი ზუსტად ასრულებს ამ მითითებებს, მაგრამ უშედეგოდ. ანტიიაპონური პაქტის შესახებ ბერნსი მხოლოდ დაჰპირდა, რომ იფიქრებდა მასზე. რაც შეეხება საკონტროლო საბჭოს, ამ საკითხში ამერიკელებმა მტკიცე პოზიცია დაიკავეს და ინგლისელების დახმარებით მოლოტოვს მისი დღის წესრიგში შეტანის საშუალებაც კი არ მისცეს. ამის შესახებ მოლოტოვმა სტალინს აცნობა და შესთავაზა, პირდაპირ ტრუმენისთვის მიემართათ. სტალინმა უარყო ეს წინადადება და მრისხანე ტირადაში გადმოანთხია თავისი აღშფოთება მოკავშირეთა საქციელის გამო:

„ამერიკელებისა და ინგლისელების მხრიდან, რომლებიც ჩვენს მოკავშირეებად თვლიან თავს, უდიდეს თავხედობად მიმაჩნია ის, რომ არც კი მოინდომეს, წესიერად მოესმინათ ჩვენთვის იაპონიაში საკონტროლო საბჭოს საკითხზე. ერთი მოკავშირე — საბჭოთა კავშირი — აცხადებს, რომ უკმაყოფილოა იაპონიაში თავისი მდგომარეობით, ის ხალხი კი, რომელიც თავის თავს ჩვენს მოკავშირეს უწოდებს, უარს გვეუბნება ამ განცხადების განხილვაზე. ეს იმას მოწმობს, რომ მოკავშირეს ელემენტარულ პატივს არ სცემენ. იქნებ, საჭიროა, სიტყვა გადავუკრათ ბერნსსა და ბევინს, რომ ასეთ სიტუაციაში იაპონიიდან უკან გამოვიძახებთ ჩვენს ხალხს, რადგან არ შეგვიძლია, პასუხი ვაგოთ აშშ-ისა და ინგლისის პოლიტიკაზე იაპონიის მიმართ. ჩვენ გვაქვს ცნობები, — მრავლმნიშვნელოვნად დასძენს სტალინი, — რომ ამერიკელებმა თათი დაადეს იაპონიის ოქროს მარაგს, რომელიც ერთორ მილიარდ დოლარს შეადგენს და მოკავშირედ ინგლისი გაიხადეს. ამაზე აუცილებლად უნდა გადავუკრათ სიტყვა, რათა გავაგებინოთ. სწორედ ამაში იმალება წინააღმდეგობის მიზეზი საკონტროლო საბჭოს შექმნის მიმართ და, აგრეთვე, იმის მიზეზი, რომ არ სურთ იაპონიის საქმეებთან ჩვენი დაშვება, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინათ ინგლისელები თვითონ გვთავაზობდნენ იაპონიაში საკონტროლო საბჭოს შექმნას.

მეორე დღესვე **მოლოტოვმა კატეგორიული ტონით განუმარტა ბერნსსა და ბევინს, რატომ იკავებდნენ ისინი თავს საკონტროლო კომისიის შექმნაზე და მიანიშნა, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან არა სამშვიდობო ხელშეკრულებით, არამედ იაპონური ოქროთი, რომელიც ორი მილიარდი დოლარის ღირებულებისაა, რომელსაც მათ თათი დაადეს და სწორედ ამიტომ არ სურთ, საკონტროლო კომისიაში თავიანთი მოკავშირის, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ჩართვა.**

მოლოტოვმა ბერნსს „მაზოლზე“ ფეხი დაადგა. აწრიალებულმა სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ არაფერი იცის იაპონური ოქროს შესახებ და, თუ იაპონური ოქრო ნაპოვნია, ხომ არ ჰგონია მოლოტოვს, რომ ისინი მას ტომარაში ჩაყრიან და ამერიკაში გაგზავნიან?

მოლოტოვმა ბერნსს უხეშად უპასუხა, — „ტომარაზე“ არაფერი მითქვამსო.

სტალინის დირექტივამ გაჭრა, მოლოტოვის პრინციპულმა მოთხოვნამ საკონტროლო კომისიის შექმნაზე, კიდევ უფრო რეალური გახადა სტალინის მიერ ჩაწოდებული ბურთის აშკარა საგოლე მომენტად ქცევა, ამიტომ ბურთის კარამდე მიშვება არ უნდოდათ ამერიკელებსა და ინგლისელებს. სესია აშკარად ჩიხში შევიდა.

ბერნსმა და ბევინმა მოლოტოვს შესთავაზეს, დაბრუნებოდნენ სამშვიდობო ხელშეკრულების საკითხს რუსების მოთხოვნის სასარგებლოდ, ოღონდ შეცვლილი ფორმატით, სადაც ხმათა უმრავლესობა მაინც დასავლეთს დარჩებოდა. მოლოტოვი სტალინს დაუკავშირდა და განუცხადა, — იქნებ წავიდეთ დათმობაზე, რომელსაც მეორე მხრიდანაც დათმობა მოჰყვებაო, მაგრამ სტალინმა მხარი არ დაუჭირა.

სტალინმა მოლოტოვს დეპეშით აცნობა:

„როგორც ჩანს, ამერიკელები ლონდონის საბჭოდან ხელცარიელ წასვლას არ მოინდომებენ, შეეცდებიან, საბჭოს გადაწყვეტილება მიაღებინონ. მოკავშირეები ცდილობენ, შენი ნებისყოფა გატეხონ და დათმობა გაიძულონ. ცხადია, რომ აბსოლუტური ქედუხრელობა უნდა გამოიჩინო. მეორე მხრივ, შესაძლოა, ამერიკელები შეეცადონ, ზოგიერთ დათმობაზე წასვლას, რათა შენი მხრიდან საპასუხო სერიოზული დათმობები გამოიწვიონ პრინციპით: დათმობა დათმობის საპასუხოდ. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც სრული შეუვალობა უნდა გამოამჟღავნო. ისიც შესაძლებელია, რომ საბჭოს სხდომა უშედეგოდ დამთავრდეს, ერთი სიტყვით — ჩაიშალოს. ჩვენ ამ შემთხვევაშიც არაფერი გვაქვს სადარდებელი. კონფერენციის ჩაშლა ბერნსის ჩავარდნა იქნება, რის გამოც ჩვენ თავი არ უნდა ავიტკიოთ“.

მოლოტოვმა მყისვე უპასუხა სტალინს:

„გეთანხმებით, რომ უმჯობესია, მინისტრთა საბჭოს პირველი სესია ჩავარდნით დასრულდეს, ვიდრე რაიმე არსებითი დავუთმოთ ბერნსს“.

**გაგრძელება იქნება**



ერნსტ ბევინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი და ჯეიმს ბერნსი

**სტალინის დირექტივამ გაჭრა, მოლოტოვის პრინციპულმა მოთხოვნამ საკონტროლო კომისიის შექმნაზე, კიდევ უფრო რეალური გახადა სტალინის მიერ ჩაწოდებული ბურთის აშკარა საგოლე მომენტად ქცევა, ამიტომ ბურთის კარამდე მიშვება არ უნდოდათ ამერიკელებსა და ინგლისელებს. სესია აშკარად ჩიხში შევიდა**

**«საჭიროა, სიტყვა გადავუკრათ ბერნსსა და ბევინს, რომ ასეთ სიტუაციაში იაპონიიდან უკან გამოვიძახებთ ჩვენს ხალხს, რადგან არ შეგვიძლია, პასუხი ვაგოთ აშშ-ისა და ინგლისის პოლიტიკაზე იაპონიის მიმართ»**

*** წერილში გამოყენებულია პროფესორ ვლადიმერ პეჩატნოვის მიერ სტალინის არქივში აღმოჩენილი მასალები (Ф. 45. ON.1)**

მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც ამერიკისათვის არასასურველია, ბრალდებულია ადამიანის უფლებათა დარღვევასა (რელიგიური, ნაციონალური, გენდერული და ასე შემდეგ უფლებების შელახვაში სრულად ან ნაწილობრივ) და კორუფციაში. გასაგებია, რომ ანალოგიურ ბრალდებებს არასდროს უყენებენ მოკავშირეებს; მაგალითად, არც ისრაელი, არც საუდის არაბეთი, რომელთა შიგა წესრიგი საარაკოდ არ შეესაბამება დასავლურ ნორმებს ადამიანის უფლებათა მიმართ, ვაშინგტონის მხრიდან არასდროს გამხდარან საყვედურების ადრესატები.**

# ამერიკის ელიტა კორუფციის გამო ხალხის ნდობას კარგავს

**ფულის ძალაუფლება და ხელისუფლების კორუფცირებულობა აშშ-ის პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეთათვის მოცემულობის მსგავსად აღიქმება. ამ სახელმწიფოს მთელი პოლიტიკური სისტემა დაფუძნებულია პრინციპზე „ფული — ხელისუფლება — ფული“. ამერიკული ჰეგემონია ბაზირებულია უხეშ და რბილ ძალაზე: ერთი მხრივ — არმია, დიპლომატია და დოლარის სისტემა, მეორე მხრივ კი — საკადრო სამუშაო, პროპაგანდა და მითოლოგია.**




გამოაცხადა რა საკუთარი თავი ყველაზე სრულყოფილ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სისტემად, ყველაზე სამართლიან და განსაკუთრებულ სახელმწიფოდ, რომელიც განკუთვნილია მსოფლიო ლიდერობისათვის, აშშ თანდათან ნერგავს საკუთარ სტანდარტებს ეტალონის სახით, როგორც გლობალური ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემისთვის, ასევე ცალკეული სახელმწიფოებისთვისაც.

ამასთანავე, მსოფლიო ვალდებულია, დაეთანხმოს იმ აზრს, რომ, თუკი აშშ მსოფლიო მასშტაბით ავრცელებს ღირებულებათა გარკვეულ ნაკრებს, თვითონ, ამ მხრივ, ყველაფერი წესრიგში აქვს.

თავისუფალი ბაზრის, არჩევითი დემოკრატიის, ხელისუფლების განაწილებისა და კანონის მიმართ ყველა მოქალაქის თანასწორობის იდეალების კვალდაკვალ ბოლო ათწლეულში აშშ აქტიურად უწევს პროპაგანდას ორ თემას — უმცირესობათა უფლებებისა და კორუფციასთან ბრძოლას. უმცირესობათა უფლებებისათვის ბრძოლა იქცა ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლის გაგრძელებად და მის შემადგენელ ნაწილად. ეს უკანასკნელი კი გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის საგარეო-პოლიტიკურ არსენალში ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი იყო.

**ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც ამერიკისათვის არასასურველია, ბრალდებულია ადამიანის უფლებათა დარღვევასა (რელიგიური, ნაციონალური, გენდერული და ასე შემდეგ უფლებების შელახვაში სრულად ან ნაწილობრივ) და კორუფციაში. გასაგებია, რომ ანალოგიურ ბრალდებებს არასდროს უყენებენ მოკავშირეებს; მაგალითად, არც ისრაელი, არც საუდის არაბეთი, რომელთა შიგა წესრიგი საარაკოდ არ შეესაბამება დასავლურ ნორმებს ადამიანის უფლებათა მიმართ, ვაშინგტონის მხრიდან არასდროს გამხდარან საყვედურების ადრესატები.**

ანალოგიური მდგომარეობაა კორუფციის მიმართაც — მას აღმოაჩენენ ხოლმე ზუსტად იქ, სადაც საჭიროა, და ზუსტად მაშინ, როცა საჭიროა. **როგორც კი რომელიმე აზიური, აფრიკული ან ლათინურამერიკული ქვეყნის ხელისუფლება თვალში აღარ მოუვა აშშ-ს, მას უმალ აღმოაჩნდება ხოლმე „კორუფციული“ ანგარიშები საზღვარგარეთის ბანკებში, ან, უბრალოდ, გაჩნდება საერთაშორისო (ანუ დასავლელი) ექსპერტების „დამოუკიდებელი შეფასებები“, რომ დიქტატორმა ქვეყნიდან ათეულობით მილიარდი დოლარი გაიტანა. იმაზე, რომ იგი ამას იმავე ამერიკული ბანკების, სპეცსამსახურების ან, უბრალოდ, მრჩევლების დახმარებით აკეთებდა, ცხადია, საუბარი არ იქნება.**

მაგრამ ეს გეოპოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტია, ბრძოლისა, რომელშიც აშშ მხოლოდ მისდევს ძველ ანგლოსაქსურ ტრადიციას მოწინააღმდეგეთა დისკრედიტების საქმეში. მაგრამ კორუფციაში შტატებსაც ადანაშაულებენ, უბრალოდ, ეს ხმები არ ისმის გლობალურ მედიაში და ამიტომ თემაც თითქოს არც არსებობს. ეს მაშინ, როდესაც აშშ არა მხოლოდ აქტიურად იყენებს მოსყიდვისა და კორუფციის მეთოდებს თავის საგარეო პოლიტიკაში, არამედ თავადვე წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის კორუფცირებული მოდელის მაგალითს.

რა არის კორუფცია? ეს არის უკანონო გამდიდრება იმ შესაძლებლობების გამოყენებით, რომლებიც იძლევა ძალაუფლების უფლებამოსილებას, უპირატესობებს ანიჭებს ამა თუ იმ კომპანიას. თუკი უპირატესობების მინიჭების სამუშაო კანონიერი და ლეგალური გახდება, ეს უკვე ლობიზმი იქნება და იქცევა მთელი პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტად. თუმცა შტატებში ამის თაობაზე დაუფარავად საუბრობენ, მისი არსებობის ორსაუკუნოვან პერიოდში ეს სისტემა მხოლოდ იხვეწება.

კანონის დარღვევის ცალკეული ფაქტები როდია მთავარი, ანუ პირდაპირ ქრთამის აღება (თუმცა, ამგვარი შემთხვევებიც საკმაოდაა), არამედ ის, რომ კანონმდებლობაა აგებული ისე, რომ ხელისუფლებაზე ფულის გავლენა და ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი ჯილდოს სანაცვლოდ ბიზნესის მომსახურება თავისთავად იგულისხმება.

**ლობისტებითაა გაჯერებული ამერიკული ხელისუფლება — ისინი პროფესიონალი შუამავლები არიან ბიზნესსა და პოლიტიკოსებს შორის. საკუთარი ინტერესების ლობირებას ახორციელებენ როგორც გლობალური ან საერთოამერიკული კორპორაციები, ასევე, რეგიონული მაგნატებიც.** დიდძალი ფულის გარეშე პოლიტიკური კარიერის გაკეთება შეუძლებელია და, თუნდაც ვიღაც მოხვდეს, მაგალითად, კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში, საჭიროა ყოველ ორ წელიწადში ხელახლა არჩევა. კონგრესი კი ამტკიცებს ბიუჯეტს და ლობისტები, ხმის „სწორად“ მიცემის სანაცვლოდ, უზრუნველყოფენ ფინანსურ შეწირულობებს საარჩევნო ფონდში, ან კონგრესმენის ოლქისათვის მომგებიანი ინფრასტრუქტურული პროექტის განვითარებას, ან მის ოლქში პოპულარული პასტორის მხარდაჭერას. სისტემა აგებულია ურთულესი, ვირტუოზული სახით.



**საქმე გაცილებით იოლადაა მაღალჩინოსნების შემთხვევაში. შტატებში გამეფებული „მბრუნავი კარის“ პრინციპის გათვალისწინებით, როდესაც ადამიანი სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობას კერძო ბიზნესთან ანაცვლებს, „სწორი“ მუშაობისათვის ჯილდო კორპორაციაში კარგი ადგილის მიღების ან ხელისუფლებაში „თავისი“ ხალხის დაწინაურების სახით ამერიკული „ნომენკლატურისათვის“, უბრალოდ, სამუშაო ნორმაა.**

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს დაკანონებული კორუფცია არ აღელვებთ ჩვეულებრივ ამერიკელებს — ადამიანები აღშფოთებულნი არიან, არ მიდიან არჩევნებზე, წერენ მამხილებელ წიგნებს, მაგრამ რას გახდებიან კარგად აწყობილი სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც ყველაფერი დაკანონებული აქვს? ასამართლებენ და ციხეშიც სვამენ მხოლოდ მათ, ვინც შტერი აღმოჩნდა ან დაუფარავად იღებს ფულს. მაგრამ ამგვარი ადამიანები ცოტანი არიან, ამიტომაც კორუფციული საქმეები, ძირითადად, გამოიყენება ანგარიშსწორებისთვის; **მაგალითად, აშშ-ში კორუფციის გამო დაზარალდა მაღალი რანგის თანამდებობის პირი, ვიცეპრეზიდენტი სპირო აგნიუ — 1973 წელს იგი აიძულეს, გადამდგარიყო.**

ამასთანავე, ამერიკული პოლიტიკური სისტემის კორუფცირებულობამ მაქსიმალურ დონეს მიაღწია როგორც პოლიტიკური მოქმედების სუპერკომიტეტების ლეგალიზაციით, ასევე „თავისი“ კომპანიების ინტერესების პირდაპირი გავრცელებით პირველი რიგის პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან.

სუპერკომიტეტები ლეგალიზებულ იქნა 2009 წელს და მათ კორპორაციებს საშუალება მისცა, უდიდესი ფული მიემართათ არა კანდიდატების ფონდებისკენ, სადაც რაღაც შეზღუდვები მაინც არსებობს, არამედ ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ ორგანიზაციებში, რომლებსაც წინასაარჩევნო აგიტაციის წარმართვის უფლება აქვთ და თითქოს კავშირი არ ჰქონდეთ კანდიდატების წინასაარჩევნო შტაბებთან.

სუპერკომიტეტების გავლენა როგორც კონგრესის, ასევე პრეზიდენტის არჩევნებზე უდიდესია, მაგრამ მათი ლეგალიზების ფაქტი სწორედაც რომ ასახავს მთელი პოლიტიკური სისტემის კრიზისს. მათი მოღვაწეობა უბრალო ამერიკელთა უკმაყოფილებას იწვევს და პოლიტიკური კლასი მზადაა, ღიად დაუპირისპირდეს მათ.

**როგორც კი რომელიმე აზიური, აფრიკული ან ლათინურამერიკული ქვეყნის ხელისუფლება თვალში აღარ მოუვა აშშ-ს, მას უმალ აღმოაჩნდება ხოლმე «კორუფციული» ანგარიშები საზღვარგარეთის ბანკებში, ან, უბრალოდ, გაჩნდება საერთაშორისო (ანუ დასავლელი) ექსპერტების «დამოუკიდებელი შეფასებები», რომ დიქტატორმა ქვეყნიდან ათეულობით მილიარდი დოლარი გაიტანა. იმაზე, რომ იგი ამას იმავე ამერიკული ბანკების, სპეცსამსახურების ან, უბრალოდ, მრჩევლების დახმარებით აკეთებდა, ცხადია, საუბარი არ იქნება**

შესაძლოა, სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო ორი ვიცეპრეზიდენტი — **ჩეინი** და **ბაიდენი** პრაქტიკულად დაუფარავად ლობირებდნენ თავიანთ საოჯახო ბიზნესინტერესებს.

რა უნდა ითქვას ვიცეპრეზიდენტებზე, როდესაც ელიტის მიერ წამოყენებული პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი — **ჰილარი კლინტონიცა** და **ჯებ ბუშიც** — ბიზნესისა და ხელისუფლების შერწყმის ცოცხალი მაგალითები არიან. ბუში ტიპური ელიტური ოჯახიდანაა, რომელიც აერთიანებს ნავთობბიზნესისა და ხელმძღვანელი სახელმწიფო თანამდებობების ინტერესებს; ხოლო კლინტონი, როგორც ცნობილია, სახელმწიფო მდივნად მუშაობის პარალელურად თავისი და მეუღლის ფონდისთვის საზღვარგარეთ სახსრების შეგროვებით იყო დაკავებული, მაგრამ ეს დუელი არ შე- ▶

**ისრაელში სავალდებულოა მამაკაცებისთვის — სამი, ქალებისთვის კი ორწლიანი სამხედრო სამსახური. მოქალაქეთა უმრავლესობა რეზერვისტია. არმიაში ინვალიდების ინტეგრაცია დიდი ხნის წინათ დაიწყო. ინტეგრაცია ისრაელის არმიისათვის ისე მნიშვნელოვანია, რომ ის ადაპტირებულია ვეგეტარიანელების მიმართაც კი — მათ სასადილოში სპეციალურ მენიუს უმზადებენ და ხელოვნური ტყავისაგან შეკერილ ჩექმებს აძლევენ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀დგა, ბუში პრაქტიკულად უკვე გავარდა ბრძოლიდან, დემოკრატების მხრიდან კლინტონის წარდგენის შანსი კი უკვე სადავო აღარაა.

და ამ ყველაფრის მიზეზი გახდა სწორედ ამერიკელთა უკმაყოფილება კორუფციით — **ანტიელიტურმა განწყობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ თვით საზოგადოებრივი აზრით ზეგანაფული მანიპულატორებიც კი ველარ შეაკავებენ აბობოქრებულ ტალღებს.**

„ვაშინგტონური მანქანის“ (როგორც აშშ-ში უწოდებენ ხოლმე პროფესიონალი პოლიტიკოსების, ლობისტებისა და კორპორაციებისგან შემდგარ მმართველ პოლიტიკურ ელიტას) წინააღმდეგ გაღიზიანება ბოლო წლებში განუხრელად იზრდებოდა. **ობამას პრეზიდენტობის პერიოდში გაიზარდა იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ ამერიკის ხელისუფლებაში კორუფცია ფართოდაა გავრცელებული. ასე უკვე მოქალაქეთა 75% ფიქრობს, მაგრამ უკმაყოფილება ვრცელდება მთელ ისტებლიშმენტზე კონგრესის, პარტიული ხელმძღვანელებისა და „დიდი ფულის“ ლობისტების ჩათვლით.** 2000-იანი წლების დასასრულს გაჩენილმა „ჩაის სმის მოძრაობამ“, სხვა ყველაფერთან ერთად, გამოააშკარავა ელიტების კორუფცირებულობაც და ამჟამად მიმდინარე საპრეზიდენტო კამპანიის პირობებში ანტიელიტურმა განწყობამ მაქსიმუმს მიაღწია.

სოციალისტი **სანდერსი,** რომელიც კლინტონს ებრძვის, საერთოდ არ სარგებლობს დიდი კორპორაციების ფულით. მილიარდელ **ტრამპს,** რომელიც გაყიდულ პოლიტიკოსებს ამხელს, შეუძლია, საკუთარ თავს მისცეს იმის ნება, რაც მიუწვდომელია მათი აბსოლუტური უმრავლესობისათვის — ესაა დამოუკიდებლობა. ტრამპის მთავარი და უკვე ერთადერთი მოწინააღმდეგე სენატორი **კრუზი** მიისწრაფვის ვაშინგტონში ფულის ძალაუფლების შეზღუდვისკენ. გასაგებია, რომ ერთ-ერთი მათგანის გამარჯვების შემთხვევაში ამერიკის ხელისუფლების კორუფცირებული მოდელი არ გაქრება, მაგრამ იქნებ ისტორიაში პირველად ამერიკის მოქმედმა პრეზიდენტმა თქვას ის, რაც გასულ წელს თქვა 90 წლის **ჯიმი კარტერმა**, ამერიკული სახელმწიფოს ყოფილმა მეთაურმა:

**„აშშ არის ოლიგარქიული და არა დემოკრატიული ქვეყანა. ამერიკული დემოკრატია არის გაყალბება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ფულს ჩაყრიან მასში ოლიგარქები, რომლებიც აკონტროლებენ ქვეყანას და ნაციონალურ მედიას... დაირღვა ის, რაც ამერიკას დიად ქვეყნად აქცევდა — პოლიტიკური სისტემა. ახლა ქრთამით წყვეტენ ოლიგარქები, ვინ უნდა წამოაყენონ პრეზიდენტობის კანდიდატად და ვინ უნდა აირჩიონ პრეზიდენტად. ეს ეხება გუბერნატორებს, სენატორებსა და კონგრესის წევრებსაც“.**

vz.ru

# რისთვის აგროვებს ისრაელის არმია აუტისტებს

**2008 წლიდან ისრაელის არმიას აუტისტები აჰყავს. მიუხედავად სტერეოტიპებისა, მრავალ აუტისტს შეუძლია სხვადასხვა როლი შეასრულოს საზოგადოებაში და ეფექტიანად იმუშაოს არმიაშიც. აუტიზმი განიხილება არა როგორც დაავადება, არამედ როგორც განსაკუთრებული თვალსაზრისი მსოფლიოზე.**



ამჟამად ისრაელის არმიის ერთ-ერთი საიდუმლო ქვედანაყოფი ახალგაზრდა აუტისტებს აგროვებს. ელიტურ რაზმ „9900“-ს, რომელიც ელექტრონულ დაზვერვას აწარმოებს, ესაჭიროება მათი განსაკუთრებული გონებრივი შესაძლებლობები და დაკვირვებულობა.

**აუტისტი ჯარისკაცები დღე-ღამეში რვა საათს კომპიუტერებთან ატარებენ და შეისწავლიან უპილოტო საფრენი აპარატებიდან და თანამგზავრებიდან გადაღებულ სურათებს. როგორც მონრეალის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის მასწავლებელი ლორან მოტრონი აღნიშნავს, მრავალ აუტისტს აქვს ბუნებრივი მიდრეკილება მხედველობითი ანალიზის მიმართ, რომელიც ყურადღებასა და რთულ სამგანზომილებიან ობიექტებზე გონებრივ მანიპულაციებს საჭიროებს.**

2008 წლიდან ისრაელის არმია გადავიდა აუტისტების განაწილებაზე ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ან სამოქალაქო სამსახურში სკოლებსა და საავადმყოფოებში, მაგრამ ზოგიერთები ხვდებიან „რაზმ 9900“-შიც. ისრაელში სამხედრო სამსახური სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის, არმია კი ნაციონალური თვითშეგნების ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა. აქედან გამომდინარე, მრავალი ახალგაზრდა აუტისტი ტრაგედიად აღიქვამდა იმას, რომ არ შეეძლო არმიაში ემსახურა. არადა, მათ მოსწონთ მოწესრიგებული სამხედრო ცხოვრება. საუბარია გააზრებულ სტრატეგიაზე.

**აუტისტი ჯარისკაცები დღე-ღამეში რვა საათს კომპიუტერებთან ატარებენ და შეისწავლიან უპილოტო საფრენი აპარატებიდან და თანამგზავრებიდან გადაღებულ სურათებს. როგორც მონრეალის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის მასწავლებელი ლორან მოტრონი აღნიშნავს, მრავალ აუტისტს აქვს ბუნებრივი მიდრეკილება მხედველობითი ანალიზის მიმართ, რომელიც ყურადღებასა და რთულ სამგანზომილებიან ობიექტებზე გონებრივ მანიპულაციებს საჭიროებს**

ქვეყანაში მოქმედებს ახალგაზრდა აუტისტების დახმარების პროგრამა არმიაში მსახურებისათვის მათ მოსამზადებლად. სკოლის მოსწავლეებმა უნდა გაიარონ შესაბამისი ტესტები, შემდგომ გადიან სამთვიან კურსებს, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკურ მეცადინეობებს, აგრეთვე, კერძო შეხვედრებს ფსიქოლოგებთან, რომლებიც ეხმარებიან მათ, შეეწყონ ახალ საქმეს. გარდა ამისა, **პროგრამა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, დაფიქრდნენ მომავალზე, არმიაში დაინახონ იმის შესაძლებლობა, რომ გახდნენ დამოუკიდებელი ადამიანები. ამის შემდგომ მათ შეუძლიათ, დარჩნენ არმიაში, თუმცა მათთვის ასევე ფართოდაა გახსნილი გზა მაღალი ტექნოლოგიების სამყაროში: იქ აფასებენ „რაზმ 9900“-ის მსგავსი ქვედანაყოფების ყოფილ წევრებს.**

ისრაელის არმია პროგრამას წარმატებულად მიიჩნევს და აპირებს, ახალგაზრდა აუტისტებისთვის ახალი თანამდებობებიც ხელმისაწვდომი გახადოს, მაგალითად, ხარისხის კონტროლის სამსახურში, პროგრამირებასა და მონაცემთა ანალიზში.

**ისრაელში სავალდებულოა მამაკაცებისთვის — სამი, ქალებისთვის კი ორწლიანი სამხედრო სამსახური. მოქალაქეთა უმრავლესობა რეზერვისტია. არმიაში ინვალიდების ინტეგრაცია დიდი ხნის წინათ დაიწყო. ინტეგრაცია ისრაელის არმიისათვის ისე მნიშვნელოვანია, რომ ის ადაპტირებულია ვეგეტარიანელების მიმართაც კი — მათ სასადილოში სპეციალურ მენიუს უმზადებენ და ხელოვნური ტყავისაგან შეკერილ ჩექმებს აძლევენ.**

იმ იშვიათ ქვეყნებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ აფასებენ ფროიდისეულ ფსიქოანალიზს, ერთ-ერთი საფრანგეთია. დანარჩენ მსოფლიოში ფსიქოანალიზი მეცნიერულად დისკრედიტებულია. 2012 წელს, როდესაც აუტიზმს ნაციონალური პრობლემა უწოდეს, სახელმწიფო უწყებებმა გამოაქვეყნეს რეკომენდაციები აუტისტ ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობისათვის და ოფიციალურად განაცხადეს უარი ფსიქოანალიზზე.

მართალია, სპეციალისტების უმრავლესობა აუტიზმს დიდწილად გენეტიკურ და ნეიროლოგიურ მოვლენად მიიჩნევს, ფსიქოანალიზი განიხილავს მას, როგორც ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგს. ტრავმა კი, ამ თვალსაზრისის თანახმად, განპირობებულია დედის გაუცნობიერებელი მიდრეკილებით, გაანადგუროს ბავშვი. ფსიქოანალიტიკოსები ემხრობიან „შეფუთვის“ მსგავს მეთოდიკას, რომლის დროსაც აუტისტს ახვევენ ცივ, სველ ნაჭერში და შემდეგ ნელ-ნელა ათბობენ. ვარაუდობენ, რომ ეს მას გარშემო მყოფი სამყაროს აღქმაში დაეხმარება. საერთაშორისო ექსპერტებმა მსგავსი მეთოდი ბარბაროსულად მიიჩნიეს.

Atlantico

# სიმართლე ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოზე

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა ამერიკული ჯაშუშობის ციტადელის — ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მოღვაწეობის ეფექტიანობაზე ისაუბრა.**




**რეი მაკგოვერნი** ამბობს, რომ ინფორმაცია, რომელიც ამერიკულმა სპეცსამსახურებმა შეაგროვეს, ხელს არ უწყობს ტერორისტული აქტების აღკვეთას. **„ეს ჯაშუშობა ნაკარნახევია მხოლოდ სურვილით, შეაგროვონ ნებისმიერი ინფორმაცია, და მიანიშნებს ტექნოლოგიის განვითარების გარკვეულ დონეზე. ამერიკის ხელისუფლებას არ აქვს საჭირო მონაცემების შერჩევის სისტემა. შედეგად ჩვენ ვიღებთ ავბედით თივის ზვინს, რომელშიც ნემსის პოვნა ძალიან რთულია. მათი მეთოდები არ მუშაობს. არ შემიძლია, დავიჯერო, რომ ევროპელებს ეს არ ესმით“,** — აცხადებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი.

ანუ, **ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ვერ წყვეტს იმ ძირითად ამოცანას, რომლითაც ხსნის თავის უკანონო ქმედებებს როგორც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ვერც საფრანგეთსა და გერმანიაში მომხდარი ტერაქტები აღკვეთეს,** მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულნი იყვნენ „ინფორმაციის შეგროვებით“. მათ, უბრალოდ, ვერ შეძლეს მთელი ნაკადიდან იმის გამოყოფა, რაც საჭირო იყო.

მაგრამ, **თუ ვიფიქრებთ, რომ ტერორიზმი ამერიკულ სპეცსამსახურებს სულაც არ აინტერესებთ, ხოლო ჯაშუშობით სულ სხვა მიზეზების გამო (მაგალითად, მათ გარეშე არ შეიცვალოს ხელისუფლება მათთვის საინტერესო სახელმწიფოებში) არიან დაკავებულნი, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ამ ამოცანის შესასრულებლად მათ ძალები ჰყოფნით, ტერორიზმის წინააღმდეგ კი — აღარ.**

ერთი მხრივ, გამოდის, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო თაგვებს ვერ იჭერს, რადგან მთელ ევროპაში — ხან აქ, ხან იქ — ტერორისტები ხალხს ესვრიან და აფეთქებენ; ხოლო, მეორე მხრივ, ევროპა, მიუხედავად ყველა პოლიტიკური ჩავარდნისა და აშშ-ის, როგორც მოკავშირის, ბინძური რეპუტაციისა, კვლავაც ამერიკელთა კონტროლქვეშ რჩება.

შესაძლოა, ევროკავშირის პოლიტიკის კონტროლი ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს დამსახურება არცაა.

tehnowar.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შარშან ფირმა RWC-ი, რომელიც კალაშნიკოვის ოფიციალური იმპორტიორი და დისტრიბუტორია, იძულებული შეიქნა, კავშირი გაეწყვიტა რუსულ კომპანიასთან, მაგრამ შეინარჩუნა უფლება სახელწოდებაზე; თავდაპირველად გახსნა პატარ ამწყობი საწარმო პენსილვანიის შტატში — ტულიტაუნში. ამჟამად კომპანია სრულმასშტაბიანი წარმოების დაწყებას აპირებს ფორტ-ლოდერდეილის ჩრდილოეთით, ოკეანის სანაპიროზე.**

# ამერიკა კალაშნიკოვის ავტომატების წარმოებას იწყებს

**„კალაშნიკოვი“ პარტიზანების, ტერორისტებისა და მსოფლიოს სხვადახვა ქვეყნის არმიათა ჯარისკაცების საყვარელი იარაღია. 1947 წელს რუსეთში სერიულ წარმოებაში ჩაშვებიდან დღემდე წარმოებულია დაახლოებით 100 მილიონი AK-47. ახლა კი კონცერნ „კალაშნიკოვის“ ამერიკული ქვეგანყოფილება აპირებს, მისი წარმოება დაიწყოს ფლორიდის შტატში მდებარე პომპანო ბიჩის ქარხანაში.**



ეს ლეგენდარული იარაღი გამოიგონა ტანკის მეთაურმა მიხეილ კალაშნიკოვმა, როდესაც 1941 წელს ბრიანსკთან (გერმანელებთან შეტაკებისას) მიღებული ჭრილობების გამო ჰოსპიტალში იწვა. ეს ავტომატი მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ცეცხლსასროლ იარაღად იქცა. ლეგენდარული თკ-47 (თკ — თვირსთი კთოთშნმკრვთ, ხოლო 47 მისი წარმოების დაწყების წელია — 1947) მოსკოვს კარგა ხანს ჰქონდა საექსპორტო შეთავაზებებში, ვიდრე 2014 წლის ყირიმის მოვლენების შემდეგ აშშ-მა სანქციები არ დააწესა.

შარშან ფირმა RWC-ი, რომელიც კალაშნიკოვის ოფიციალური იმპორტიორი და დისტრიბუტორია, იძულებული შეიქნა, კავშირი გაეწყვიტა რუსულ კომპანიასთან, მაგრამ შეინარჩუნა უფლება სახელწოდებაზე; თავდაპირველად გახსნა პატარ ამწყობი საწარმო პენსილვანიის შტატში — ტულიტაუნში. ამჟამად კომპანია სრულმასშტაბიანი წარმოების დაწყებას აპირებს ფორტ-ლოდერდეილის ჩრდილოეთით, ოკეანის სანაპიროზე.

**„თუ დაკავებული ხართ სპორტული სროლით, ნადირობით, ოჯახის, სახლის თუ ქვეყნის დაცვით, ფირმა KALASHNIKOV USA-ს ამერიკული წარმოების ახალი ცეცხლსასროლი იარაღი გადააჭარბებს თქვენს წარმოდგენებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ავტომატი“, — ნათქვამია კომპანიის განცხადებაში.**

**«თუ დაკავებული ხართ სპორტული სროლით, ნადირობით, ოჯახის, სახლის თუ ქვეყნის დაცვით, ფირმა Kalashnikov USA-ს ამერიკული წარმოების ახალი ცეცხლსასროლი იარაღი გადააჭარბებს თქვენს წარმოდგენებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ავტომატი»**

პომპანო ბიჩის ადმინისტრაციის ოფიციალური წარმომადგენელი **სანდრა კინგი** ამბობს, რომ კომპანიის გეგმა დამტკიცდა ქალაქის ხელისუფლების მიერ. ამასთანავე, მას არ დაუკონკრეტებია, რამდენი ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდება ქარხანაში და რა მოცულობის იქნება წლიური წარმოება.

რამდენიმე დღის წინათ კომპანიამ ლას ვეგასში გამართულ ტყვიის სროლის სპორტის ნაციონალური ფონდის ყოველწლიურ კონფერენციაზე ავტომატის ახალი სახეობები წარმოადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სხვადასხვა იარაღს წარმოადგენს, AK-47 გაყიდვების ლიდერი იქნება. ამერიკულ ბაზარზე მისი მთავარი კონკურენტია AR-15, მაგრამ, როგორც ტყვიით სროლის ინსტრუქტორმა **სტივ ნორისმა** განაცხადა, ორივე ნიმუში ძალზე საიმედო იარაღია.

AK-47 ისეთივე კარგია, თუ უკეთესი არა, — განაცხადა მან, — პრობლემა ყოველთვის სათადარიგო ნაწილების შეძენა იყო, მაგრამ ახლა შეიძლება ეს საკითხი აღარც დადგეს“.

ერთხელ, 2007 წელს, მიხეილ კალაშნიკოვმა სისხლისღვრასთან დაკავშირებით თქვა: „მე კარგად მძინავს. პოლიტიკოსები არიან დამნაშავენი იმაში, რომ არ შეუძლიათ მოლაპარაკება და ძალადობას მიმართავენ“.

იგი 2013 წლის დეკემბერში 94 წლისა გარდაიცვალა.

foxnews.com

# აშშ-ის არმიის მოდერნიზაცია ჩაფლავდა

**თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც სამხედრო უსაფრთხოებას პირველ ადგილზე აყენებს, ცდილობს შეიარაღებული ძალების მოდერნიზებას. ამაზეა დამოკიდებული ნაციონალური ინტერესების დაცვის დონე იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფოს მდგომარეობა საომარი საფრთხიდან საომარ მუქარაში გადავა.**



ამ მხრივ ამერიკა გამონაკლისი არ არის. ამერიკის შეერთებული შტატების არმიას მოდერნიზაცია ესაჭიროება, მაგრამ, როგორც National Defense Magazine წერს კომისიის მიერ აშშ-ის კონგრესისათვის განსახილველად წარდგენილ ანგარიშზე დაყრდნობით, ამერიკის ხელისუფლებას არ აქვს სამხედრო მოდერნიზაციის ნათლად ჩამოყალიბებული კონცეფცია.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ **აშშ-ის სახმელეთო ჯარს უნდა გაეუმჯობესებინა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, განეახლებინა საბრძოლო მანქანებისა და ვერტმფრენების პარკი, ასევე, მაღალი სიზუსტის იარაღის არსენალი, უნდა გაეუმჯობესებინა არტილერიისა და რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების მდგომარეობა. ამასთანავე, საჭიროა, მოდერნიზაცია განხორციელდეს არა მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე, პრობლემა ასევე ეხება ჯარების კონტინგენტებს ევროპასა და კორეის ნახევარკუნძულზე.**

გასულ წელს სტრატეგიულმა კვლევითმა ინსტიტუტმა Heritage Foundation თავის ანგარიშში შეაფასა აშშ-ის სამხედრო პოტენციალი, როგორც უმნიშვნელო, და პროგნოზში აღნიშნა, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალების საერთო მდგომარეობა, სავარაუდოდ, „სუსტამდე“ დაეცემოდა.

დაცემის მიზეზია ინვესტიციების უკმარისობა, განახლების პროგრამების ნელი განხორციელება და ნეგატიური ეფექტები, რომლებიც განპირობებულია სამხედრო ხარჯების შემცირებით.

ანალიტიკური ცენტრის — Lexington Institute ვიცეპრეზიდენტმა **დენიელ გურემ** განაცხადა, რომ აშშ-ის სახმელეთო ჯარებს ამჟამად არ აქვს მასშტაბური მოდერნიზაციული პროექტები.

არმიას არ ჰყოფნის დაფინანსება და გონივრული სტრატეგია სამხედრო რეფორმების გატარების საქმეში. გარდა ამისა, იკარგება ღირებული სამხედრო ცოდნა იმ სამხედრო მოსამსახურეთა წასვლის გამო, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს მიღმა საომარ ოპერაციებში მონაწილეობდნენ.

**ბოლოდროინდელი მოვლენების ჭრილში ძალზე უცნაურად ისმის ცალკეული ამერიკელი პოლიტიკოსებისა და გენერლების მხრიდან რუსეთთან ომისკენ მოწოდებები. საინტერესოა, რით აპირებს აშშ რუსეთთან ომს და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ვინ იომებს მათ ნაცვლად?!**

მიუხედავად ამისა, **აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აპირებს, 2017 წლის დასასრულს კიდევ 40 ათასი სამხედრო მოსამსახურე შეამციროს საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით. გამოდის, რომ აშშ-ის არმია სუსტდება, კარგავს გამოცდილ კადრებს, მისი შეიარაღება ძველდება, აშშ-ის პოტენციური მოწინააღმდეგეები კი აქტიურად ავითარებენ ახალ სამხედრო ტექნოლოგიებს. და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 600 მილიარდ დოლარზე მეტია.**

აშშ-ის უგუნური თავდაცვითი პოლიტიკა ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ გლობალური ლიდერის პოზიციის დაკარგვას. და **ბოლოდროინდელი მოვლენების ჭრილში ძალზე უცნაურად ისმის ცალკეული ამერიკელი პოლიტიკოსებისა და გენერლების მხრიდან რუსეთთან ომისკენ მოწოდებები. საინტერესოა, რით აპირებს აშშ რუსეთთან ომს და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ვინ იომებს მათ ნაცვლად?!**

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ამერიკის არმიაში მომსახურე სამხედრო მოსამსახურეთა თითქმის 35% ფსიქიკური აშლილობით იტანჯება, ხოლო ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც შემცირებაში ხვდებიან, შეავსებენ უმუშევრებისა და უსახლკაროების რიგებს.

**რაზე იხარჯება აშშ-ში გადასახადების გადამხდელთა ფული, თუკი არანაირი ძვრა არ შეინიშნება არმიის რეფორმირებაში?** სავარაუდოდ, მოდერნიზაციის პროცესს ამუხრუჭებს არა საბიუჯეტო ხარჯების შემცირების სურვილი, არამედ ქრთამი და საბიუჯეტო ფულის გათეთრება აშშ-ის უმაღლეს სამხედრო წრეებში.

Politikus.ru

**გაერთიანებულ სამეფოში იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც იქ დევნილებად ჩასვლის შემდეგ გაუჩინარდნენ, გასულ წელს გაორმაგდა. ხელისუფლება შიშობს, რომ ბავშვები, შესაძლოა, კრიმინალური დაჯგუფებების ხელში აღმოჩნდნენ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპის პოლიცია აცხადებს, რომ დაკარგული ბავშვები, შესაძლოა, ადამიანებით მოვაჭრეთა მსხვერპლნი გახდნენ. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან პირველი მცდელობის შედეგად, განეხორციელებინათ მიგრაციული კრიზისის ყველაზე საშინელი ასპექტის რაოდენობრივი შეფასება, ევროპოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბრაიან დონალდმა მედიას აცნობა, რომ გაქრა რამდენიმე ათასი ბავშვი, რომლებიც ევროკავშირის ტერიტორიაზე ჩასვლისას ხელისუფლების მიერ ოფიციალურად რეგისტრირებულნი იყვნენ.**

# ევროპაში 10 ათასი დევნილი ბავშვი გაქრა




**ევროპოლს აქვს მონაცემები, რომ ზოგიერთი დაკარგული დევნილი ბავშვი სექსუალურ მონობაში აღმოჩნდა. გერმანიასა და უნგრეთში (დევნილებს შორის ყველაზე პოპულარულ ქვეყანაში და შესაბამისად ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანაში) დააკავეს მრავალი დამნაშავე, რომლებიც მიგრანტების ექსპლოატაციას ეწეოდნენ**

დონალდის თქმით, მხოლოდ იტალიაში დაახლოებით ხუთი ათასი ბავშვი დაიკარგა, კიდევ ათასი დევნილი ბავშვი შვედეთში გაქრა. დონალდმა გააფრთხილა საზოგადოება, რომ რთულ პანევროპულ „კრიმინალურ ინფრასტრუქტურას“ მიზანში ბავშვები ჰყავს ამოღებული. „შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დაახლოებით 10 თას ბავშვს ვეძებთ. ყველა მათგანი არ მოხვედრილა დამნაშავეთა ხელში — ზოგიერთი აქ ნათესავებს შეხვდა და მათთანაა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, სად არიან, ვისთან არიან და რას აკეთებენ ისინი“.

ყურადღების გარეშე დარჩენილი დევნილი ბავშვების რთული მდგომარეობა მიმდინარე მიგრაციული კრიზისის ერთ-ერთ პრობლემად იქცა. გასულ კვირას გამოცხადდა, რომ ბრიტანეთი მზადაა, მიიღოს დიდი რაოდენობით ბავშვები სირიიდან და კონფლიქტის სხვა ზონებიდან. ორგანიზაცია Save the Children-ის მონაცემებით, **გასულ წელს ევროპის ტერიტორიაზე დაახლოებით 26 ათასი ბავშვი ჩავიდა ნათესავების თანხლების გარეშე. ევროპოლში, სადაც 900 ანალიტიკოსი და პოლიციელი-კოორდინატორი მუშაობს, მიიჩნევენ, რომ გასულ წელს ევროპაში ჩასული დევნილების 27%-ს ბავშვები შეადგენდნენ.**

„იმის მიუხედავად, რეგისტრირებულნი იყვნენ ისინი თუ არა, ჩვენ ვსაუბრობთ 270 ათას ბავშვზე. ამ ბავშვთაგან ყველა ნათესავების თანხლების გარეშე არ იმყოფება აქ, მაგრამ გვაქვს მონაცემები, რომლებიც მიანიშნებს, რომ ამგვარი ბავშვები, შესაძლოა, ბევრი იყოს“, — განაცხადა დონალდმა. **2015 წლის ოქტომბერში შვედეთის სამხრეთით მდებარე ტრელებორგის მაღალჩინოსნებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ათასამდე დევნილი ბავშვი, რომლებიც ამ საპორტო ქალაქში სექტემბერში ჩავიდნენ, უკვალოდ გაქრა. 26 იანვარს შვედეთში მოამზადეს ახალი ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ მრავალი ბავშვი, რომლებიც თანმხლები პირების გარეშე იყვნენ დარჩენილნი, გაქრნენ და რომ ხელისუფლებას მწირი ინფორმაცია აქვს, რა ბედი ეწია მათ.**

**გაერთიანებულ სამეფოში იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც იქ დევნილებად ჩასვლის შემდეგ გაუჩინარდნენ, გასულ წელს გაორმაგდა. ხელისუფლება შიშობს, რომ ბავშვები, შესაძლოა, კრიმინალური დაჯგუფებების ხელში აღმოჩენილიყვნენ.**

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელი **მარიანა ბერკეტი** იტყობინება: „კონფლიქტის რეგიონებიდან დევნილი ბავშვები, რომლებიც თანმხლები პირების გარეშე დარჩნენ, მოსახლეობის ყველაზე სუსტი კატეგორიაა. ისინი, ვისაც მშობლები არ ახლავთ, ან თავიანთ ოჯახებთან ერთად გაიგზავნენ ევროპაში, რათა იქ დასახლებულიყვნენ, ან ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გაიქცნენ“.

დონალდის განცხადებით, **ევროპოლს აქვს მონაცემები, რომ ზოგიერთი დაკარგული დევნილი ბავშვი სექსუალურ მონობაში აღმოჩნდა. გერმანიასა და უნგრეთში (დევნილებს შორის ყველაზე პოპულარულ ქვეყანაში და შესაბამისად ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანაში) დააკავეს მრავალი დამნაშავე, რომლებიც მიგრანტების ექსპლოატაციას ეწეოდნენ.**

„ბოლო 18 თვის განმავლობაში ჩამოყალიბდა კრიმინალური ინფრასტრუქტურა, რომელიც მიგრანტების ექსპლოატაციას ეწევა. გერმანიასა და უნგრეთში არის ციხეები, რომლებშიც პატიმრების უმეტესობა ბრალდებულია მიგრანტების მიმართ ჩადენილ ამა თუ იმ დანაშაულში“, — ამბობს დონალდი.

პოლიციამ ასევე აღრიცხა შემაშფოთებელი თანამშრომლობის ფაქტები. ორგანიზებული დამნაშავეობრივი დაჯგუფებები, რომლებიც დევნილებს ევროკავშირის ტერიტორიაზე შეღწევაში ეხმარებიან, თანამშრომლობენ ადამიანებით მოვაჭრეებთან, რომლებიც დევნილებს მონებად იყენებენ. ის დაჯგუფებები, რომლებიც დიდი ხანია, ცნობილნი არიან, როგორც ადამიანებით მოვაჭრენი, და რომლის წევრებიც შესულნი არიან ევროპოლის მონაცემთა ბაზაში, ახლა დევნილებით ვაჭრობის შემთხვევებში არიან გამოვლენილი სამართალდამცავების მიერ.

„ისინი, ვინც ადრე ადამიანებით ვაჭრობდნენ, ახლა ჩვენს საქმეებში ფიგურირებენ დევნილებით ვაჭრობის გამო“, — დასძინა დონალდმა.

ევროპოლი მალე მიიღებს ინფორმაციას ორგანიზაციისგან, რომელიც ბალკანეთის მარშრუტზე მუშაობს და რომელმაც ევროპოლის წარმომადგენლებთან შეხვედრა ითხოვა, რათა ბავშვების გაყიდვის პრობლემა განიხილოს. **„ისინი შეშფოთებულნი არიან თანმხლები პირების გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთა რაოდენობით. ისინი დახმარებას ითხოვენ, რათა გაარკვიონ, თუ როგორ მოხვდნენ ეს ბავშვები დამნაშავეთა დაჯგუფებების ხელში. ისინი ყოველდღიურად ეჯახებიან ამ პრობლემას და, რადგან ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა, ჩვენ მოგვმართეს.**

ეს ბავშვები საზოგადოებაში არიან, და, თუკი მათ ექსპლოატაციას უწევენ, ესეც საზოგადოებაში ხდება. ისინი ტყეში არ წაუყვანიათ, თუმცა ვეჭვობ, ზოგიერთს სწორედ ასე მოექცნენ. ისინი ჩვენს საზოგადოებაში არიან და ჩანან, ამიტომაც აუცილებელია, გამოვიჩინოთ გულისხმიერება“.

მიგრაციული კრიზისის პრობლემის მიმართ ევროპის უშუალო მიდგომამ განაპირობა ის, რომ რამდენიმე დღის წინათ შენგენის ზონიდან საბერძნეთის გარიცხვა მოითხოვეს — გაეროს ერთ-ერთმა მაღალი რანგის მოხელემ ამ ცვლილებებს ევროკავშირის „დაცემის ახალი პერიოდი“ უწოდა.

გაეროს სპეციალური წარმომადგენელი მიგრაციის საკითხებში **პიტერ საზერლენდი** წერდა, რომ ამგვარი ნაბიჯი „საბერძნეთს აქცევს სადგომად ღია ცის ქვეშ აურაცხელი დევნილისათვის. ეს იდეა არაჰუმანურია და ევროპის ძირითადი პრინციპების უხეშ დარღვევას წარმოადგენს“.

**The Guardian**

# ვის ემსახურება ამერიკული საბეჭდი მანქანა

**ცოტა ხნის წინათ თეთრმა სახლმა მისთვის დამახასიათებელ სტილში საკმაოდ ხმამაღალი განცხადება გააკეთა რუსეთში არსებულ კორუფციაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, ამგვარი ტენდენცია აშშ-ში, უკვე დიდი ხანია, გაჩნდა და ამით ვერავის გააკვირვებენ. მათი განცხადებით, რუსეთში ვერაფერს გახდები კავშირებისა და კონვერტში ჩადებული სოლიდური თანხის გარეშე.**



ალბათ, ყველასთვის ცნობილია, რომ ამერიკელი თეთრი საყელოები ამჯობინებენ, დაუჯერონ რუსი ლიბერალების ნებისმიერ მსგავს ინფორმაციას, მაგრამ **მართლა ყველაზე კორუფცირებული სახელმწიფოა რუსეთი თუ ეს მხოლოდ თეთრი სახლის მიერ თავსმოხვეული სტერეოტიპია? და რომელი ადგილი ეკუთვნის ამ სიაში თვითონ დემოკრატიის შუქურას და ყველაზე სამართლებრივ სახელმწიფოს ჩვენს პლანეტაზე?**

დავიწყოთ ინფორმაციით, რომელიც კომპანია Gallup-მა გასული წლის ზაფხულში გამოაქვეყნა. ამ ცნობის თანახმად, **აშშ-ის მოსახლეობის დაახლოებით 80% მთავარ პრობლემას სწორედ ხელისუფლების კორუმპირებულობაში ხედავს და ამით უკმაყოფილოთა რაოდენობა ბოლო ათ წელიწადში ერთბაშად 20%-ით გაიზარდა. იანვრის დასაწყისში კი ცნობილი გახდა, რომ ამერიკელების 52%-ს უკვე აღარ სჯერა ამერიკული ოცნების, რომელიც ოდესღაც თანასწორობასა და კეთილსინდისიერებას ეფუძნებოდა. კორუფციამ, უფრო სწორად კი „ლეგალურმა კორუფციამ“, წაშალა ეს ცნებები.**

მხოლოდ გასულ თვეში საარჩევნო კამპანიებზე 8 მილიარდი დოლარი დაიხარჯა, რაც თითქმის 2 მილიარდით აღემატება 2012 წელს დახარჯულ თანხას. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შეუძლიათ, სულაც არ გაამხილონ, საიდან იღებენ სახსრებს იმ პოლიტიკოსების წინ წამოსაწევად, რომლებსაც მხარს უჭერენ. ამგვარი „პოლიტიკური თავისუფლება“ თითქმის 2,6 ტრილიონი დოლარის დაკარგვის საბაბი გახდა.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს სიტუაცია, მოვიყვანოთ გელაპის ინსტიტუტის მიერ სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეების 79% დარწმუნებულია, რომ კანონმდებლები მხოლოდ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ფიქრობენ და არა საშუალო ამერიკელისაზე.

ორ ათწლეულზე უფრო ნაკლები დროის განმავლობაში აშშ-ის სამართალდამცავმა ორგანოებმა 50 ათასი საქმე აღძრეს ყველა დონის კორუმფცირებული მაღალჩინოსნის წინააღმდეგ.

თუკი პორტალ „ვიკილიქსს“ დავუჯერებთ, **ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული სტენოგრამების საიდუმლო ჩანაწერების თანახმად, რამდენიმე მილიარდი დოლარი პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხოლოდ 13 თანამშრომელმა მოიპარა. მათგან 10 ახლაც თეთრ სახლში მუშაობს. და, ცხადია, სასამართლო არ ყოფილა.**

აშშ-ში კორუფცია სპორტის ეროვნულ სახეობად იქცა, თანაც ის მხოლოდ პოლიტიკას კი არა, სოციალურ სფეროსაც შეეხო.

**natalex84**

შორია შუქნისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ძალიან რთულია უცხო გარემოში ცხოვრება, ხელს გიშლის ენობრივი ბარიერი. დამამცირებელია, მოუარო ვიღაცის მოხუცს, 24 საათის განმავლობაში იყო მის განკარულებაში, შეასრულო მისი ყველა კაპრიზი და მაინც არ იყოს მადლიერი, შეურაცხგყოს სიტყვიერად და ზოგჯერ ხელითაც შეგეხოს. შენ კი პასუხსაც ვერ სცემ იმის შიშით, რომ დაკარგავ სამსახურს და შინ ვერაფერს გაგზავნი, მშიერს დატოვებ ოჯახს“.

# დოდო მილორავა: როდესაც ვხედავ, რა განცხრომით ცხოვრობენ მთავრობის წევრები, რამდენ ათას ლარს იღებენ ხელფასს თუ პრემიას, მიჩნდება კითხვა — უნდათ კი, რომ ემიგრანტები სამშობლოში დავბრუნდეთ?

## დიდი ტკივილი სამშობლოს საზღვრებს მიღმა

**მიგრაცია 21-ე საუკუნის გლობალურ პრობლემად იქცა. მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3 პროცენტი, 175 მილიონი ადამიანი, დღეს არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, რომელშიც დაიბადა. ამის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში ქვეყნის გეოპოლიტიკური ვითარებაა. ქართველებიც დუხჭირი სოციალური მდგომარეობის გამო ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან უცხოეთში გარბიან, სადაც უკიდურესად რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება. ბოლო წლებში საქართველოდან წასული ემიგრანტთა რაოდენობა გაიზარდა, რომელიც ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემებითაა გამოწვეული — არ არის პირობები, ადამიანებმა შვილების სათანადოდ გამოკვება და აღზრდა რომ შეძლონ. რას აკეთებენ ამ დროს ხელისუფლების წარმომადგენლები? — იზრდიან ხელფასებს, ინიშნავენ პრემიებს, ქართველი ხალხის დიდ ნაწილს კი თვიდან თვემდე ძლივს გააქვს თავი...**



**დოდო მილორავამ, ამჟამად 67 წლის ქართველმა ქალმა, თავის დროზე იძულებით დატოვა საქართველო და ახლა ნიუ იორკში უწევს ცხოვრება...**

**— ქალბატონო დოდო, რამ გაიძულათ სამშობლოდან წასვლა?**

— გაუსაძლისმა ეკონომიურმა მდგომარეობამ. ვმუშაობდი საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სამმართველოში მთავარ სპეციალისტად. ერთ მშვენიერ დღეს ჯერ კუპონები შემოვიდა რუბლის ნაცვლად, — ფული ბევრი გვქონდა, მაგრამ ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ ვიკმაყოფილებდით, რომ, უბრალოდ, გვეარსება; შემდეგ ლარი გამოუშვეს და 45 ლარით სამი სულის შენახვა წამოუდგენლი შეიქნა. ყველაფერი გავყიდე, დედისთვის წამლები რომ მეყიდა და მოზარდი შვილისთვის — საკვები, ტანსაცმელზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი... და ასეთ პირობებში მყოფი, სამინისტროში 20 წლის მუშაობის მიუხედავად, შემამცირეს. ვეძებდი გამოსავალს... ვიბრძოდი შელახული უფლებების აღსადგენად, ისიც ვიცოდი, რომ საშველი მაინც არ იქნებოდა მწირი ხელფასის გამო და სხვა გზა უნდა მომეძებნა... მეოცე საუკუნის ბოლო წელი იყო და ბევრი მიდიოდა საზღვარგარეთ ოჯახის გადასარჩენად, მეც ვცადე ამერიკის საელჩოში ბედი. მეორე ჯერზე მომცეს ვიზა... მახსოვს, სიხარული არ განმიცდია ვიზის აღების გამო, მე ხომ 18 წლის შვილი და მოხუცი დედა ბედის ანაბარა უნდა დამეტოვებინა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა... ვაჭიანურებდი დროს, მიჭირდა ოჯახიდან წასვლა... 2000 წლის 13 იანვარს გასდიოდა ვადა ვიზას და 5 იანვარს გავემგზავრე. დედაჩემის თვალებსა და სახეს ვერ ვივიწყებ. **კარს ვერ ვშორდებოდი — რამდენჯერმე მივბრუნდი და ჩავეხუტე ჩემებს. წამოვედი იმედით, რომ 6 თვეში, დიდი-დიდი, ერთ წელიწადში დავბრუნდებოდი...**

**— ამჟამად როგორ პირობებში გიწევთ მუშაობა?**

— **ძალიან რთულია უცხო გარემოში ცხოვრება, ხელს გიშლის ენობრივი ბარიერი. დამამცირებელია, მოუარო ვიღაცის მოხუცს, 24 საათის განმავლობაში იყო მის განკარულებაში, შეასრულო მისი ყველა კაპრიზი და მაინც არ იყოს მადლიერი, შეურაცხგყოს სიტყვიერად და ზოგჯერ ხელითაც შეგეხოს. შენ კი პასუხსაც ვერ სცემ იმის შიშით, რომ დაკარგავ სამსახურს და შინ ვერაფერს გაგზავნი, მშიერს დატოვებ ოჯახს.**

**— ალბათ, ძალიან მძიმეა ახლობლებისგან, ოჯახისგან მოშორებით ყოფნა...**

— ჩემზეა ნათქვამი, — კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... თურმე დედაჩემს სამუდამოდ ვემშვიდობებოდი. ისე გარდაიცვალა, ჩამოსვლაც ვერ შევძელი საბუთების გამო. მეგონა, ცოტა თანხას მოვუყრი თავს და დავბრუნდებიმეთქი, მაგრამ საქართველოში უკან-უკან მიდიოდა საქმე. არც მთავრობა ცდილობდა რამის შეცვლას, რომ დავბრუნებულიყავი და ასე მისდევდა წელი წელს. 7 წლის შემდეგ პირველად ჩამოვედი საქართველოში, მაშინ არ იყო კომუნიკაციის ასეთი საშუალებები, ახლა რომ არის და ზოგჯერ ოჯახს კვირაობით ვერ ვუკავშირდებოდით, დანახვა ხომ წარმოუდგენელი იყო. **აეროპორტში ჩემი შვილი რომ დავინახე, მუხლები მომეკვეთა, — ბიჭი დავტოვე და კაცი დამხვდა. საშინელი განცდაა... ჩვენი დედაშვილობის დაკარგული წლები დავინახე, შიმშილს კი გადავარჩინე, მაგრამ დავკარგე დედაშვილობის წლები... ახლა ამას რომ ვიხსენებ, ცრემლი მომდის, ჩვენ, ემიგრატებს, ვინ დაგვიბრუნებს დაკარგულ წლებს!**

**«აეროპორტში ჩემი შვილი რომ დავინახე, მუხლები მომეკვეთა, — ბიჭი დავტოვე და კაცი დამხვდა. საშინელი განცდაა... ჩვენი დედაშვილობის დაკარგული წლები დავინახე, შიმშილს კი გადავარჩინე, მაგრამ დავკარგე დედაშვილობის წლები... ახლა ამას რომ ვიხსენებ, ცრემლი მომდის, ჩვენ, ემიგრატებს, ვინ დაგვიბრუნებს დაკარგულ წლებს?!»**

**— გაქვთ ნოსტალგია?**

— ნოსტალგია, ნოსტალგია... ეს პირველად ლენინგრადში განვიცადე და სულ მელანდებოდა ჩემი ბათუმი, ჩემი მეგობრები. 10 წლის შემდეგ, როგორც იქნა, დავბრუნდი საქართველოში და რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ მომიწევდა სამშობლოს დატოვება. 16 წელია, ამერიკაში ვარ. ვოცნებობ, რომ გაფანტული ქართველები უფალმა დაგვაბრუნოს სამშობლოში. საქართველო შორიდან თუ ახლოდან მუდამ სანატრელი და ძვირფასია, ამიტომ გამიჩნდა იდეა, რომ შექმნილიყო ფილმი საქართველოდან იძულებით გახიზნულ ქართველებზე. ჩემი იდეა და სურვილი აასრულა უფალმა და შემახვედრა სტუდია „გუთანს“. ისინი აქ, ამერიკაში, ჩამოვიყვანე და გადავიღეთ ყველაფერი, რაც შევძელით. ასე შევქმენით ფილმი „მიწის სჯული“.

**— რა პირობებს ვერ გიქმნით საქართველოს ხელისუფლება იმისთვის, რომ დაბრუნდეთ საქართველოში?**

— ხელისუფლებამ უნდა შექმნას იმის პირობები, რომ თითოეულ ოჯახში მყოფ ორ წევრს მაინც ჰქონდეს სამსახური. განა აქ ფუფუნებაზეა ლაპარაკი? არა — ელემენტარულზე. **როდესაც ვხედავ, რა განცხრომით ცხოვრობენ მთავრობის წევრები, რამდენ ათას ლარს იღებენ ხელფასს თუ პრემიას, უნებლიეთ, მიჩნდება კითხვა — უნდათ კი, რომ ემიგრანტები სამშობლოში დავბრუნდეთ? მათთვის არ არსებობს ზღვარი, სხვისი ბედი არც კი აწუხებთ. რისთვის იღებენ ათასობით ლარს? პენსიონერს კი ეუბნებიან, — ეს გადმოგდებული 150-160 ლარიც გეყოფა, მეტი არ გინდაო. ასეთ ალოგიკურ პირობებში ჩამოსვლისა გვეშინია ემიგრანტებს...**

**— რას ეტყვით საქართველოს, ქართველებს?**

— საქართველო იყო, არის და მუდამ იქნება ღვთის მადლით მოსილი ქვეყანა. ფუჭია მავანთა მცდელობა ქართველთა გადაშენებისა. ვიცი და მწამს, რომ ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით და აღარ მოგვიწევს გახიზვნა ოჯახების გადასარჩენად. იმედი გვაქვს, საქართველოში აღდგება სიყვარულის ხიდი ადამიანებს შორის და ვიზრუნებთ ერთმანეთზე. საქართველო ის ქვეყნაა, რომელიც ბევრ დადებითს გასცემს და ასწავლის სხვებს ერთმანეთის სიყვარულს, თანადგომას და კიდევ ბევრ რამეს. უნდა ვიამაყოთ, რომ ვართ ქართველები, მართლმადიდებლები და ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის შვილები. ეს სიმდიდრე ყველას არ რგებია წილად, ამიტომ გაუფრთხილდეთ მას!

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

## აშშ-ში ვირუსი ზიკას სქესობრივი კავშირით გადაცემის პირველი შემთხვევა გამოვლინდა

**ბი-ბი-სი, აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას ვირუსი ზიკას სქესობრივი კავშირით გადაცემის თაობაზე.** დაავადებულს არ უმოგზაურია იმ ქვეყნებში, რომლებშიც ეს ვირუსია გავრცელებული, მისი პარტნიორი კი ცოტა ხნის წინათ ვენესუელიდან დაბრუნდა. ვირუსი, ძირითადად, სამხრეთ ამერიკაშია გავრცელებული და ის კოღოების საშუალებით გადადის. სწორედ ზიკა ვირუსს უკავშირებენ ათასობით ბავშვის განუვითარებელი ტვინით (მიკროცეფალიით) დაბადებას. ამერიკული წითელი ჯვარი სისხლის დონორებს მოუწოდებს, რომ საშიშ რეგიონში სტუმრობის შემდეგ, 28 დღე დააყოვნონ სისხლს ჩაბარება. ბრაზილიამ, სადაც ვირუსი ყველაზე მეტად არის გავრცელებული, განაცხადა, რომ მიკროცეფალიის 3670 შემთხვევას იკვლევს, რომლებიც, შესაძლოა, ზიკას უკავშირდებოდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსის გავრცელების გამო გლობალურ საზოგადოებრივ ჯანდაცვაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.



**ამერიკელ სამხედროებს შეეშინდათ თავიანთი მოქალაქეების მძაფრი რეაქციის, რადგან ნატოელმა მოკავშირე თურქეთმა 12 ამერიკელი მამაცი საზღვაო ქვეითი მოკლა, ამიტომ კვალის დასაფარავად „ჰავაიური ლეგენდა“ შეთხზეს.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თურქებმა სირიაში 2 ამერიკული ვერტმფრენი ჩამოაგდეს

**„თურქეთმა სირიაში აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ორი ვერტმფრენი ჩამოაგდო, დაიღუპა 12 ამერიკელი სამხედრო, მაგრამ აშშ, იმის გამო, რომ ნატოს შიგნით სკანდალი არ ამტყდარიყო, იძულებული შეიქნა, მიეჩქმალა ეს ფაქტი — მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს განუცხადეს, რომ CH-53 Sea Stallion-ის მარკის ორი ვერტმფრენი ჰავაის საჰაერო სივრცეში ერთმანეთს შეეჯახა. ეს სენსაციური ინფორმაცია ამერიკულმა ვებგვერდმა Sorcha Faal-მა 20 იანვარს გამოაქვეყნა.**



CH-53 STALLION

ინტერნეტგამოცემა ამტკიცებს, რომ ვერტმფრენები 14 იანვარს გაფრინდნენ ერაყის დასავლეთში მდებარე ავიაბაზა აინ ალ-ასადიდან (2014 წელს ამ ბაზაზე 300 ამერიკული საზღვაო ქვეითი ჩავიდა სამხედრო ინსტრუქტორის რანგში), მიზანი — სირიის ქურთისტანში სირიელი ქურთების სახალხო რაზმელებთან (YPC) ერთად მოქმედი ამერიკელი და ბრიტანელი სპეცრაზმელებისთვის ტვირთის ჩატანა. საჰაერო აპარატები Sikorsky CH-53 ყველაზე დიდ ვერტმფრენებად ითვლება აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში. ამ ვერტმფრენებს შეუძლიათ 16 ტ ტვირთის გადატანა, მათ შორის მსუბუქი ჯავშნიანი მანქანების.

თურქეთის გამანადგურებელმა თავისი ქვეყნის საჰაერო სივრციდან გაუხსნა ცეცხლი ამერიკელთა ვერტმფრენებს. გამოცემა აღნიშნავს, რომ რუსეთის დაზვერვამ შეიტყო ამ ინციდენტის შესახებ და ამერიკელებს ოპერატიულად შეატყობინა, თანაც დახმარება შესთავაზა, მაგრამ ამერიკელმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ იციან მომხდარის შესახებ და ყველაფერს აკეთებენ ეკიპაჟის გადასარჩენად. მოგვიანებით კი ამერიკელებმა ამჯობინეს ეს ფაქტი მიეჩქმალათ. **ამერიკელ სამხედროებს შეეშინდათ თავიანთი მოქალაქეების მძაფრი რეაქციის, რადგან ნატოელმა მოკავშირე თურქეთმა 12 ამერიკელი მამაცი საზღვაო ქვეითი მოკლა, ამიტომ კვალის დასაფარავად „ჰავაიური ლეგენდა“ შეთხზეს.**

მომხდარის ოფიციალური ვერსია ასეთია: CH-53E-ს მარკის ორი ვერტმფრენი, რომლებსაც საზღვაო ქვეითები სამხედრო ბაზიდან ჰავაიზე გადაჰყავდა, კანოს ყურეში გამართულ სწავლებაში მონაწილეობდა. თითოეულ საჰაერო მანქანაში 6 სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა, მათ შორის, ინსტრუქტორებიც. 14 იანვარს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, ვერტმფრენები ერთმანეთს შეეჯახნენ და აფეთქდნენ. სანაპიროს დაცვის თანამშრომლებმა, აშშ-ის საზღვაო ფლოტისა და სხვა უწყებების წარმომადგენლებმა ნავებისა და თვითმფრინავების გამოყენებით 115-ჯერ დაათვალიერეს ოკეანე და სანაპირო ზოლი იმ იმედით, რომ იპოვიდნენ დაკარგულებს, 19 იანვარს ოპერაცია შეწყდა.

„ძებნის შეჩერების გადაწყვეტილება, როდესაც ცოცხალი ვერავინ ვიპოვეთ, ძალიან რთულია, იმის გათვალისწინებით, რასაც ჩვენ განვიცდით. სანაპიროს დაცვის სამსახურის თანამშრომლების სახელით ვამბობ, რომ ჩვენი აზრები და ლოცვები მიმართულია ვერტმფრენთა ესკადრილიის იმ საზღვაო ქვეითებისადმი, რომლებიც კვლავაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებიან“, — განაცხადა მე-14 ოლქის სანაპიროს დაცვის მეთაურმა **ჯიმ ჯენკინსმა.**

ინფორმაციამ ჰავაის საჰაერო სივრცეში ვერტმფრენების შესახებ გააჩინა მოსაზრება, რომ სპეცრაზმელები, რომლებიც 2 CH-53E-ს გადაჰყავდა, ერთ-ერთ ცხელ წერტილში აშშ-ის დელიკატურ სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ და ისინი, უბრალოდ, თავიდან მოიშორეს ისევე, როგორც ეს მოხდა 2011 წელს ავღანეთში, როდესაც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო სპეცრაზმის — „ჯგუფი 6“-ის მებრძოლები, რომლებმაც პაკისტანში უსამა ბენ ლადენი მოკლეს, „მოულოდნელად“ დაიღუპნენ.

სამხედრო ექსპერტთა აზრით კი, სირიაში ამერიკული ვერტმფრენების ჩამოგდება და ამ ფაქტის „ჰავაიური ლეგენდით“ მიჩქმალვა სიმართლეა, რადგან ვერტმფრენი CH-53 Stallion-ი აღჭურვილია ღამის ხედვის თანამედროვე საშუალებებით, ლოკატორებით და მათი ერთმანეთთან შეჯახება ნაცნობ პირობებში, როგორი ამინდიც უნდა ყოფილიყო, თუ გამორიცხული არა, ძალიან საეჭვოა.

როგორც ჩანს, თურქებმა ეს ნაბიჯი სირიაში ვითარების კიდევ უფრო გასამწვავებლად გადადგეს და, შესაძლოა, ფიქრობდნენ, რომ ამერიკული ვერტმფრენების განადგურება რუსეთს დაბრალდებოდა.

# რომელ ქვეყნებს შეუძლია აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განადგურება

**ამერიკულმა გამოცემა The National Interest-ის ექსპერტმა ჰარი კაზინასმა გამოაქვეყნა სია იმ იარაღებისა, რომლებსაც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განადგურება შეუძლია.**

სტატიაში ნათქვამია, რომ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ხომალდებს, რომელთა დასამზადებლადაც გამოყენებულია ტექნოლოგია „სტელასი“, პრობლემები შეექმნა, სხვა ქვეყნების ამავე ტექნოლოგიით დამზადებული ხომალდებისგან. პირველად ეს მოხდა 2005 წელს, როდესაც გაირკვა, რომ შვედეთის HMS Gotland-ის კლასის წყალქვეშა ნავებს შეუძლიათ აშშ-ის დიდი ნავსაწინააღმდეგო ხომალდების, ფრეგატებისა და კრეისერების განადგურება. 2006 წელს კი Song-ის კლასის ჩინური წყალქვეშა ნავი, რომელიც შვედურ Gotland-ზე გაცილებით სრულყოფილია, თავისუფლად მიუახლოვდა იაპონიაში დისლოცირებულ ამერიკულ ავიამზიდ USS Kitty Hawk-ს, ამერიკელებმა ჩინური სუბმარინა ავიამზიდიდან მხოლოდ 5 კმ-ის დაშორებით შეამჩნიეს.

ამერიკული გამოცემა აღნიშნავს, რომ რუსეთს „გაცილებით მძლავრი და მომაკვდინებელი წყალქვეშა ნავები ჰყავს „პროექტ 677“-ის „ლადას“ დიზელ-ელექტრული სუბმარინების სახით. ეს წყალქვეშა ნავები ძალიან ჩუმად მოძრაობენ, იმაზე ჩუმად, ვიდრე პროექტ „ვარშავიანკას“ წყალქვეშა ნავები, რომლებსაც, იმის გამო, რომ შეუძლია, ლოკატორების ეკრანებიდან გაქრნენ, „შავი ხვრელი“ შეარქვეს, ამას გარდა „პროექტი 677“-ის წყალქვეშა ნავები აღჭურვილია ფრთოსანი რაკეტების სპეციალური გამშვები მოწყობილობებით.



USS KITTY HAWK CV-63

# პატარა საშინელება დიდი ნატოსთვის



**ამერიკული გამოცემა The National Interest-ი წერს, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს აქვს საფუძველი, ეშინოდეს რუსული სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავ „იაკ-130“-ის („Як-130“).**

„იაკ-130“-ს თითოეული ფრთის ქვეშ აქვს სამი საკიდარი, რომლებიც საშუალებას აძლევს ამ საჰაერო აპარატს, სამი ტონა თანამედროვე იარაღით აღიჭურვოს. ეს შეიძლება იყოს „ჰაერი-ჰაერი“ და „ჰაერი-მიწის“ კლასის რაკეტები, მაღალი სიზუსტის მართული ავიაბომბები, თავისუფალი დაცემის ავიაბომბები, უმართავი რაკეტები, ქვემეხის კონტეინერები და საწვავის დასაკიდი ბაკები. ამას გარდა, „იაკ-130“-ზე ფიუზელაჟის ქვეშ გათვალისწინებულია 23-მმ-იანი ქვემეხები, ხოლო ფრთების დაბოლოებებზე — კიდევ ორი საკიდარი „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტებისთვის.

სრულად შეიარაღებული და საწვავით გამართული გამანადგურებელი 10290 კგ-ს იწონის, ეს ოდნავ მეტია აშშ-ის და მისი მოკავშირეების სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითადი გამანადგურებლის — F-16-ის ასაფრენი მასის ნახევარზე.

თუ რუსული გამანადგურებლის ფრთებქვეშ დამატებით დაკიდებენ საწვავის 2 ბაკს და ორი 200-კგ-იანი ბომბითა და ქვემეხით აღჭურვავენ, მაშინ ამ საჰაერო აპარატის საბრძოლო მოქმედების მაქსიმალური რადიუსი 1640 კმ იქნება.

„იაკ-130“ შექმნილია იაკოვლევის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროში რუსეთის სამხედრო-საჰაეროსთვის პილოტების მოსამზადებლად მეოთხე და მეხუთე თაობის თვითმფრინავების სამართავად“, — წერს ამერიკული გამოცემა.



**ტექნიკური მახასიათებლები:**

* ფრთების განშლის სიგრძე — 9,84 მ.
* სიგრძე — 11,24 მ
* მასა (საბრძოლო მასალების გარეშე) — 4600 კგ
* ასაფრენი მასა — 10290 კგ
* საბრძოლო მასალ. მასა — 3000 კგ
* ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 12500 მ
* მაქს. სიჩქარე — 960 კმ/სთ
* ფასი 15 მლნ დოლარი (საექსპ.).

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

გეოსტრატეგიული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეოცე საუკუნის დასაწყისში ბანკირებმა მიიღეს ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც შეეძლოთ, ჩამოეყალიბებინათ მმართველობა ამ კურთხეულ მიწაზე. როგორც კი ხელთ იგდეს კონტროლი დოლარის გამოშვებაზე, ფედერალური სარეზერვო „საბეჭდი მანქანის“ საიდუმლო მფლობელებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, მოეყვანათ და შეეცვალათ პრეზიდენტები და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის სრული მანიპულაცია განეხორციელებინათ...**

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-4 (330-333)

სამიზნედ საინვესტიციო ბანკი Knickerbocker Trust-ი აირჩიეს. ეს ბაზარზე მესამე მოთამაშე იყო. მისი სერიოზული პრობლემების შესახებ უეცრად გაჩენილმა ჭორებმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მეანაბრეები ფულის გასატანად დაიძრნენ. Knickerbocker Trust-ის ხელმძღვანელობამ იმხანად წამყვან ბანკირს – **ჯონ პირპონტ მორგანს** (ჯეი პი) მიმართა, მაგრამ მან დახმარებაზე უარი განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ უბედურებაში ჩავარდნილი ბანკის მფლობელთან მეგობრობდა. ამან პანიკა გამოიწვია, რომლის პიკი 1907 წლის 22 დეკემბერს იყო. ბანკის გახსნიდან და შუადღემდე ინვესტორებმა დაახლოებით 8 მილიონი დოლარი გაიტანეს, რაც დღევანდელ 50 მილიონ დოლარს უდრის. შუადღეს Knickerbocker Trust დაიხურა და ფულის გაცემა შეაჩერა. თავიანთი სახსრების გადასარჩენად მივარდნენ სხვა ფინანსური ორგანიზაციების ინვესტორები. **23 ოქტომბერს დაიწყო პანიკა TRUST COMPANY OF AMERICA-ში, ქვეყნის სიდიდით მეორე ტრესტში: დღე-ღამეში 60 მილიონი დოლარის აქტივებიდან 13 მილიონი გაიცა. 1907 წლის 24 ოქტომბერს კრიზისი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟას გადაედო. ბანკები, საბროკერო ოფისები და ტრესტები (არა მხოლოდ ნიუ-იორკში, არამედ მთელ ქვეყანაში) ერთმანეთის მიყოლებით კოტრდებოდა და იხურებოდა. ამ დღეს 7 ბანკი გაკოტრდა.**

და ამ დროს მხსნელად სცენაზე გამოჩნდა... ჯეი პი მორგანი. სწორედ მან, კრიზისის ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, „იხსნა“ ამერიკის ეკონომიკა. მორგანმა უარი თქვა პრობლემის მოგვარებაზე საწყის ეტაპზე, მისცა მას გამწვავების საშუალება, ხოლო შემდეგ მის სწრაფ ლიკვიდაციას შეუდგა. სხვა ბანკირებთან ერთად მორგანმა 25 მილიონი დოლარი ჩადო ამერიკის საფინანსო ბაზარში, რამაც სიტუაცია დაასტაბილურა.

**მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რომ ყველა ფინანსური კრიზისი ფულის არარსებობაა. მოდის ფული — კრიზისი მთავრდება.**

ხანძრის ჩაქრობა ყველაზე მეტად იმას უადვილდება, ვინც იგი გააჩინა. ნივთს ბნელ ოთახში ყველაზე ადვილად ის იპოვის, ვინც დამალა.

ბანკებმა სერტიფიკატების — „ფულის შემცვლელების“ — გამოშვება დაიწყეს, რათა ფულის მასა გაეზარდათ. თვითონ მორგანი იძლეოდა გარანტიას ქალაქ ნიუ იორკში ობლიგაციების განთავსებაზე და ამით გადაარჩინა იგი გაკოტრებას. ჯონ პირპონტის ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო, „საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისი სიტყვა ყველანაირ ქაღალდზე სანდოა“.

„სამშობლოს მხსნელი“ ჯეი პი საკუთარი „არსობის პურსაც“ არ ივიწყებდა. დაღუპვისგან ხსნის მიზეზით მან შეიძინა სარკინიგზო კომპანია Tennessee Coal, Iron and Railroad (TCI)-ი, რომლის მოახლოებულ გაკოტრებას შეეძლო მისი აქციების მქონე ბევრი საბროკერო კომპანიის გაკოტრება გამოეწვია. და, თუმცა პრეზიდენტი რუზველტი მონოპოლიების შექმნის წინააღმდეგი იყო, ამ შთანთქმაზე მან თვალი დახუჭა.

**1907 წლის პანიკამ ეკონომიკური მაჩვენებლების დაცემა გამოიწვია. აქციების ბაზარი 37%-ით დაეცა; 25 ბანკი და 17 ტრესტი გაკოტრდა; ნედლეულის ფასი 21%-ით დაეცა; წარმოება წელიწადში 11%-ით შემცირდა, ხოლო უმუშევრობა 2,8%-დან 8%-მდე გაიზარდა. ბევრმა სტრუქტურამ განიცადა დანაკარგი. მორგანი კი კრიზისიდან მოგებით გამოვიდა: რაკი წინასწარ იცოდა მომავალი ჩამოშლის შესახებ, რომელიც თვითონ მოაწყო, მან ძვირად გაყიდა აქციები და შემდეგ იაფად შეიძინა საჭირო კომპანიების აქციები, რომლებიც აკლდა.** მოგებულიც დარჩა. მაგრამ ბანკირის მთავარი მოგება საზოგადოებრივი ნდობის კაპიტალი იყო. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ მორგანის ჩარევის შედეგად არ იქცა კრიზისი სრულმასშტაბიანად. 1908 წლის ივნისში ეკონომიკური მაჩვენებლები კვლავ იწევს. პრინსტონის უნივერსიტეტში „გმირ“ ბანკირს აშშ-ის უკვე ახალი პრეზიდენტი **ვუდრო ვილსონი** ადიდებს: „ჩვენს შეგვეძლო, აგვეცილებინა ყველა პრობლემა, თუ შევქმნიდით ჯეი პი მორგანის მსგავსი ექვსი-შვიდი სახელმწიფო მოხელისგან შემდგარ სპეციალურ კომიტეტს ჩვენი ქვეყნის პრობლემების გადასაჭრელად“.

სიტყვას საქმე მოჰყვა. იმისთვის, რომ გარკვეულიყვნენ უეცრად გაჩენილი კრიზისის მიზეზებში, შეიქმნა ეროვნული ფულადი კომისია (National Monetary Commission). მას დაევალა საბანკო სისტემაში არსებული მდგომარეობის შესწავლა და კონგრესისთვის რეკომენდაციების შემუშავება. რა თქმა უნდა, ძირითადად, კომისია „მხსნელი“ მორგანის მეგობრებითა და კოლეგებით იყო დაკომპლექტებული. თავმჯდომარედ სენატორი **ნელსონ ოლდრიჩი** აირჩიეს. კომისია საქმიანობას შეუდგა. იოლი მისახვედრია, რომ მისი საქმიანობის ძირითადი შედეგი ფინანსური სისტემის მარეგულირებელი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობის „გაცნობიერება“ და კრიზისების გამორიცხვა გახდა. შემდეგ შედგა ბანკირთა საიდუმლო შეხვედრა კუნძულ ჯეკილზე, სადაც მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დადგა ფსს-ის შექმნის მომენტი.

**ფედერალური სარეზერვო სისტემა წარმოადგინეს, როგორც ყველა ფინანსური უბედურების პანაცეა. ახალი ორგანო მხოლოდ იმით უნდა იყოს დაკავებული, რომ აკონტროლოს კომერციული ბანკები, თვალყური ადევნოს, რომ ისინი ბირჟაზე თამაშს არ შეყვნენ. მაკონტროლებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი...**

1913 წლის დეკემბერში ნელსონ ოლდრიჩის მიერ ლობირებული კანონპროექტი ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ ამერიკული სენატის წევრების წინაშე აღმოჩნდა. იმ კენჭისყრის დამღლელ დეტალებს არ ჩავუღრმავდები, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთმა ადამიანმა არ მისცა მას ხმა. „საშინელი“ გვარის მქონე სენატორმა **გილბერტ მ. ჰიჩკოკმა**, რომელიც ფინანსური რეგულატორის შექმნის აუცილებლობას დაეთანხმა, უეცრად შემოიტანა წინადადება კანონში შესწორებების შეტანის შესახებ. იგი სთავაზობდა, შეექმნათ ფედერალური სარეზერვო სისტემა არა როგორც კერძო, არამედ როგორც სახელმწიფო მონოპოლია. ფულის მიმოქცევაში ჩაშვების უფლება კვლავ ფინანსთა სამინისტროს ექნებოდა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ჰიჩკოკის შესწორებები არ დაკმაყოფილდა და კანონპროექტი სასწრაფოდ მიიღეს. აშშ-ის პრეზიდენტმა მას იმავე 1913 წელს მოაწერა ხელი, ზუსტად რომ ვთქვათ, წლის ბოლომდე დარჩენილ ერთ კვირაში.

**საშობაო ინდაურებთან და მორთულ ნაძვის ხეებთან მიმავალმა სენატორებმა ფინანსური ჭეშმარიტებების შესწავლაზე დიდად თავი არ შეიწუხეს. ისინი კი, ვისაც ესმოდა, როგორ ცვლილებას გამოიწვევდა აქტი ფედერალური რეზერვის შესახებ მსოფლიოს ისტორიაში, არწმუნებდნენ კოლეგებს მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში, ბანკირები კი საერთოდ აღფრთოვანებულები იყვნენ.**

„მთლიანობაში, ეს მშვენიერი კანონპროექტია და იგი ბევრს გააკეთებს იმისთვის, რომ საბანკო საქმე და ფულადი მიმოქცევა გაამყაროს“, – თქვა ედმუნდ დ. გილბერტმა, Merchants Loan and Trust Company-ის ვიცეპრეზიდენტმა.

იგი „მიგვიყვანს ელასტიკურ ფულად მიმოქცევასთან, რომელიც აგვაცილებს ამგვარ პანიკებს“, – უმტკიცებდა კოლეგას ვ. მ. გაბლისტონი, რიჩმონდის პირველი ეროვნული ბანკის თავმჯდომარე.

„ფინანსური კანონის შემოღება დადებითად იმოქმედებს სახელმწიფოზე და ასევე დაეხმარება ვაჭრობას. როგორც ჩანს, იწყება საყოველთაო ეკონომიკური აღორძინების ეპოქა,“ – ოპტიმიზმით საუბრობდა ოლივერ ჯ. სენდზი, ამერიკული ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

**გახსოვთ ხრუშჩოვის სიტყვები იმის თაობაზე, რომ 1980 წელს საბჭოთა ხალხი კომუნიზმში იცხოვრებს? ლამაზად ისმოდა, მაგრამ რეალურად სსრკ-ში არავინ აპირებდა ნამდვილი კომუნიზმის აშენებას.** ასევე, როდესაც ფსს-ს შექმნას ხოტბას ასხამდნენ ბანკირები, რეალობასთან კავშირი არ ჰქონდა. **ფედერალური სარეზერვო სისტემა იქმნებოდა არა მომავალ ფინანსურ კრიზისებთან საბრძოლველად, არამედ პირიქით — საჭირო მომენტში მათი ორგანიზებისთვის.** ოდესღაც ამერიკა ევროპელებმა დაიპყრეს ცეცხლსასროლი იარაღისა და ჭედური აბჯრის წყალობით, რომლებსაც ვერ აზიანებდა ინდიელთა შუბები და ისრები. ანალოგიურად, **მეოცე საუკუნის დასაწყისში ბანკირებმა მიიღეს ინსტრუმენტი, რომელის დახმარებითაც მათ შეეძლოთ, ჩამოეყალიბებინათ მმართველობა ამ კურთხეულ მიწაზე. როგორც კი დაეპატრონენ კონტროლს დოლარის გამოშვებაზე, ფედერალური სარეზერვო „საბეჭდი მანქანის“ საიდუმლო მფლობელებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, მოეყვანათ და შეეცვალათ პრეზიდენტები და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის სრული მანიპულაცია განეხორციელებინათ...**

რაიმის დამალვის საუკეთესო საშუალება მისი გამოსაჩენ ადგილზე დადებაა. ▶






მორგანის კარიკატურა



## BBC-მ მესამე მსოფლიო ომის მოდელირება გააკეთა

**ბრიტანულმა BBC-მ გადაიღო ფილმი „მესამე მსოფლიო ომი: საკომანდო ცენტრში“ რომელიც მესამე მსოფლიო ომის დაწყების მოდელირებაა.** ფილმის სცენარის მიხედვით, რუსეთის მიერ ნატოს წევრი ქვეყნის, ლატვიის ტერიტორიის მითვისებამ ნატო და რუსეთი ომის პირას მიიყვანა. სიუჟეტი ბრიტანეთის საკომანდო ცენტრში ვითარდება.






მსოფლიოს ვერც ერთი ბანკი ვერ გაუძლებს ისეთ სიტუაციას, როდესაც მისი ყველა მეანაბრე ერთდროულად მოითხოვს თავის ფულს. მაგრამ, თუ, კოლეგები ამ ბანკს, ამასთანავე, კრედიტზე უარს ეტყვიან და ვალების დაბრუნებას მოსთხოვენ, ფინანსური კრახი გარდაუვალია. დაახლოებით ასე იყო ორგანიზებული კრიზისი, რომელმაც 1907 წლის ფინანსური პანიკის სახელი მოიპოვა. მისი ანალიზის შედეგად აღმოაჩენთ ტკივილამდე ნაცნობ სურათს, ყველა მომავალი კრიზისის თანდაყოლილ ლაქებს. ისინი ერთმანეთს ტყუპისცალივით ჰგავს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ერთი და იმავე ეკონომიკური პრობლემითაა გამოწვეული, არამედ იმიტომ, რომ ორგანიზებულია მსგავსი მეთოდიკით.

# ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ფსს-ის შესახებ სრული ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო. არ იყო საჭირო „კონსპიროლოგიური“ მასალები — ქსელში არის ფედერალური სარეზერვო სისტემის ოფიციალური საიტი, უნდა ეწვიოთ, იქ ინგლისურად თეთრზე შავით წერია **www. federalreserve.gov.**

ადვილია ფსს-ის სასწავლო რესურსის პოვნაც: **www.federalreserve-education.org.**

შედით იქ, იპოვეთ მარცხენა მხარეს ბმული History, დაჭირეთ და დაინახავთ „კერძო კომპანიის“ შექმნის ისტორიაა და მისი გმირების პორტრეტებსაც კი: ჯეი პი მორგანისა და ნელსონ ოლდრიჩის. შემდეგ დააწექით ღილაკს Structure, თქვენ შემოგთავაზებენ, გააკეთოთ Structure Tour, ანუ პატარა ვირტუალური მოგზაურობა ფედერალურ რეზერვში. ხმა დინამიკიდან, დუბლირებადი წარწერები, დიქტორთა ჰოლივუდის ფანტასტიკური ფილმებიდან შემახსენებელი ხმები დაიწყებენ ამბის მოყოლას. ნახეთ, მოუსმინეთ. ფსს-ის არსებობა რთულად დასაჯერებელია. რთული წარმოსადგენია, რომ სამყარო ასეა მოწყობილი, მაგრამ ეს ფაქტია. უბრალოდ, უნდა იცოდეთ კითხვა, დანახვა და გაანალიზება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ექსკურსიის მეორე ფრაზა: The FED is mixture of public and private elements (ფსს არის საზოგადოებრივი და კერძო ელემენტების ნაზავი).

**თვით ფედერალური რეზერვიც კი არ ამბობს იმას, რომ სახელმწიფო სტრუქტურაა. რა თქმა უნდა, მისი ჭეშმარიტი არსი არ იმალება. „ნაზავი“ და — მორჩა. ხოლო როგორია ამ ნაზავში „კერძოსა“ და „სახელმწიფოს“ პროცენტები, არსად წერია...**

ყველაფერი ბანალური და მარტივია, მიუხედავად ჩახლართული სისტემისა. ფედერალური რეზერვის შექმნამდე დიდი ხნით ადრე ანტიკური პოეტი **ვირგილიუსი** ამბობდა: „რას არ გააკეთებინებს ხალხის ხარბ სულებს, ოქროს წყურვილო“. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა.

ახლა კი სხვა რამეზე გადავერთოთ. რთულია ჩვენი პლანეტის მაღალ მატერიებსა და ფინანსურ მწვერვალებზე საუბარი. ისინი შორეულია, ნაკლებად გასაგებია და ძალიან გვაგონებს იაფფასიან დეტექტივს. არის მარტივი, გასაგები და ყველასთვის ცნობილი რაღაცებიც, ისეთი, როგორც მწვანე „ამერიკული“ დოლარი. ამ თავის დასაწყისში იგი ყურადღებით დავათვალიერეთ და დავრწმუნდით რომ, ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. აშშ-ის დოლარი არ ეკუთვნის აშშ-ს, მაგრამ ამით საოცრებები არ მთავრდება. ახლა ამაში თქვენც დარწმუნდებით.

**რა თანხის დოლარის კუპიურები იცით?**

**ჩვეულებრივ ამბობენ: 1, 5, 10, 20, 50, 100.**

ყველაფერი სწორია. საქმეში უფრო ჩახედული მომხმარებლები ამატებენ იშვიათ ორდოლარიან კუპიურას. იგი ნუმიზმატურ იშვიათობად ითვლება და, მცოდნე ადამიანის ხელში ჩავარდნისას, მიმოქცევიდან იკარგება.

კიდევ როგორი დოლარის კუპიურები იცით?

ამ კითხვაზე ძალიან ცოტა ახერხებს პასუხის გაცემას. **არის ბანკნოტები, რომელთა არსებობის შესახებაც უმრავლესობამ თურმე არაფერი იცის. ესაა 500, 1000, 5000, 10 000 და 100 000-ანი კუპიურები. მათ შესახებ არავინ არაფერი იცის ძალიან მარტივი მიზეზის გამო: მათი გატანა აშშ-დან ქვეყნის სავალუტო კანონმდებლობით იკრძალება. 100 000 დოლარის ღირებულების ბანკნოტები (1934 წლის გამოშვების ოქროს სერტიფიკატი) არასოდეს ყოფილა ჩვეულებრივ მიმოქცევაში და მათ იყენებდნენ მხოლოდ ფედერალურ სარეზერვო ბანკებს შორის ანგარიშსწორებისთვის. მხოლოდ ერთეულებს უნახავთ იგი.**

**და იცით რა, უფრო სწორად, ვინაა გამოსახული დოლარის ყველაზე მსხვილ ბანკნოტზე? ვისი პორტრეტია 100 000 დოლარიან კუპიურაზე?** ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთული არ იქნება, თუ გაიხსენებთ, რომ შეერთებული შტატების ფულს სახელმწიფო არ ბეჭდავს. ფედერალურ სარეზერვო სისტემას თავისი გმირები, ფასეულობათა შკალა, თავისი „საყვარელი ხალხი“ ჰყავს ამერიკის ისტორიის „ულრან ტყეში“.

**ასი ათასი დოლარის ღირებულების ბანკნოტზე, რომელიც უმაღლეს ნომინალს წარმოადგენს, აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი ვუდრო ვილსონია გამოსახული**. აშშ-ის სწორედ ის პრეზიდენტი, რომელმაც ფედრეზერვის აქტს მოაწერა ხელი და შექმნა ფსს. ფედერალური სარეზერვო „საბეჭდი მანქანის“ აზრით, სწორედ ისაა ამერიკის ისტორიის უდიდესი მოღვაწე. განა მხოლოდ ამერიკის! რადგან ვუდრო ვილსონი გამოსახულია ბანკნოტზე, რომელსაც ისტორიაში ყველაზე დიდი ფასი აქვს, იგი ყველა დროისა და ხალხის „ყველაზე ადამიანური ადამიანია“.

აი, ასე – დაიწყებ „საგვარეულო“ პორტრეტების შესწავლას და ძალიან საინტერესო აღმოჩენებს გააკეთებ...

**გაგრძელება იქნება**

**არის ბანკნოტები, რომელთა არსებობის შესახებაც უმრავლესობამ თურმე არაფერი იცის. ესაა 500, 1000, 5000, 10 000 და 100 000-იანი კუპიურები. მათ შესახებ არავინ არაფერი იცის ძალიან მარტივი მიზეზის გამო: მათი გატანა აშშ-დან ქვეყნის სავალუტო კანონმდებლობით იკრძალება. 100 000 დოლარის ღირებულების ბანკნოტები (1934 წლის გამოშვების ოქროს სერტიფიკატი) არასოდეს ყოფილა ჩვეულებრივ მიმოქცევაში და მათ იყენებდნენ მხოლოდ ფედერალურ სარეზერვო ბანკებს შორის ანგარიშსწორებისთვის. მხოლოდ ერთეულებს უნახავთ იგი. ასი ათასი დოლარის ღირებულების ბანკნოტზე, რომელიც უმაღლეს ნომინალს წარმოადგენს, აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი ვუდრო ვილსონია გამოსახული**



უოლ სტრიტი 1907 წლის ოქტომბერს, საბანკო პანიკის დროს

**23 ოქტომბერს დაიწყო პანიკა Trust Company of America-ში, ქვეყნის სიდიდით მეორე ტრესტში: დღე-ღამეში 60 მილიონი დოლარის აქტივებიდან 13 მილიონი გაიცა. 1907 წლის 24 ოქტომბერს კრიზისი ნიუ იორკის საფონდო ბირჟას გადაედო. ბანკები, საბროკერო ოფისები და ტრესტები (არა მხოლოდ ნიუ იორკში, არამედ მთელ ქვეყანაში) ერთმანეთის მიყოლებით კოტრდებოდა და იხურებოდა. ამ დღეს 7 ბანკი გაკოტრდა**



## 5 მარტს დედამიწას ასტეროიდი ჩაუქროლებს

**დედამიწას უახლოვდება ასტეროიდი, რომელიც დედამიწასთან ახლო მანძილზე, 17 ათას კილომეტრზე, 5 მარტს ჩაიფრენს.** ამ ასტეროიდმა დედამიწას ორი წლის წინათ 2 მილიონი კილომეტრის დისტანციაზე უკვე აუარა გვერდი. NASA-ს მეცნიერების თქმით, ასტეროიდის დედამიწასთან შეჯახების შანსი 5 მარტს არ არსებობს. ეს ასტეროიდი დედამიწას 2046 და 2097 წელსაც ჩაუფრენს.



## საფრანგეთში სუპერმარკეტებს პროდუქტების გადაყრა აუკრძალეს

**საფრანგეთში სუპერმარკეტებს იმ პროდუქტების გადაყრა აეკრძალათ, რომლებიც არ გაიყიდა.** კანონის დამრღვევი მაღაზიის მფლობელები 75 ათასი ევროთი დაჯარიმდებიან ან 2 წლით თავისუფლების აღკვეთით დაისჯებიან. საფრანგეთში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც სუპერმარკეტებს მაღაზიის დახლზე დარჩენილი, საკვებად ვარგისი სასურსათო პროდუქტის გადაყრას უკრძალავს. კანონის თანახმად, სუპერმარკეტები ვალდებული იქნებიან, გაუყიდავი პროდუქტი საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და კვების ბანკებს გადასცენ. საფრანგეთის სენატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კანონს. სტატისტიკის თანახმად, საფრანგეთის ერთი მცხოვრები წელიწადში საშუალოდ 20-დან 30-მდე კგ-მდე საკვებს ყრის. საერთო ჯამში კი, ნაგავსაყრელზე წლის განმავლობაში 13,4-22,4 მილიარდი ევროს პროდუქტი იყრება. გაეროს მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული ყველა სახის საკვები პროდუქტის მესამედი — 1,3 მილიარდი ტონა იყრება, რომელიც ჯამში 750 მილიარდ დოლარს უდრის.

მოკლედ



## ვირუსი ზიკა ევროპაშიც შეიჭრა

**ესპანეთმა დაადასტურა ინფორმაცია, ქვეყანაში ვირუსით ზიკა ინფიცირების შემთხვევის შესახებ. ვირუსი ფეხმძიმე ქალს აქვს, რომელიც ცოტა ხნის წინათ კოლუმბიაში მოგზაურობდა. სავარაუდოდ, იგი სწორედ კოლუმბიაში დაინფიცირდა.** ესპანეთის ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, ქალი კატალონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში იმყოფება. მის გარდა, ესპანეთში ამ ვირუსთი დაავადების კიდევ ექვსი შემთხვევა აღირიცხა. ყველა ადამიანი ქვეყნის გარეთ დაავადდა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სამინისტროს განცხადებით, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების არანაირი საშიშროება არ არსებობს, რადგან ინფიცირების ყველა შემთხვევა ქვეყნის გარეთ მოხდა.



ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინტუიცია თანდაყოლილი უნარია, ისევე, როგორც ენების შესწავლის, აზროვნების ან მუსიკის აღქმის ნიჭი. ინტუიცია არ არის ტალანტი, რომლითაც ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილია დაჯილდოებული; ეს ნებისმიერი გონებრივი, ემოციური თუ ფსიქიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ადამიანი ყოველ წუთს ინტუიციურად იღებს ინფორმაციას, თუმცა ვერ აცნობიერებს ამას.**

# ზოგი რამ ინტუიციის შესახებ

**ინტუიცია ადამიანისთვის დამახასიათებელი აზროვნების ფორმაა, განსაკუთრებული უნარი, რომელიც, ცდისა და ლოგიკური აზროვრებისაგან დამოუკიდებლად, უშუალოდ წვდება ჭეშმარიტებას. სიტყვა ინტუიცია ლათინური წარმომავლობისაა და ნიშნავს ხედვას, ჭვრეტას, ხილვას.**

არსებობს ინტუიციის სხვადასხვა ფორმა: გრძნობადი, ინტელექტუალური, ემოციური და მისტიკური. გრძნობადი ინტუიცია გრძნობად კონკრეტულ სინამდვილეს ეხება, ინტელექტუალური ინტუიცია — ზოგად ცნებებს, ემოციური ინტუიცია — სუბიექტურ განცდებს, ხოლო მისტიკური ინტუიცია — ღმერთების შემეცნებას ახორციელებს.

ინტუიცია შეგვიძლია მივიჩნიოთ ადამიანის უნარად, ყველანაირი ახსნა-განმარტების გარეშე შეძლოს იმ მოვლენის შეგრძნება, რომელიც ჯერ არ მომხდარა. ალბათ, ყველას ჰქონია ოდესმე რაღაც გაურკვეველი ცუდი ან კარგი განცდა, როდესაც ვერ პოულობ უმიზეზო აფორიაქების, დაძაბულობის, ნერვიულობის, აღტაცების, სიხარულის ახსნას და ცოტა ხანში რაღაც ცუდი ან კარგი, რაც ამ წინასწარ გაჩენილ გრძნობას გაამართლებდა, მართლაც მომხდარა.

**ინტუიცია არის შუალედური შედეგების უგულებელყოფით სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. ინტუიციური გადაწყვეტილება უმრავლესს შემთხვევაში შეიძლება წარმოიქმნას სპონტანურად. ინტუიციას არ აქვს ლოგიკური ახსნა. ადამიანი, უბრალოდ, გრძნობს, რომ არსებული პრობლემის ან საკითხის გადასაწყვეტად ინტუიციის კარნახით მიღებული პასუხი სწორი იქნება.**

ინტუიცია თანდაყოლილი უნარია, ისევე, როგორც ენების შესწავლის, აზროვნების ან მუსიკის აღქმის ნიჭი. ინტუიცია არ არის ტალანტი, რომლითაც ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილია დაჯილდოებული; ეს ნებისმიერი გონებრივი, ემოციური თუ ფსიქიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ადამიანი ყოველ წუთს ინტუიციურად იღებს ინფორმაციას, თუმცა ვერ აცნობიერებს ამას.

ჩვენ ვიყენებთ ინტუიციას ყველა პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებისას — დაწყებული ყველაზე მარტივით (მაგალითად, რა მივირთვათ სადილად) და დამთავრებული ყველაზე რთულით (რა პროფესია ავირჩიოთ, ვის დავუკავშიროთ ჩვენი ცხოვრება). დავუშვათ, დღეს ვახშმობას ჩვეულებრივზე გვიან აპირებთ. მოულოდნელად თქვენი თვალთახედვის არეში ხვდება კომბოსტო, თუმცა მისი მომზადება მაინცდამაინც არ გიყვართ. მიუხედავად ამისა, სწორედ მისგან ამზადებთ კერძს, ვახშმად კი კმაყოფილი დედისგან გესმით: „როგორ მიხვდი, რომ დღეს სწორედ ეს კერძი მესიამოვნებოდა?“

**ინტუიციას ადამიანის მეექვსე გრძნობად მიიჩნევენ. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ინტუიციის კარნახით ერთხელ მაინც არ ემოქმედოს, თუმცა ეს მეექვსე გრძნობა, რომელიც ადამიანის დამხმარედ ითვლება, ყოველთვის არ ამართლებს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტუიცია უმეტესწილად სიმართლეს გვკარნახობს.**

პარაფსიქოლოგების აზრით, ადამიანი თავისდაუნებურად აგროვებს ინფორმაციას მის გარშემო. შემდეგ ეს შეიძლება გადაიზარდოს ისეთ გრძნობაში, თითქოს რაღაც ისეთი ვიცით, რაც, წესით, არ უნდა ვიცოდეთ.

**ინტუიციაზე დაყრდნობა შეიძლება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, თუკი, რა თქმა უნდა, ხედავთ სხვაობას ინტუიციასა და სურვილს შორის. სურვილი არის ის, რაც გვინდა. ინტუიცია კი ქვეცნობიერი ანალიზის შედეგია. ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული ცნებაა.**

ნეოფსიქოლოგიურ თეორიაში აღნიშნულია, რომ ინტუიცია ყველას ეხმარება, მაგრამ არსებობს დარგები, რომლებშიც მხოლოდ მასზე დაყრდნობა არ შეიძლება (მაგალითად, საბუღალტრო ანგარიში და პროგრამირება). ასეა თუ ისე, დიდწილად ინტუიცია შესანიშნავი კომპასია, რომელიც გვეხმარება ისე ვმართოთ ცხოვრება, რომ ის უკეთ შეესაბამებოდეს ჩვენს მოთხოვნებს, სურვილებსა და ცოდნას.

ხანდახან ამბობენ, რომ ინტუიცია ცხოველური ინსტინქტების ადამიანური ეკვივალენტია. ინსტინქტი ცხოველებს აიძულებს ფიქრის გარეშე იმ მოქმედებას, რომელიც მათ სახეობას შეესაბამება და მათ მოთხოვნილებებს პასუხობს. ბუნებამ ყველა ცხოველს მისცა თვითგადარჩენის ინსტინქტი, მაგრამ ყველა სახეობას საკუთარი ინსტინქტები აქვს. ცხოველთა ქმედებებს ინსტინქტები განსაზღვრავს.

**რაც შეეხება ადამიანს, ჩვენი გაუცნობიერებელი და გაუაზრებელი ქმედებები, როგორც ჩანს, ახლოსაა ინტუიციასთან. როდესაც ადამიანი განსაკუთრებულ სიტუაციებში ხვდება, ხშირად გვესმის, რომ მასზე ამბობენ: „მას უფრო ინსტინქტი ამოძრავებდა, ვიდრე გონება“. შესაძლოა, ეს ჩვენი ცხოველური არსის ნარჩენებია.**

მთელი მსოფლიოს მეცნიერები ცდილობენ, გაარკვიონ, საიდან მოდის ინტუიციური ცოდნა. დღეს ისინი მხოლოდ ერთ რამეზე თანხმდებიან (თუმცა, არც ეს ხდის ფარდას საიდუმლოს): ეს არის მატერიის აბსოლუტურად ახალი ფორმა. მას სხვადასხვანაირად უწოდებენ: ნოოსფერო, კოლექტიური გონი, კოლექტიური ქვეშემეცნება.

მოცემული თეორიის თანახმად, მატერიალურია ცნობიერებაც, აზრებიც, გრძნობებიც, ადამიანების მთელი გამოცდილება ინახება თავისებურ „ბიბლიოთეკაში“, საიდანაც ნებისმიერს შეუძლია მისთვის საინტერესო ცნობების აღება.



**ინტუიციას უნდა უმადლოდნენ აღმოჩენებს აინშტაინი, ედისონი, მარკონი და ჰენრი ფორდი. ქიმიკოს ფრიდრიხ კეკულეს ბენზოლის კლასიკური ფორმულა დაკლაკნილი გველის დანახვამ უკარნახა, ჩვეულებრივი აბლაბუდას ქსელი გახდა ინჟინერ ბრაუნის შთაგონების წყარო, რომელმაც დაკიდული ხიდი გამოიგონა**

„მოთხოვნის“ გაგზავნა ასე ხდება: თავიდან ადამიანი აზროვნებს ყოველდღიურ, მატერიალურ სიბრტყეში, ეყრდნობა რა ლოგიკას. შემდეგ მოულოდნელად ეფლობა საინფორმაციო ველში და იღებს პასუხს – რადგან იქ, შეუცნობელ „საცავში“, ყველაფერია ცნობილი წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. პრობლემა ისაა, რომ ყველას არ შეუძლია მოისმინოს და გაშიფროს გზავნილი ნახევარფრაზებისა და ნახევარმინიშნებების სამყაროდან.

## ინტუიცია ყველას აქვს

ინტუიციის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ სოკრატეს პერიოდიდან იცოდნენ. ძველბერძენი მოაზროვნე აღნიშნავდა, რომ ცხოვრებაში იგი მიჰყვებოდა რაღაც ხმას, რომელიც აკავებდა ამა თუ იმ საქციელისგან.

**ინტუიციას უნდა უმადლოდნენ აღმოჩენებს აინშტაინი, ედისონი, მარკონი და ჰენრი ფორდი. ქიმიკოს ფრიდრიხ კეკულეს ბენზოლის კლასიკური ფორმულა დაკლაკნილი გველის დანახვამ უკარნახა, ჩვეულებრივი აბლაბუდას ქსელი გახდა ინჟინერ ბრაუნის შთაგონების წყარო, რომელმაც დაკიდული ხიდი გამოიგონა. ხოლო ჯორჯ სოროსი წელში მოულოდნელი ტკივილების შეტევისას ხვდებოდა, რომ სიტუაცია იმჟამად მის სასარგებლოდ არ აეწყობოდა.**

სატრანსპორტო საშუალებათა კატასტროფების მშრალი სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ტრანსპორტი, რომელმაც კატასტროფა განიცადა, პრაქტიკულად ყოველთვის 61%-ით იყო სავსე. ვიღაც ცუდად გახდა, ვიღაცამ დაიგვიანა, ვიღაცამ, უბრალოდ, გადაიფიქრა წასვლა შინაგანი იმპულსის ძალით.

* ლეგენდარული **ფროიდის** მოსწავლე **კარლ იუნგი** ისეთ ადამიანებს, რომლებსაც „შინაგანი ხმა“ აქვთ, კულტურის ავანგარდად მიიჩნევდა. ეს ბედნიერები ისწრაფვიან კომპეტენტურობისკენ, ეფექტურობისკენ ყველაფერში და ამასთანავე, ნებისმიერ სამუშაოს ისე აღიქვამენ, როგორც თამაშს. საერთოდ კი, არ არსებობს პლანეტაზე ადამიანი, რომელსაც ინტუიცია არ აქვს.

* **აგათა კრისტი** ამბობდა, რომ ქალები გაუცნობიერებლად ამჩნევენ ათასობით წვრილმან დეტალს, გაუცნობიერებლად აკავშირებენ მათ ერთმანეთთან და ამას ინტუიციას უწოდებენ.

*** ქალებს ინტუიცია უფრო მეტად აქვთ განვითარებული, ვიდრე მამაკაცებს. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ კაცები ლოგიკურად აზროვნებენ და ქალები — ინტუიციურად.**

ბრიტანელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ქალს ზუსტად 45 წუთი სჭირდება იმისთვის, გაარკვიოს, შეეფერება ახალგაცნობილი მამაკაცი თუ — არა. ჯერ მას თვალებში უყურებს, კეთილია თუ არა — თვალები ხომ ადამიანის სულის სარკეა. მთავარია, ამ სარკეში ჩახედვა და ანარეკლის დანახვა შეგეძლოს. ქალი აკვირდება და მაშინვე ამჩნევს ყველაფერს: როგორ აცვია კაცს, ჭკვიანია თუ არა, როგორი ხელები და როგორი მანერები აქვს.

მიუხედავად ქალური ინტუიციის შესახებ გავრცელებული ცრურწმენისა, სინამდვილეში ინტუიცია სქესზე დამოკიდებული არ არის, უბრალოდ, მამაკაცები, ძირითადად, რაციონალურ აზროვნებას უცხადებენ ნდობას, ქალები კი უფრო ხშირად უსმენენ შინაგან ხმას და უფრო მეტად ენდობიან მას.

## ინტუიციის ენა

ინტუიციის ეფექტიანად გამოყენება ნიშნავს, მის მიერ მოწვდილი ინფორმაცია ჩვენმა ცნობიერებამ ჩვენთვის გასაგებ ენაზე თარგმნოს. იმისთვის, რომ ეს არაცნობიერი პროცესი კონტროლს დავუქვემდებაროთ, საჭიროა, ვიმუშაოთ საკუთარ თავზე.

რატომ არ გვესმის ყველას ყოველთვის ინტუიციის ნაკარნახევი? იმიტომ, რომ ის სხვა ენაზე ლაპარაკობს. წარმოდგენები, რომლებსაც ის ქმნის, ხშირად სიმბოლური და ფრაგმენტულია. ინტუიცია დასრულებული წინადადებებით იშვიათად გვესაუბრება. ადამიანი ხშირად იყენებს „მეექვსე გრძნობას“ ემოციური კონტაქტების სფეროში. მაგალითად, როცა შიშობთ, რომ, შესაძლოა, შემცირების გამო სამუშაო ადგილი დაკარგოთ, თქვენ თითქოს აამუშავებთ ინტუიციურ ანძებს, რომლებიც მიმართულია საფრთხის ნიშნების ალმოსაჩენად. ექიმები გაუცნობიერებლად იყენებენ ინტუიციას დიაგნოზის დასმისას, ხოლო ბიზნესმენები — ინვესტიციებიდან მოსალოდნელი მოგების შეფასებისას.

ცნობილია შემთხვევა, როცა ერთმა მსახიობმა ქალმა გადაღების დროს უარი თქვა ფინჯან ყავაზე. მან იგრძნო, რომ ყავის ხსენებისას რაღაც უცნაური განცდა დაეუფლა, ამიტომ არ დალია ის, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დღეს ყოველთვის ტკბილი რძიანი ყავით იწყებდა. მალე მთელი გადამღები ჯგუფი დიზენტერიით დაავადდა — როგორც ჩანს, რძე, რომელიც ყავას დაამატეს, ავადმყოფი ძროხისა იყო. მსახიობი ქალი კი ავადმყოფობას გადაურჩა, რადგან, თუმცა ყავაზე უარის სათქმელად ობიექტური მიზეზი არ ჰქონდა, ინტუიციას ენდო.

## ანალიზი, ინტუიცია და წინათგრძნობა

ხშირად ინტუიციას წინათგრძნობასთან აიგივებენ, მაგრამ მათ შორის არის განსხვავება. ინტუიცია უფრო პირდაპირი ცოდნაა, წინათგრძნობა კი განსაკუთრებული უნარია იმის განცდისა, რაც ჯერ არ მომხდარა. ინტუიცია თავის თავში შეიცავს წინათგრძნობას, რადგან ინტუიციაში იგულისხმება მომავალის მომენტალური აღქმა.

ამის გარდა, **წინათგრძნობა უფრო დაკონკრეტებული განცდაა: თქვენ ხვდებით, რომ რაღაც მოხდება. ინტუიცია უფრო ზოგადია და მისი დამხარებით შეგიძლიათ გამოიკვლიოთ თქვე-** ▶

**ბრიტანელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ქალს ზუსტად 45 წუთი სჭირდება იმისთვის, გაარკვიოს, შეეფერება ახალგაცნობილი მამაკაცი თუ — არა. ჯერ მას თვალებში უყურებს, კეთილია თუ არა – თვალები ხომ ადამიანის სულის სარკეა. მთავარია, ამ სარკეში ჩახედვა და ანარეკლის დანახვა შეგეძლოს. ქალი აკვირდება და მაშინვე ამჩნევს ყველაფერს: როგორ აცვია კაცს, ჭკვიანია თუ არა, როგორი ხელები და როგორი მანერები აქვს.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ნი შესაძლებლობები, მომავლის ვარიანტები. წინათგრძნობა, როგორც წესი, შეეხება კონკრეტულად რომელიმე მოვლენას (ან მოვლენათა ჯგუფს). ვთქვათ, თქვენ გაქვთ, წინათგრძნობა, რომ ხვალ ქალაქგარეთ არ უნდა წახვიდეთ, რადგან იცით, რომ რაღაც ცუდი მოხდება.**

ბევრს სჯერა, რომ ემოციური გზავნილის სამყაროში გაგზავნა და შემდეგ მისი ტელეპატიურად აღქმა ადამიანებისთვის სრულიად შესაძლებელი და რეალური ფაქტია. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად უკვე მეცნიერებიც ეთანხმებიან.

სასექსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ განგაშის განცდა ადამიანს უბიძგებს, გადაწყვეტილების მიღებისას ანალიზს დაეყრდნოს და არა ინტუიციას.

**ინტუიციაზე დაყრდნობა ნიშნავს საკუთარი თავის რწმენას, როდესაც არ გეშინია, გაკვალულ გზას გადაუხვიო ან წახვიდე უმრავლესობის მოსაზრების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ყურს უგდებს ყველა თავის განცდას, და მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს საკუთარ გარემოსთან. ამის შედეგად, მას შეუძლია, დაინახოს ისეთი რამ, რაც ერთი შეხედვით შეუმჩნეველია.**

თუკი ადამიანს საკუთარი თავის რწმენა აკლია, ის არ დაუგდებს ყურს ამ შინაგან ხმებს და შეეცდება მის ჩახშობას შეცდომის დაშვების ან იმის შიშით, რომ ბრიყვის შთაბეჭდილება არ დატოვოს.

როდესაც რამდენიმე შემოთავაზებიდან ერთ-ერთი ვარიანტი უნდა ავირჩიოთ, ხშირად გვირჩევენ ხოლმე, ვენდოთ ინტუიციას.

**ნეირობიოლოგთა მტკიცებით, ინტუიცია ყველა ჩვენგანისათვის დამახასიათებელი აზროვნების ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ მისი გაწვრთნა და განვითარება შეიძლება, მაგრამ ამისათვის, პირველ რიგში, საკუთარი თავის უნდა გვჯეროდეს.**

ჩვენი ტვინის რაციონალური ნაწილი პასუხისმგებელია სწავლაზე, მაშინ როდესაც მისი ის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია ემოციებზე, დამოკიდებულებებსა და ადაპტაციაზე, გვაძლევს დამკვიდრებული ლოგიკური ფორმებისგან გადახვევის შესაძლებლობას. ინტუიცია დაკავშირებულია ჩვენს უნარებთან, მოვიფიქროთ პასუხები და გადაწყვეტილებები პროგნოზირებადი ლოგიკის მიღმა. თუკი მიგაჩნიათ, რომ პასუხებიდან ერთ-ერთი ყველაზე ცხადია, ეს ნიშნავს იმას, რომ ინტუიცია გიმუშავებთ.

## მოუსმინეთ საკუთარ თავს

ინტუიციის განვითარება მოითხოვს აზროვნების „რეკონსტრუქციას", სამყაროს ცოტა სხვა კუთხით აღქმას. რეალურად ინტუიციის გაზომვა ძალიან ძნელია, ლოგიკური ტესტებისა და ცდების ჩატარება შეიძლება შეეხოს ინტუიციური ცოდნის მხოლოდ დამტკიცებულ მხარეს და ეს აისბერგის მხოლოდ წვეროა.

ინტუიციის რეალურად შესწავლა ძალიან ძნელია, ფაქტობრივად, შეუძლებელიც, თუმცა პარაფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ წელიწადის განმავლობაში არის დღეები, როცა ადამიანებში ინტუიცია გამძაფრებულია და მის კარნახს ბევრი ენდობა.

**ბევრს არ სჯერა, რომ წლის გარკვეულ პერიოდში ადამიანებში გამძაფრებულია ტელეპათიური და წინასწარმეტყველური ნიჭი. ამ დროს შეიძლება ისეთი რამ თქვა, რაც შემდეგ ახდება და ამით თავად დარჩე გაკვირვებული. მსგავსი რამ ბევრს დამართნია, მაგრამ ეს უბრალო დამთხვევად ჩაუთვლია. პარაფსიქოლოგები კი თვლიან, რომ დამთხვევა არაფერ შუაშია — ამ პერიოდში თქვენი წინასწარმეტყველური ნიჭი და ტელეპათიური უნარი გამძაფრებული იყო.**

ამგვარი გამძაფრება, ძირითადად, იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ადამიანს უნდება ყველასგან შორს იყოს, განმარტოვდეს, ფიქრობს განვლილ ცხოვრებაზე და აანალიზებს წარსულში მომხდარ დეტალებს, საკუთარ თავში იკეტება და სიმშვიდეს მხოლოდ ფიქრში განიცდის.

ინტუიციის „ბიბლიოთეკაში" მოსახვედრი აბონემენტის მიღება არც ისე რთულია, საჭიროა მხოლოდ რამდენიმე წესის დაცვა.

გაიხსენეთ მთავარი წარმატებები თქვენს ცხოვრებაში და განცდები, რომლებიც წინ უსწრებდა ყოველ ტრიუმფს. გამარჯვების წინა დღეს აუცილებლად კარგ განწყობაზე იქნებოდით, თითქოს ფრთაშესხმული ან თავდაჯერებული იყავით და საიდანღაც იცოდით, რომ ყველაფერი გამოგივიდოდათ. გრანდიოზული ჩავარდნის წინა დღეს კი დიდი ალბათობით ნერვიულობდით და წუხდით საიდანღაც გაჩენილი აპათიის, გაურკვეველი შიშის გამო და არ გსურდათ საქმეზე ხელის მოკიდება. ყოველი სერიოზული მოვლენის წინ ადამიანი იღებს ინფორმაციას „ზემოდან" კომფორტული ან დისკომფორტული მდგომარეობის სახით.

**იმისათვის, რომ განავითაროთ წინათგრძნობა, გაითავისეთ ერთი რიტუალი: წარმოსახვაში დახატეთ სურათი — მთელი თქვენი მოქმედებები ასახეთ. რა გელოდებათ — საქმიანი მოლაპარაკებები? ეცადეთ, საკუთარი თავი გვერდიდან დაინახოთ: შედიხართ ოფისში, ხვდებით პარტნიორს, რას გრძნობთ: სიხარულს? შიშს? საფრთხეს? მოწყენილობას? სიცარიელეს? მალე დარწმუნდებით, რომ ეს პატარ-პატარა წარმოსახვითი განცდები თითქმის არასდროს გატყუებს.**

ფროიდი თვლიდა, რომ არ შეიძლება ადამიანს შემთხვევით წამოსცდეს რაიმე და ეს უმნიშვნელო იყოს. მაგალითად, თუკი საუბარში საერთო ნაცნობის გახსენებისას ამბობთ, რომ ის კარგი აფერისტია, სინამდვილეში კი ამის თქმას სულაც არ აპირებდით, რადგან ადრესატის საწინააღმდეგო მართლაც არაფერი გაქვთ, უნდა იცოდეთ, რომ ეს ინტუიციაა.

**იმისათვის, რომ განავითაროთ წინათგრძნობა, გაითავისეთ ერთი რიტუალი: წარმოსახვაში დახატეთ სურათი — მთელი თქვენი მოქმედებები ასახეთ. რა გელოდებათ — საქმიანი მოლაპარაკებები? ეცადეთ, საკუთარი თავი გვერდიდან დაინახოთ: შედიხართ ოფისში, ხვდებით პარტნიორს, რას გრძნობთ: სიხარულს? შიშს? საფრთხეს? მოწყენილობას? სიცარიელეს? მალე დარწმუნდებით, რომ ეს პატარ-პატარა წარმოსახვითი განცდები თითქმის არასდროს გატყუებს**



ჩვეულებრივი ადამიანის თავში ქაოსი მეფობს. როცა მას ღვიძავს, ყოველწამიერად ებრძვის ფიქრების, მელოდიების, შინაგანი დიალოგების შემოტევას. სცადეთ 10-15 წუთის განმავლობაში მისდიოთ ინფორმაციის დინებას. გააანალიზეთ, როგორი აზრები გიტრიალებთ თავში და დაფიქრდით, რისი თქმა უნდოდა თქვენთვის ქვეშეცნეულს? ყურადღების გარეშე ნუ დატოვებთ შემთხვევით მოქმედებებსაც: როცა საუბარი მიდის მომავალ მოვლენაზე ან კონკრეტულ ადამიანზე, შემთხვევით ღვრით ჩაის, იწვავთ ხელს, ხელიდან გივარდებათ ლარნაკი. ეს ყველაფერი კი, შემთხვევითობა კი არა, ნიშნებია, რომლებსაც საკუთარი ინტუიცია გაწვდით.

ადამიანი განსაკუთრებით კარგად გრძნობს იმ მოვლენებს, რომლებიც მის ახლობლებს უნდა შეემთხვას.

მსოფლიოს კინოსცენარისტებს უყვართ ისეთი სიუჟეტები, რომელთა მთავარი გმირი გარშემორტყმულია ნიშნებით და სიმბოლოებით, რომლებიც მიუთითებენ, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ მათ ამა თუ იმ საკითხზე. თქვენც, ალბათ, არა ერთხელ შეგინიშნავთ სიგნალი-მინიშნებები: იმ წიგნის სახელწოდებამ, რომელსაც თქვენი თანამგზავრი კითხულობდა მატარებელში, თავბრუდამხვევი რომანი გიწინასწარმეტყველათ ან სარეკლამო სლოგანმა სწორი გადაწყვეტილება გიკარნახათ.

**თუ ყველაფერში დაშიფრული მინიშნებების ძებნას დაიწყებთ, შეიძლება გაგიჟდეთ, ამიტომ მოინიშნეთ განსაზღვრული დრო, მაგალითად, ხუთშაბათი — 14-დან 15 საათამდე და დააჯერეთ საკუთარი თავი, რომ ამ შუალედში მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, არ აქვს მნიშვნელობა როგორი სახით — საუბრის ნაწყვეტებით, რადიოთი მოსმენილი მელოდიით თუ სხვ. მოახდინეთ მოსმენილ-გაგონილის აკუმულირება და სცადეთ, გამოიცნოთ, სახელდობრ რაზე მიგანიშნებთ ინტუიცია.**

ფსიქოლოგ სილვიან **ბარტ ლიბერჩის** აზრით, როდესაც ადამიანი თავის შინაგან ხმას უსმენს, ეს მისი გრძნობების გამძაფრებას იწვევს და იწყებს იმის შემჩნევას, რისთვისაც თავდაპირველად ყურადღება არ მიუქცევია.

საკუთარი თავის მოსმენა რომ ვისწავლოთ, საჭიროა, ზოგჯერ მიმდინარე მოვლენებისგან დაისვენოთ, თავიდან მოიშოროთ უსარგებლო აზრები და საკუთარ თავთან მარტო დარჩეთ. სტატისტიკის თანახმად, ინტუიცია ყველაზე მეტად ინტროვერტებს აქვთ განვითარებული. „ინტუიციის ხელოვნების" ავტორის — სოფი ბირნჰამის თქმით, ყოველდღიური საქმეებით დატვირთული, ლოგიკურ დასკვნებსაც კი ვერ აკეთებ, ამის მერე რა უნდა ვთქვათ ინტუიციის სუსტ ხმაზე.

მთავარი განსაკუთრებულობა იმ ადამიანებისა, რომელთაც ინტუიცია აქვთ განვითარებული, არის ის, რომ დეტალებს აქცევენ ყურადღებას. მათ შესაძლოა, დაავიწყდეთ მნიშვნელოვანი თარიღები, მთელი კვირის გეგმები, მაგრამ აუცილებლად ემახსოვრებათ, რომ, როდესაც წიგნს ხურავდნენ, ერთი ფურცელი გადაიკეცა; ან კიდევ იმას შეამჩნევენ, რომ კოლეგას ჰალსტუხი სხვაგვარად უკეთია. გაიხსენეთ შერლოკ ჰოლმსი — შრომები, რომლებიც ინტუიციას ეძღვნება. მას ამ საქმეში ექსპერტს უწოდებენ — მისთვის არ არსებობს ზედმეტი ფაქტები, ხმები და დეტალები. ყოველივე ეს მოზაიკის შემადგენელი ნაწილებია.

**ყველას, ვისაც სურს, განავითაროს საკუთარი ქვეცნობიერი ანალიზის უნარი, ფსიქოლოგები ურჩევენ, ყურადღება ყოველთვის დეტალებს მიაქციონ. შეეცადეთ, ახალი ადამიანის გაცნობისას, ორი კვირის განმავლობაში ერთდროულად დაძაბოთ ყურადღება, სმენა და ყნოსვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთი შეხედვაც კი საკმარისი იქნება, რათა ადამიანზე წარმოდგენა შეიქმნათ.**

სხვა ადამიანის აზრების წაკითხვა ფანტასტიკის სფეროს კი არ განეკუთვნება, არამედ არის ის, რითაც ყოველდღიურად ვართ დაკავებულნი. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენი ტვინი მუდმივად იბეჭდავს სხვების სახის გამომეტყველებას, შეგრძნებებს, სიმპტომებს. ეს ყველაფერი „სარკისებური ნეირონებით" არის გამოწვეული. სწორედ მათ გამო განვიცდით არასასიამოვნო შეგრძნებას, როდესაც ვიღაცას კარში თითი ჰყვება, ან გულწრფელად ვიზიარებთ სხვების გრძნობებს ამა თუ იმ სიტუაციაში. ფსიქოლოგიაში ამას ინტუიციურ კომუნიკაციას უწოდებენ.

**ხშირად განიცადეთ და გაიზიარეთ სხვისი გრძნობები. ეს იგივე ცოდნაა, რომელსაც ანალიზის ერთიანი სურათი მოიცავს. ფსიქოლოგ იოჰამ ბაუერის აზრით, რომ არ არსებობდეს სარკისებრი ნეირონები, არ იქნებოდა ინტუიცია და ემპათია, ამიტომ კარგად განვითარებული ინტუიცია ხშირ შემთხვევაში მგრძნობიარე ადამიანებში გვხვდება.**

ექსპერტ **სოფი ბირნჰემის** აზრით, სიზმრები და ინტუიცია ქვეცნობიერისგან იქმნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ ერთნაირი ბუნება აქვთ. ზოგიერთ სომნოლოგს, მაგალითად, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ გენადი კოვროვს მიაჩნია, რომ წინასწარმეტყველური სიზმრები ხანგრძლივი ფსიქიკური პროცესის შედეგია. მაგალითად, მენდელეევის სიზმარი: მეცნიერმა შეიმუშავა საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ ტვინს სიზმარში არსებული მონაცემები თანამიმდევრულად დაელაგებინა.

ფსიქოლოგ **კლარა ვულფის** ახალი კვლევების თანახმად, შემოქმედებითობა და ინტუიცია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ის თვლის, რომ ინტუიცია ხელოვნების მაღალი დონეა — „საუკეთესო მხატვარი ინტუიტიური მხატვარია". ინტუიცია არა მხოლოდ გვერდს უვლის უკვე ჩამოყალიბებულ შტამპებს, არამედ მისი მოქმედებისას ორგანიზმი უფრო ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე ლოგიკური აზროვნების დროს. უფრო მეტიც, კვლევამ აჩვენა, რომ, რაც უფრო მეტად ავლენს ადამიანი საკუთარ თავს შემოქმედებითად, უფრო კარგად უმუშავებს ინტუიცია. ეს იმიტომ ხდება, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ხელოვნება გონებას უფრო მოქნილს ხდის.

ძლიერი ემოციები, განსაკუთრებით უარყოფითი, ახშობს ინტუიციის შინაგან ხმას, ისევე, როგორც კეთილგონიერებას. მრისხანებას შეუძლია, სრულიად გამოდევნოს ადამიანის გონებიდან ქვეცნობიერი აზროვნების მიერ ნაკარნახები სასარგებლო ინფორმაცია.

პოზიტიურ ემოციები კი პირიქით — ამშვიდებს ადამიანს. ფსიქოლოგიური კვლევების თანახმად, ეს ეხმარება თქვენს ინტუიტიურ უნარს, მუდმივად იყოს ტონუსში.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფოთლების ხელოვნება





**ჩინური კომპანია Longal Artwork-ის დიზაინერები ფოთლებზე უნიკალურ გამოსახულებებს ქმნიან.** ნახატები არაჩვეულებრივი ტექნიკითაა შესრულებული. ნახატების შექმნისას ფოთლის მხოლოდ ზედა მხარე იჭრება და თითქმის უხილავი, გამჭვირვალე ქვედა ფენა რჩება, ფოთოლი ბოლომდე არსად არის გახვრეტილი. ამგვარი ნამუშევრების შექმნა რამდენიმე ეტაპად ხდება. თავიდან არჩევენ დაუზიანებელ ფოთლებს და სპეციალური წესით აშრობენ, შემდეგ დასარბილებლად და ბაქტერიების მოსაშორებლად მდუღარე წყალში ათავსებენ. ამის შემდეგ იწყებენ ხატვას. როდესაც გამოსახულება მზადაა, ფოთოლს კიდევ ერთხელ აშრობენ. მთელი ამ პროცესის შემდეგ ნამუშევარი მზადაა დამკვეთისთვის გადასაცემად. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო მასალა მეტად ფაქიზია და ამასთანავე, ამოსატვიფრი სივრცეც შეზღუდული, ჩინელი ოსტატები ნამდვილად საოცარ ქმნილებებს ამზადებენ.

# ყველაზე სასარგებლო თამაშები

**ბავშვისთვის ყველაზე ბუნებრივი და სასურველი საქმიანობა, რა თქმა უნდა, თამაშია. სწორედ თამაში უყალიბებს უმთავრეს უნარ-ჩვევებს, რომლებიც შემდგომში პიროვნულ თვისებებსა და მის წარმატებაზე ახდენს გავლენას. ფიზიკური განვითარებისთვის აქტიური სპორტული თამაშები შეუდარებელია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ინტელექტის განვითარებაც. ბავშვის შემოქმედებითი და გონებრივი განვითარებისთვის, საბავშვო ჟურნალების გამოცდილების თანახმად, საუკეთესოა:**



### სამაგიდო თამაშები

სამაგიდო თამაშების მთავარი სარგებელი ურთიერთობის დამყარებაა. ისინი, სულ ცოტა, ორ მოთამაშეზეა გათვლილი, ანუ ბავშვი მარტო ვერ ითამაშებს და კარგი იქნება, თუ პარტნიორობას მშობელი გაუწევს. სულ რამდენიმე პარტია საკმარისია, რომ მშობლებთან ურთიერთობას მონატრებულმა პატარამ მთელი კვირის დანაკლისი აინაზღაუროს.

გარდა ამისა, თამაშს თავისი წესები აქვს. ასე რომ, თამაშისას ბავშვი, პირველ რიგში, წესების დაცვას სწავლობს. უვითარდება მოთმინება (როცა თავის რიგს ელის), ეჩვევა მოგებისკენ სწრაფვას და წაგებასთან შეგუებას.

ეს ერთგვარი გაკვეთილებია, რომლებიც ასწავლის სწორად რეაგირებას გამარჯვებასა თუ მარცხზე. ბავშვი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ მომავალში კიდევ ექნება მოგების შანსი, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი ცოდნაა.

### გასაფერადებელი

გასაფერადებელი ბავშვს ამშვიდებს. აქტიური დღის შემდეგ მოდუნება აუცილებელია. გასაფერადებელი კი ყველაზე მოუსვენარ ბავშვსაც კი აიძულებს, მშვიდად დაჯდეს და ფანტაზია აამუშაოს.

გასაფერადებლით არა მხოლოდ ფერთა გამის შერჩევას სწავლობს, იმახსოვრებს ფორმებს, პერსონაჟების ხასიათს. შემდეგ ცდილობს, გააცოცხლოს ეს პერსონაჟი თავისი შერჩეული და მოფიქრებული ფერებით. ბავშვები, რომლებიც ხშირად არიან დაკავებულნი რაღაცის მოფიქრებით, სხარტი გონებით გამოირჩევიან და ნერვული დარღვევებისგანაც დაცულნი არიან. უვარჯიშდებათ კონცენტრაციისა და ყურადღების უნარიც.

გაფერადებისას ბავშვმა წარმოსახვა უნდა გამოიყენოს. და ბოლოს, ბავშვი ხელს თანდათან ავარჯიშებს კალიგრაფიისთვის. ის მალე შეძლებს სწორი მოხაზულობების გაკეთებას.

### კროსვორდი

ეს არის ცოდნის შემოწმების საუკეთესო გზა. ნასწავლისა თუ გაგონილის გახსენება. ბავშვი თავის გონებრივ არქივში ეძებს სწორ პასუხს. ნახატს თუ ახსნა-განმარტებას აკავშირებს ნანახსა თუ გაგონილთან.

რაც არ იცის, იმას პასუხებში ეძებს და იმახსოვრებს. სამომავლოდ კი სურვილი უჩნდება, ბევრი სიტყვა და სახელწოდება დაიმახსოვროს. ნასწავლის სწრაფად გახსენებასაც ეჩვევა.

### ლოგიკური თავსატეხები

სპეციალისტები აღიარებენ, რომ ბავშვები, რომლებიც ალღოს უღებენ და სწრაფად ხსნიან თავსატეხებს, ცხოვრებაშიც სწრაფად და მარტივად პოულობენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს, უვითარდებათ პრინციპული და ძლიერი ნებისყოფა, უადვილდებათ ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტა, რაც წარმატების მთავარი წინაპირობაა.

### კალიგრაფიული თამაში

ეს, როგორც წესი, წყვეტილ ხაზებად მოცემულ ნახატებზე ხაზების უშეცდომოდ გავლებას გულისხმობს. ამით თან ერთობა, თან ხელს ავარჯიშებს, რაც სამომავლოდ კალიგრაფიის დახვეწაში დაეხმარება. ბავშვები, რომლებსაც ასეთი სავარჯიშო მოსწონთ, საკლასო რვეულში ყოველთვის ლამაზად წერენ.

ბავშვები, რომლებიც მიჩვეულნი არიან ასეთ თამაშებს, ადვილად ეგუებიან სკოლის გარემოს, უადვილებათ მიცემული დავალების გააზრება და მაქსიმალურად ავლენენ გონებრივ შესაძლებლობებს.



ადოლფ ჰიტლერი

# რას ჭამდნენ ყველაზე სასტიკი დიქტატორები

**ადოლფ ჰიტლერი** ვეგეტარიანელი იყო და ცხოვრების ბოლოს მხოლოდ კარტოფილის პიურეს და წვნიანებს მიირთმევდა. მას 15 დეგუსტატორი ჰყავდა, თუ არც ერთი მათგანი კერძის გასინჯვიდან 45 წუთში არ მოკვდებოდა, ე. ი. კერძი საკვებადვარგისი იყო.

**კიმ ჩენ ირს** ზვიგენისა და ძაღლის ხორცის წვნიანი უყვარდა. ჩრდილოეთ კორეის დიქტატორს სწამდა, რომ ეს კერძები იმუნიტეტს უმაღლებდა და ვაჟკაცობას ჰმატებდა. აგრეთვე, დიქტატორი ალკოჰოლური კომპანია „ჰენესის“ კლიენტი გახლდათ.

**იდი ამინი** დღეში 40 ფორთოხალს ჭამდა; უყვარდა შემწვარი თხა და ფეტვის პური. ფორთოხალს იმიტომ ჭამდა, რომ სჯეროდა, ის ბუნებრივი „ვიაგრა“ იყო.

**ბენიტო მუსოლინის** ნიორი უყვარდა და ფრანგული სამზარეულო უსარგებლოდ მიაჩნდა. მუსოლინის საყვარელი კერძი იყო მარტივი სალათა ნივრით, ზეთითა და ლიმონის წვენით. მუსოლინის შინ, ოჯახთან ერთად, უყვარდა ჭამა.

**ჩაუშესკუს** საყვარელი კერძი ვეგეტარიანული „ლაზანია“ იყო კვერცხითა და არაჟნით და პომიდვრის, ხახვისა და ფეტას სალათი სტეიკთან ერთად.



ბენიტო მუსოლინი

# რამ იმსხვერპლა რომის იმპერია



**მძიმე ლითონები — ოქრო, ვერცხლი და ზოგიერთი სხვა — ძველთაგანვე ძვირფას ლითონებად იყო აღიარებული და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. ამ ლითონებისგან დამზადებული სამკაულების, სასმისებისა და ჭურჭლის რაოდენობა მათი მფლობელის სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლებოდა.**

მაგრამ, როგორც უბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, ერთ-ერთი ძვირფასი ლითონი გამხდარა მთავარი მიზეზი ისეთი ძლიერი სახელმწიფოს დაკნინებისა და დაცემისა, როგორიც რომის იმპერია იყო.

ოქროსა და ვერცხლის გარდა, ძველად რომის იმპერიაში ძვირფასად ითვლებოდა, აგრეთვე, სხვა მძიმე მეტალებიც, მათ შორის ტყვია. მისგან კეთდებოდა სასმისები და ჭურჭელი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ტყვია და მისი ნაერთები ძლიერი საწამლავია ადამიანის ორგანიზმისთვის. იგი განსაკუთრებით საშიშია ნერვული სისტემისა და სისხლის შემადგენლობისთვის.

სწორედ ეს გარემოება აღმოჩნდა საბედისწერო რომაელი პატრიციებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად ხმარობდნენ ამ ,ლითონისგან დამზადებულ ჭურჭელს. მათი ორგანიზმი იმდენად უძლურდებოდა, რომ 20-25 წლის ჭაბუკები უკვე ღრმა მოხუცებად გრძნობდნენ თავს, ხოლო ახალგაზრდა ქალბატონებს შვილოსნობის უნარი ეკარგებოდათ.

სამწუხაროდ, ტყვიის დამღუპველმა მოქმედებამ არა მხოლოდ რომის იმპერია დააზარალა. ცნობილია, რომ რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენლები სუსტი ჯანმრთელობითა და სუსტი ნერვული სისტემით გამოირჩეოდნენ. ამის მიზეზი, როგორც ირკვევა, იყო ის, რომ საუკუნეების წინათ კრემლში წყალგაყვანილობისათვის ტყვიის მილებს იყენებდნენ. შედეგად ორგანიზმი თაობიდან თაობამდე იწამლებოდა ტყვიის ნაერთებით.

ტყვია და მისი ნაერთები დღესაც დიდ საშიშროებას უქმნიან კაცობრიობას, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც ავტომანქანების გამონაბოლქვ აირებთან ერთად ყოველდღიურად 15-20 მგ ტყვიას ჩაისუნთქავენ, რომლის დიდი ნაწილიც, ძირითადად, ღვიძლსა და თირკმელებში ილექება. მაღალი კონცენტრაციის მიუხედავად, ტყვია ჩვეულებრივ არ გამოამჟღავნებს ხოლმე თავის ავ ზნეს ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე. როგორც მედიკოსებმა დაადგინეს, მისი მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს ორგანიზმში ჟანგბადის ხანგრძლივი უკმარისობა, ამიტომ ამგვარი გართულებებისგან თავის დასაცავად ექიმები გვირჩევენ სუფთა ჰაერზე მეტი დროის გატარებას და მარტივი ფიზიკური ვარჯიშების შესრულებას.





## ციტრუსის ფესტივალი საფრანგეთში

**ყოველწლიურად საფრანგეთში იმართება ციტრუსის ფესტივალი — Fete du Citron, რომლის მთავარი ღირშესანიშნაობა ლიმონის, ფორთოხლისა თუ მანდარინის გიგანტური სკულპტურებია.**

სკულპტურების შექმნის პროცესი საკმაოდ შრომატევადია — ამ საქმეში ერთდროულად ჩართულია მინიმუმ 300 პროფესიონალი, რომლებიც უზარმაზარი ფიგურების შექმნას დაახლოებით ერთ თვეს ანდომებენ. ციტრუსის გიგანტური ფიგურების ასაგებად საშუალოდ 145 ტონა ხილი იხარჯება. ციტრუსის ფესტივალი 16 თებერვალს იწყება და ორ კვირას გრძელდება.



ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მისტიკური სასტუმრო ამერიკაში

**ლოს-ანჯელესში მდებარე სასტუმრო, სახელად „სესილი“, ცნობილია მკვლელობებითა და უცნაური შემთხვევებით. ცნობილი სერიალის — American Horror Story-ს მეხუთე სეზონი სწორედ ამ სასტუმროს ინსპირაციითაა გადაღებული.**

სასტუმრო 1925 წელს გაიხსნა ლოს-ანჯელესში. დღესდღეობით ის ცნობილია კრიმინოლოგიური ფაქტებით.

ყველაფერი 1929 წელს დაიწყო, როდესაც 33 წლის ქალმა, სახელად **დოროტი რობინსონმა**, სცადა, თავი მოეკლა საწამლავის დალევით. ის გადარჩა, მაგრამ მოკლე დროის განმავლობაში სასტუმროში აღმოაჩინეს სამი ადამიანი, რომელიც სწორედ საწამლავით იყო მოკლული. გამოძიებამ ეს შემთხვევები თვითმკვლელობად გამოაცხადა.

1934 წელს სასტუმროს შესასვლელს დაეჯახა სატვირთო მანქანა, რომელმაც ორი ადამიანი იმსხვერპლა.

შემდეგ წელს 53 წლის **ლუის ბორდენმა** სასტუმროში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. იმავე წელს ერთ-ერთმა მოხუცმა „სესილში“ ცეცხსასროლი იარაღით თავის მოკვლა სცადა.

1937 წელს მეხანძრე **როი ტომპსონი** იპოვეს „სესილის“ გვერდით მდებარე შენობის სახურავზე. სავარაუდოდ, ის თავისი ოთახიდან გადახტა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, თუმცა ეს დადასტურებული არაა.

1954 წელს სასტუმროში მოხდა მორიგი თვითმკვლელობა. **ჰელენ გარნიბი**, ამერიკის უბრალო მოქალაქე, მეშვიდე სართულიდან გადმოხტა. მას ერთი კვირა ჰქონდა გატარებული სასტუმროში და დარეგისტრირებული იყო ყალბი სახელით.

არც ისე დიდი ხნის შემდეგ, 1962 წელს, 27 წლის **პაულინ ოტონი** გადმოხტა სასტუმროს მეცხრე სართულიდან და დაეცა 65 წლის ადამიანს. ორივე ადგილზე გარდაიცვალა. შემდგომ გაირკვა, რომ თვითმკვლელს პრობლემები ჰქონდა ქმართან და სწორედ ამან უბიძგა ის ასეთი ნაბიჯის გადადგმისკენ.

აღსანიშნავია, რომ **ელიზაბეტ შორტი**, ცნობილი როგორც „შავი გეორგინა“, სწორედ ამ სასტუმროში იმყოფებოდა მკვლელობამდე. ის იყო ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც სასტიკად იქნა მოკლული, მისი გვამი კი დასახიჩრებული. საქმე დღემდე გაუხსნელია და დამნაშავე არაა ცნობილი.

პირველი დადასტურებული მკვლელობა მოხდა 1964 წელს, 14 ივნისს. გოლდი ესგუდი, ტელეფონის ოპერატორი ახალგაზრდა ქალბატონი, სასტუმროს ოთახში იპოვეს დაჭრილი და გაგუდული. სამწუხაროდ, საქმე არ გახსნილა.

სასტუმროში მოხდა კიდევ სამი სხვა მკვლელობა.

სასტუმრო „სესილი“, ასევე, იყო დროებითი საცხოვრებელი ორი ცნობილი სერიული მკვლელისა:

**რიჩარდ რამირეზი** — ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი სერიული მკვლელი. ის 24 წლის იყო, როცა დაიწყო ძარცვა და ყაჩაღობა, რაც მკვლელობასა და ძალადობაში გადაიზარდა. ოფიციალური მონაცემებით, მას მოკლული ჰყავს 14 ადამიანი. ყველა მკვლელობა ჩადენილი იყო 1984-1985 წლებში, სწორედ 1985 წელს იმყოფებოდა ის სასტუმრო „სესილიში“.

**ჯეკ უნტერვეგერი** — ავსტრიაში ყველაზე განთქმული სერიული მკვლელი. ოფიციალური მონაცემებით, მსხვერპლის რაოდენობა 10-დან 12-მდეა, ვარაუდობენ მეტსაც. 1991 წელს ის სასტუმრო „სესილიში“ დროებით ცხოვრობდა.

2013 წლის თებერვალში სასტუმრო „სესილის“ სახურავზე მდგარ წყლით სავსე ავზში 21 წლის სტუდენტის, **ელისა ლამის,** გვამი იპოვეს. მას 3 კვირა ეძებდნენ და ბოლოს მაშინ მიაგნეს, როდესაც სასტუმროს სტუმრებმა დაიწყეს ჩივილი წყლის უგემურობის გამო. ელისა შიშველი იყო, ხოლო ტანსაცმელი წყალზე, მის გვერდით ტივტივებდა.

სიტუაცია გამძაფრდა მაშინ, როდესაც ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ელისის ვიდეო, რომელიც სიკვდილის წინაა გადაღებული ლიფტში. ის დაბნეულია, უცნაურად იქცევა, ლიფტის რამდენიმე ღილაკს აჭერს ხელს. გაჩნდა უამრავი ახალი ვარაუდი. შემთხვევა თვითმკვლელობად მიიჩნიეს, რადგან ექსპერტიზის მონაცემების მიხედვით ძალადობის რაიმე კვალს ვერ მიაგნეს.

მიუხედავად ამისა, მსოფლიო დღესაც საუბრობს ელისას სიკვდილსა და სასტუმრო „სესილიზე“. სწორედ ეს გახდა ინსპირაცია ფილმისა Dark Water (2014).



# თანამედროვე ნოეს კიდობანი

**სერბმა არქიტექტორებმა — ალექსანდარ იოკსიმოვიჩმა და ელინა ნიკოლიკმა წარმოადგინეს მოტივტივე ქალაქის ინოვაციური კონცეფცია, რომელიც ნოეს კიდობნის თანამედროვე ვერსიაა.**

კონცეფციის თანახმად, ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში, მოტივტივე ნაგებობა ადამიანებსა და ცხოველებს სიცოცხლის შენარჩუნებაში დაეხმარება.

კუნძული-ქალაქში ადამიანებს შეეძლებათ ბაღებისა და ბოსტნების გაშენება, შინაური ცხოველებისა თუ ფრინველების გამოკვება და მოვლა, თევზის მოშენება, საჭიროების შემთხვევაში — სხვადასხვა აუცილებელი ნივთის წარმოება.

კონცეფცია თითქმის სრულყოფილი ქალაქის შექმნის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს თავისი ინფრასტრუქტურით.

თანამედროვე ნოეს კიდობანი ოკეანის ფსკერზე დრეკადი სადენებით უნდა იყოს მიმაგრებული და გარშემორტყმული ჰქონდეს 61 მეტრის სიმაღლის კედლები.

მოტივტივე მიწაზე გათვალისწინებულია სრულყოფილი ცხოვრებისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი, მათ შორის კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრები, ფერმერული მეურნეობები, ბაღები და ბოსტნები, სპორტული და დასასვენებელი მოედნები, საცურაო ზონა, საავადმყოფო, საოფისე და საცხოვრებელი სივრცე, ცხოველებისა და ფრინველების რეზერვაცია, პორტი და სასტუმროებიც კი.

კუნძულის ელექტრომომარაგება ტალღების, ქარისა და მზის ენერგიაზე მომუშავე პანელებით მოხდება.

# მეგობრებმა მიცვალებულთან პოკერი ითამაშეს



**გარდაცვლილი პუერტორიკოელი მამაკაცის ოჯახმა და მეგობრებმა მისი ბალზამირებული გვამი პოკერის მაგიდასთან დასვეს. ჰენრი როსარიო მარტინესი ბარსელონაში 19 იანვარს 31 წლისა გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი ალკოჰოლთან ერთად მიღებული წამლები გახდა.**

ოჯახს კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ მედიაში ამბობენ, რომ შესაძლოა, ეს თვითმკვლელობა იყო. მარტინესი პოკერის დიდი ფანი გახლდათ, ამიტომ მისმა მამამ დამკრძალავი ბიუროს კომპანიას სთხოვა, შვილის გვამი ისე დაებალზამირებინათ, რომ პოკერის მაგიდასთან დაჯდომა შეძლებოდა.

უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად პოკერის მაგიდასთან დასმულ მარტინესის გვამს მეგობრები და ოჯახის წევრები შემოუსხდნენ. პუერტო რიკოში მსგავსი უჩვეულო რიტუალები პოპულარულია. მაგალითად, გარდაცვლილი ტაქსის მძღოლი დაკრძალვამდე მანქანის საჭესთან დასვეს, რესლერი კი რინგზე, მოჩხუბარ პოზაში დააყენეს. გარდაცვლილი ქალი მაგიდასთან საყვარელი ლუდითა და სიგარეტით ხელში დასვეს, გვერდით კი სუპერგმირის ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი მიუსვეს.



# ექიმებმა პაციენტის სხეულიდან მისი პარაზიტი ტყუპისცალი ამოკვეთეს

**ინდოელი მოზარდი საავადმყოფოში მუცლის არეში ტკივილის გამო გადაიყვანეს. გამოკვლევების პასუხებმა ექიმები გააოგნა — პაციენტის ორგანიზმში ექიმებმა მისი ტყუპისცალი ძმის ემბრიონს მიაგნეს.**

პარაზიტი 2,5 კგ-იანი ძვლოვანი სხეული იყო თმებითა და კბილებით და ახალგაზრდა ორგანიზმში 18 წლის მანძილზე ცხოვრობდა. ტყუპისცალის ამოღების ოპერაციამ 3 საათს გასტანა. ექიმების თქმით, ეს უაშვიათესი შემთხვევაა.

# შეზლონგი მზის ენერგიაზე მომუშავე დამმუხტველით

**მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა ეკოლოგიურად სუფთა, ულტრამოდერნისტული შეზლონგი Soft Rocker დააპროექტეს.**

ორიგინალური მოხაზულობის შეზლონგზე დამონტაჟებულია მზის ენერგიის პანელები, რომლებიც ელექტროენერგიის წყაროა ლეპტოპისთვის, მობილური ტელეფონის ან ნებისმიერი სხვა გაჯეტისთვის.

Soft Rocker-ის პროექტი სტუდენტებმა პროფესორ შეილა კენედის ხელმძღვანელობით შექმნეს. მზის ენერგიაზე მომუშავე რამდენიმე ათეული შეზლონგი უკვე მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კამპუსის ტერიტორიაზეა ინსტალირებული.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1908 წლის 12 თებერვალს პარიზში დაიბადა სახელგანთქმული ფრანგი კარიკატურისტი ჟან ეფელი (ნამდვილი გვარი — ლეჟენი).** ეფელს პოპულარობა მოუხვეჭა პოლიტიკურმა კარიკატურამ. მისი „სამყაროს შექმნა“ კი არის შედევრი, რომელსაც კითხულობენ და ათვალიერებენ ყველა თაობის ადამიანები.

ჟან ეფელი 1982 წლის 16 ოქტომბერს გარდაიცვალა.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.

*** 1891 წლის 16 თებერვალს თბილისში დაიბადა ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, სსრკ-ისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილი.**



ნიკო მუსხელიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი, მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი.

გარდაიცვალა 1976 წლის 16 ივლისს.



*** 1898 წლის 10 თებერვალს აუგსბურგში დაიბადა გერმანელი დრამატურგი, პოეტი, პროზაიკოსი და თეატრის მოღვაწე, თეატრ „ბერლინერ ანსამბლის“ დამფუძნებელი ბერტოლდ ბრეხტი (ოიგენ ბერტოლდ ფრიდრიხ ბრეხტი).**

ბრეხტის კალამს ეკუთვნის ლექსები, ნოველები, მოთხრობები, პიესები. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია: „კავკასიური ცარცის წრე“, „სამგროშიანი ოპერა“, „გალილეის ცხოვრება“, „სიჩუანელი კეთილი კაცი“, „შვეიკი მეორე მსოფლიო ომში“ და სხვ.

გარდაიცვალა 1956 წლის 14 აგვისტოს.



*** 1903 წლის 13 თებერვალს ლეჟში (ბელგია) დაიბადა ფრანგულენოვანი ბელგიელი მწერალი ჟორჟ სიმენონი (ჟორჟ ჟოზეფ კრისტიან სიმენონი).**

სიმენონს 425 ნაწარმოები აქვს გამოქვეყნებული, თუმცა ყველაზე პოპულარულია მისი 75 რომანი და 28 მოთხრობა კომისარი მეგრეს თავგადასავლებზე. ამ სერიის პირველი რომანი 1929 წელს გამოქვეყნდა, ბოლო — „მეგრე და მუსიე შარლი“ — 1972 წელს.

სიმენონის ბევრი ნაწარმოები ეკრანიზებულია. მეგრეზე გადაღებულ ფილმებში მთავარ როლს თამაშობდა ფრანგი მსახიობი ჟან გაბენი.

ჟორჟ სიმენონი 1989 წლის 4 სექტემბერს გარდაიცვალა.



*** 1759 წლის 13 თებერვალს მოსკოვში დაიბადა ცნობილი რუსი პუბლიცისტი, პოეტი და მეიგავე ივანე კრილოვი,** რომელიც 236 იგავის ავტორია. მათ შორის ყველაზე პოპულარულია „მგელი და კრავი“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, „ყვავი და მელა“, „მაიმუნი და სათვალე“, „ბუზი და სპილო“, „მელა და ყურძენი“, „სარკე და მაიმუნი“ და სხვ. ეს იგავები ქართულად თარგმნა აკაკი წერეთელმა.

ივანე კრილოვი გარდაიცვალა 1844 წლის 21 ნოემბერს.



*** 1564 წლის 15 თებერვალს ქალაქ პიზაში დაიბადა იტალიელი ფიზიკოსი, ასტრონომი, მათემატიკოსი, მექანიკოსი და ფილოსოფოსი, სამეცნიერო რევოლუციის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი გალილეო გალილეი.**

მისი გამოგონებებია: ჰიდროსტატიკური სასწორი მყარი სხეულების კუთრი წონის დასადგენად, თერმომეტრი, პროპორციული ფარგალი, მიკროსკოპი, ტელესკოპი.

გალილეო გალილეი გარდაიცვალა 1642 წლის 8 იანვარს.

YouTube

*** 2005 წლის 14 თებერვალს შეიქმნა ინტერნეტ-სერვისი YOUTOBE-ი, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მომხმარებელს, ნახოს გამოქვეყნებული ვიდეოჩანაწერი ან ატვირთოს თავისი.**

Youtobe-ი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ვიდეოჰოსტინგი და მესამე ვებგვერდია მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით.

Youtobe-ი სან-ბრუნოში (კალიფორნია) დააარსეს კომპანია PayPal-ის ყოფილმა თანამშრომლებმა — **სტივ ჩენმა, ჩად ჰესლიმ** და **ჯაკედ ქარიმმა.**



*** 1809 წლის 11 თებერვალს დააპატენტეს პირველი ხომალდი-ორთქლმავალი.**

ითვლება, რომ ამ იდეის განხორციელებას პირველად ფრანგი ფიზიკოსი **დენი პაპი** შეეცადა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, დაახლოებით 90 წლით ადრე **ჯეიმს უატის** მიერ ორთქლის მანქანის შექმნამდე.

1809 წლის 11 თებერვალს კი ამერიკელმა ინჟინერმა **რობერტ ფულტონმა** (1756-1815) დააპატენტა ორთქლმავალი „ჩრდილოეთის მდინარე“ (სხვა ვერსიით — „კლერმონტი“) და ისტორიაში შევიდა, როგორც ორთქლმავლის გამომგონებელი.

*** 1809 წლის 12 თებერვალს ჰოჯენვილში (კენტუკის შტატი) დაიბადა ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი (1861-1865) აბრაამ ლინკოლნი.**



ის წარმატებით უძღვებოდა ქვეყანას ყველაზე რთული კრიზისის — სამოქალაქო ომის — პერიოდში. მოახერხა ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება. აგრეთვე, გაათავისუფლა მონები.

ის ითვლება ამერიკელი ხალხის ეროვნულ გმირად.

აბრაამ ლინკოლნი მოკლეს 1865 წლის 14 აპრილს ვაშინგტონში, როდესაც ფორდის თეატრში სპექტაკლს უყურებდა.



*** 1989 წლის 15 თებერვალს სსრკ-მა დაასრულა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან.**

1979 წლის 8 ოქტომბერს ხელისუფლებას ჩამოაშორეს და მოკლეს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ნურ მუჰამედ თარაკი. საბჭოთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ავღანეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ და 1979 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა არმია ავღანეთში შევიდა.

1988 წელს აშშ-ისა და სსრკ-ის ხელისუფლებებმა მოილაპარაკეს, რომ ავღანეთის საშინაო საქმეებში აღარ ჩარეულიყვნენ და სსრკ-მა 1989 წლის 15 თებერვალს ჯარი საბოლოოდ გამოიყვანა.

აღსანიშნავია, რომ 1979-1989 წლებში ავღანეთში 14 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა, მათ შორის, ქართველებიც.

**სასიკეთო პერიოდია შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის. წარმატებას მიაღწევენ სასწორისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**10 - 16 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

ინტუიციის წყალობით ადვილად შეძლებთ სამომავლო პერსპექტივის დანახვას. დაასრულეთ ძველი პროექტები და დაიწყეთ ახალი მიზნებისკენ სვლა. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით შეძლებთ.

დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ საყვარელ ადამიანთან. იმ ვერძებმა კი, რომლებსაც სასიყვარულო ურთიერთობა ახალი დაწყებული აქვთ, თავიანთი გულისწორი დროა, მშობლებსა და ახლობლებს გააცნონ.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. გაუფრთხილდით თავსა და ხელებს.

**დადებითი დღე: 13 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 16 თებერვალი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

გააკონტროლეთ აზრები და სურვილები, რადგან შეიძლება ადვილად აგისრულდეთ, ყველაზე ნეგატიურიც კი. თქვენი შრომა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და შეიძლება დაგაწინაურონ ან პრემიით დაგაჯილდოვონ.

რეკომენდებული არ არის სარისკო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობა, რადგან შესაძლოა თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ. დოკუმენტებზე კი განსაკუთრებული ყურადღებით იმუშავეთ, შეცდომა რომ არ დაუშვათ.

მარტოხელა კირჩხიბებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელი წარმომადგენელი, მაგრამ მალე მიხვდებიან, რომ ურთიერთობას, სხვადასხვა მიზეზის გამო, დიდი დღე არ უწერია.

მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 12 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 16 თებერვალი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

აღივსებით ენერგიით და გააქტიურდება თქვენი შემოქმედებითი უნარი. სასიკეთო პერიოდია იმ სასწორებისთვის, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნების სფეროში. წარმატებას მიაღწევენ სასწორის ნიშნით დაბადებული მუსიკოსები, მსახიობები და მხატვრები.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს, დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში — ეს თქვენც დიდ სიხარულს მოგგვრით.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და ემოციების ამოფრქვევას. შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 13 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 10 თებერვალი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

შესაძლოა, ამ პერიოდში აქცენტი მატერიალური ფასეულობებიდან სულიერზე გადაიტანოთ. ფული ეკონომიურად ხარჯეთ და ნუ ჩაერთვებით სარისკო ფინანსურ ოპერაციებში, რადგან შესაძლოა, ინტუიციამ გიღალატოთ და წაგებული დარჩეთ. შესაძლოა, დაქორწინებულ თხის რქებს პატარა გაუგებრობის გამო ურთიერთობა დაეძაბოთ საყვარელ ადამიანთან. შეეცადეთ, თავი შეიკავოთ მისი გაკრიტიკებისგან.

მარტოხელა თხის რქებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთან სულიერი სიახლოვის გამოც ურთიერთობის გაღრმავებას შეეცდებიან.

გაიმყარეთ იმუნიტეტი ვიტამინებით და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 16 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 13 თებერვალი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

კარგად გაერკვიეთ თქვენს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებში, რადგან არ არის გამორიცხული, ბევრი რამის გადაფასება დაგჭირდეთ. მოთოკეთ ემოციები იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოგეჩვენებათ, რომ გარშემო მყოფები თქვენს საქციელს თუ გადაწყვეტილებებს სამართლიანად არ აფასებენ.

ამ პერიოდში ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის. ცოტაც მოითმინეთ და შემოსავლები მოიმატებს.

მარტოხელა კუროებს გაუჩნდებათ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელი წარმომადგენლის გაცნობის შანსი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვან.

მაღალია ზედა სასუნთქი გზების დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 16 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 14 თებერვალი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა გაიძულებთ, დაფიქრდეთ, რომ საჭიროა შემოსავლის ახალი წყაროების მოძიება.

შეიძლება შეხვდეთ გავლენიან ადამიანს, რომელიც ახალი პროექტის განხორციელებაში დაგეხმარებათ.

მარტოხელა ლომებს ელით რომანტიკული პაემანი და მხოლოდ მათზე იქნება დამოკიდებული ურთიერთობის გაღრმავება.

მაღალია იმუნიტეტის დაქვეითების ალბათობა, ამიტომ იკვებეთ მაღალკალორიული და ვიტამინებით მდიდარი საკვებით. შეეცადეთ, სრულფასოვნად დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 16 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 11 თებერვალი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

ცვლილებები გელით. კარგი პერიოდია ახლობლებთან დაძაბული ურთიერთობის მოსაგვარებლად, ნდობისა და ურთიერთგაგების მოსაპოვებლად.

მოერიდეთ კოლეგების გაკრიტიკებას, ამის გამო, შესაძლოა, კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდეთ და რეპუტაცია შეგელახოთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ და თავი აარიდეთ საეჭვო გარიგებაში მონაწილეობას.

თუ საყვარელ ადამიანს მეტისმეტ მოთხოვნებს წაუყენებთ, ნუ გაგიკვირდებათ, აგრესიულობაში რომ დაგადანაშაულოთ. მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, ყველა პრობლემური საკითხი კონსენსუსის გზით გადაწყვიტოთ.

მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად — დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღე: 12 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 13 თებერვალი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

თუ არ იზარმაცებთ, ყველა მიზანს მიაღწევთ, რომელიც კი დასახული გქონდათ. იფიქრეთ კარიერაში წინსვლაზე. სწორედ ახლა გაქვთ სამსახურში დაწინაურების შანსი — ხელმძღვანეობა უყურადღებოდ არ დატოვებს თქვენს გულმოდგინე მუშაობას.

მარტოხელა მერწყულები უნდა გაფრთხილდნენ, რადგან შეიძლება, ვიღაც შეეცადოს მათი გრძნობების ანგარებიანი მიზნით გამოყენებას.

დაქორწინებულმა მერწყულებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ოჯახის უფროს წევრებს.

დაიცავით დიეტა. მაღალია საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 14 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 12 თებერვალი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

დაგაინტერესებთ ინფორმაცია, რომელიც შეიცავს თავსატეხს — ამოცანას.

შეეცადეთ, მოაგვაროთ ურთიერთობა კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება სამსახური დატოვოთ.

მარტოხელა ტყუპებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთან ურთიერთობის გაღრმავება ქორწინებისკენ მიმავალ გზაზე დააყენებთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 13 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 15 თებერვალი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

საქმე თავზე საყრელად გექნებათ, მაგრამ მათი წარმატებით დასრულება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი იქნება.

იაქტიურეთ, გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ და წარმატება არ დააყოვნებს. შესაძლოა, მოგიწიოთ მოგზაურობა.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიული იქნება და სიხარულს მოგგვრით, შედეგად უფრო თავდაჯერებულად იმოქმედებთ სამსახურში.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 11 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 14 თებერვალი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

თუ გსურთ, პროფესიულ სფეროში წარმატებას მიაღწიოთ და ფინანსური მდგომარეობაც გაიუმჯობესოთ, ერთდროულად რამდენიმე საქმეს ნუ შეეჭიდებით. შეეცადეთ, რამდენიმე მიზნისგან მთავარი გამოარჩიოთ და მისკენ ნელ-ნელა, მეთოდურად იაროთ.

კარგი იქნება, თუ დროს ახლობლებისა და მეგობრების წრეში გაატარებთ, რადგან მათთან ურთიერთობისას შეიძლება გაგიჩნდეთ იდეა, რომლის განხორციელებაც წარმატებას მოგიტანთ.

არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო შეიძლება უთანხმოება შეგექმნათ საყვარელ ადამიანთან. შეეცადეთ, მას გული არ ატკინოთ.

დაღლილობის გამო შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგიუარესდეთ. თუ გაქვთ საშუალება, აიღეთ შვებულება და სრულფასოვნად დაისვენეთ.

**დადებითი დღე: 13 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 11 თებერვალი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

თქვენ გარშემო ბევრი მოვლენა განვითარდება და შესაძლოა, მათში გარკვევა გაგიჭირდეთ. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი საქმიანობით შეიძლება თაღლითები დაინტერესდნენ, ამიტომ ფრთხილად იმოქმედეთ. რთული გადაწყვეტილებები ინტუიციით მიიღეთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

მარტოხელა თევზებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შეიძლება მგზნებარე რომანში გადაიზარდოს. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ სრულფასოვანი გამოკვლევა.

**დადებითი დღე: 16 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 13 თებერვალი.**

# «არშინ მალ ალან» — 100

## ანუ რატომ უწოდა დიდმა აზერბაიჯანელმა პოეტმა და მოაზროვნემ მირზა ფათალი ახუნდოვმა თბილისს «კავკასიის მარგალიტი»






### საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ მიხეილ გიორგაძეს

**ბატონო მიხეილ,**

ჩვენი უახლოესი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის — აზერბაიჯანის კულტურის ნამდვილი საგანძური, უბრწყინვალესი მუსიკალური კომედია „არშინ მალ ალან“, იმთავითვე (ავტორი — უზეირ ჰაჯიბეკოვი, პრემიერა — ბაქო, 13.X.1913) მოექცა მსოფლიოს თეატრალური საზოგადოების ყურადღების ცენტრში. საკმარისია, აღინიშნოს, რომ 1920 წელს იგი უკვე იდგმებოდა ბეირუთში, კაიროსა და ნიუ ორკში, 1925 წელს – პარიზში და ა.შ. ოპერეტა ითარგმნა 75 ენაზე, დაიდგა 76 ქვეყნის 187 თეატრში, მათ შორის, რუსეთის — 28, პოლონეთის — 17, ბულგარეთის — 17, აშშ — 17, ჩინეთის — 8 ქალაქში...

მაგრამ ცოტამ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ამ ზღაპრულ პოპულარობას ტონი მისცა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქმა, მაშინდელმა ტიფლისმა, სადაც, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, სწორედ უშუალოდ ხალხმა, ანუ სცენისმოყვარეთა ერთმა გუნდმა აიტაცა ეს მშვენიერი მელოდიები და მოლაპარაკება დაიწყო ოპერეტის ავტორთან — უ. ჰაჯიბეკოვთან. 1915 წლის მიწურულს (15.IX.1915) მიღებული იქნა ავტორის წერილობითი თანხმობა, ოპერეტის ტექსტი ითარგმნა ქართულად (ეს გააკეთა ცნობილმა სცენისმოყვარე ივანე, იგივე ვანო გიგოშვილმა) და შეუდგნენ მზადებას. პირველი ანონსი პრესაში (ყოველკვირეული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“) ჯერ კიდევ 1916 წლის 27 მარტს გაჩნდა, მეორე — 3 აპრილს, მესამე — 10 აპრილს და, აი, 11 აპრილს გამოქვეყნდა კიდეც საპრემიერო აფიშა.



უზეირ ჰაჯიბეკოვი

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ „არშინ მალ ალან“ მარტო თბილისში კი არ დაიდგა და ისიც მხოლოდ ქართულ ენაზე, არამედ მთელი 1916 წლის განმავლობაში იგი არსებითად საქართველოს 6 სცენაზე იდგმებოდა, თბილისში — ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე, აგრეთვე, ქუთაისისა და ბაქოს ქართულ თეატრებში, სადაც თვით უ. ჰაჯიბეკოვი დირიჟორობდა ოპერეტას. არ არის ეს ჭეშმარიტად უნიკალური ფაქტი იმისა, თუ როგორ ვიცით კეთილი მეზობლის სიყვარული და დაფასება — აი, ამიტომ უწოდა დიდმა აზერბაიჯანელმა პოეტმა და მოაზროვნემ — მირზა ფათალი ახუნდოვმა თბილისს „კავკასიის მარგალიტი“ და არ გინდა ახლა ამ ეპითეტის გამართლება?!

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ქვეყანას, ვთქვათ, აზერბაიჯანს, 100 წლის წინათ დაედგა ჩვენი უკვდავი „ქეთო და კოტე“ და მერე ამ დადგმის 100 წლის იუბილე გადაეხადა, მადლიერებისა და სიამაყის რა გრძნობით განვიმსჭვალებოდით ასეთი ქვეყნის, ასეთი ხალხის მიმართ!

ბატონო მინისტრო, ეს უნაზესი და უფაქიზესი ადამიანური სიამაყის განცდა ვაჩუქოთ ჩვენს უახლოეს და უერთგულეს აზერბაიჯანელ ხალხს — ეს ხომ ჩვენი მეტად სასიამოვნო, მეტად რაინდული, ისეთი კეთილშობილური მოვალეობაა, როგორაც გვინდა, გაგრძელდეს ჩვენი ტრადიციული მეგობრობა.

დარწმუნებული ვარ თქვენს სახელმწიფოებრივ შორსმჭვრეტელობასა და ადამიანურ გულისხმიერებაში და ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევ, წინასწარ გადაგიხადოთ მადლობა.

**გოგი დოლიძე,**
**პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი**



## გაეროს კომისიამ ჯულიან ასანჟი «უკანონოდ დაკავებულად» ცნო

**„ბი-ბი-სის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გაეროს კომისიამ „ვიკილიქსის“ დამფუძნებელი ჟურნალისტის, ჯულიან ასანჟის, სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება და იგი „უკანონოდ დაკავებულად“ ცნო.**

ჯულიან ასანჟს საერთაშორისო ინსტანციებში თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის თაობაზე საჩივარი ჰქონდა შეტანილი და წლების განმავლობაში ლონდონში მდებარე ეკვადორის საელჩოს აფარებდა თავს.

## «რუსეთს შეუძლია, 36-60 საათში მიაღწიოს რიგამდე»

**რუსეთს შეუძლია 36-60 საათში მიაღწიოს რიგამდე, ბალტიისპირეთის ქვეყნებში შეიჭრას და ამით ნატოს ძალები გამოსცადოს, — ნათქვამია ამერიკული ორგანიზაცია The Rand Corporation-ის კვლევაში.** როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უფრო მეტი სამხედრო ტექნიკა და ათასობით სამხედრო უნდა განალაგოს ბალტიისპირეთში რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ბირთვული ესკალაციის ან კაპიტულაციის რისკი არსებობს.



ექსპერტთა აზრით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს რუსეთის საფრთხეების შემცირება იაფი არ დაუჯდება, ამისთვის წელიწადში დაახლოებით 2.7 მილიარდი დოლარი იქნება საჭირო.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## ს ი ა ხ ლ ე !

### ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- გასტრიტი, წყლული, კოლიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ბუასილი, ჭიებით ინვაზია
- იმპოტენცია, პროსტატიტი, გაძნელებული შარდვა, შარდ-კენჭოვანი დაავადება.
- ფიბრომა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უშვილობა, მასტოპათია, გართულებული კლიმაქსი.
- უძილობა, მეხსიერების და შრომის უნარის დაქვეითება, ნევროზი, შიშები, დეპრესია.
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, ოსტეოპოროზი, ართროზები, სკოლიოზი.
- წონაში დაკლება, სიმაღლეში ზრდა
- ალერგია
- ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია
- ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

მკურნალობის შერჩევა ინდივიდუალურად გენეტიკის, სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით.

☎ 599-54-18-30, 0790-98-63-33

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ შემდეგი დაავადებების მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას:

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)**
**მის: აღმაშენებლის 154, «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლეში მომატება!

**გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?**

დარეკეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894